საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№17 (535)
13 - 19 მაისი, 2020

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

## 17 მილოცვები, მადლობები და დახმარებები დიდი სამამულო ომის ვეტერანებს




## რატომ არ სურს დასავლეთს რუსეთისა და საქართველოს ერთი-ერთზე საუბარი 3



## საქართველო პლაცენტით არის მიბმული რუსეთზე 2



გულბაათ რცხილაძე:

## ფულს, რომელსაც ასე ველოდებით, იმისთვის გვაძლევენ, რომ ეკონომიკა ავამუშავოთ და სოფლის მეურნეობა ავაღორძინოთ თუ ვაქცინაცია ჩავატაროთ? 4



ლევან ჩაჩუა:

## მოსახლეობამ არა მხოლოდ იძულებით ვაქცინაციაზე უნდა თქვას უარი, არამედ იმ პოლიტელიტაზეც, რომელიც ამას დაუკანონებს და დააძალებს 5

## ქართული მედიის საგაზაფხულო აჯაფსანდალი ანუ «ინგა და ბავშვები», ასევე მისი მეგობარი ნოდარიც 7



## ტურისტული სეზონი და მედლის ორი მხარე 6




## დასავლეთში კვლავ დაძრნის ფაშიზმის აჩრდილი 8-9



## ოპერაცია «გედეონის» კრახი 14






## ვინ დახვრიტა ხალხი კიევის ცენტრში 2014 წლის 20 თებერვალს 15



თვალსაწიერი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როცა მსოფლიოში ფინანსური კრიზისი მწვავდება, რომელსაც საქართველოც გვერდს ვერ აუვლის, რუსეთის, როგორც ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბუნებრივი პარტნიორის, როლი და მნიშვნელობა მატულობს, ამიტომ არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საქართველოსთვის, რომ სახელმწიფო პოლიტიკა შეესაბამებოდეს ამ ობიექტურ მოცემულობას და, როცა იქიდან დიალოგზე ისმის განცხადებები, აქედან ანტირუსული ისტერიკით არ უნდა უპასუხონ“.**



### დიმიტრი ლორთქიფანიძე:

# საქართველო პლაცენტით არის მიბმული რუსეთზე

## «ნებისმიერი პოლიტიკოსი, რომელიც კოსაჩევის წინადადებას აკრიტიკებს, მკვდრადშობილი პოლიტიკური აზროვნების ნიმუშია»

**რუსეთის ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კონსტანტინე კოსაჩევის მიერ რამდენიმე დღის წინათ გაკეთებულ განცხადებას საქართველოსა და უკრაინასთან საპარლამენტო დიალოგის აღდგენის თაობაზე ქართულ პოლიტიკურ სპექტრში მწვავე კრიტიკა მოჰყვა. ხელისუფლება და ე.წ. გაერთიანებული ოპოზიცია შეფასებებში კვლავაც სრულ უნისონში აღმოჩნდნენ (რაც მოულოდნელი, ალბათ, არავისთვის ყოფილა), ხოლო მათ მიერ მართული და დაფინანსებული „ლიბერალური“ მედია ისევ ჩვეული დესტრუქციული რიტორიკით გაჯერებულმა ახალმა ანტირუსულმა ისტერიკამ მოიცვა. მეტიც, მმართველმა გუნდმა, რომელიც თავის დროზე სწორედ რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირების დაპირებით მოვიდა (და ამ დაპირებით მოიპოვა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მხარდაჭერა), მოცემულ ეტაპზე კრემლთან დიალოგი გამორიცხა.**

უმაღლეს სახელისუფლო დონეზე ხაზგასმით ითქვა, რომ არსებულ ვითარებაში რუსეთთან დიალოგის წინაპირობა არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, რადგან დიალოგი დიალოგისთვის საქართველოს დააზიანებს: „სიღრმისეულად თუ გავაანალიზებთ, ეს თემა გაცილებით რთულია, ვინაიდან პოლიტიკური დიალოგის წინაპირობა არ არსებობს... დიალოგი დიალოგისთვის ჩვენთვის ცოტა დამაზიანებელი იქნება და არა მგონია, რომ სწორი ნაბიჯი იყოს“, — განაცხადა მედიასთან საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა **გია ვოლსკიმ.**

რა გზავნილია დღეს საქართველოსთვის კოსაჩევის განცხადება დიალოგის თაობაზე და შესაძლებელია თუ არა ამ ყველაფრის მიღწევა ამ ხელისუფლების პირობებში?

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე.**

**— ბატონო დიმიტრი, კონსტანტინე კოსაჩევმა ამას წინათ პირდაპირ ეთერში განაცხადა, რომ რუსეთი მზადაა, საქართველოსთან საპარლამენტო დიალოგი აღადგინოს. ამ განცხადებას ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ჩვეული ანტირუსული ისტერიკა მოჰყვა... როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავს ჩვენთვის ეს განცხადება და რას მოგვცემს რეალურად საპარლამენტო დიალოგი რუსეთთან, თუ, რა თქმა უნდა, აღდგება ეს დიალოგი?**

— ის პოლიტიკოსები, რომლებიც მუდმივად განგაშს ტეხენ და ერთგვარი აგრესიული რიტორიკით აფასებენ ხოლმე რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან დიალოგის აუცილებლობაზე გაკეთებულ განცხადებებს, იქნება ეს **კოსაჩევის, ლავროვისა** თუ სხვა რომელიმე მაღალჩინოსნის, ქართული პოლიტიკური სივრცის ჩვეულებრივი რუდიმენტები არიან, რომლებიც ძალიან მალე ამოწურავენ თავს, **იმიტომ, რომ რეალობა ქართულ-რუსული ურთიერთობების აღდგენის აუცილებლობაა. სხვანაირად ქართული სახელმწიფოს განვითარების შესაძლებლობა წარმოუდგენელია და, რაც დრო გადის, ამაში სულ უფრო ვრწმუნდებით.**

რაც შეეხება ამ ურთიერთობების აღდგენის მნიშვნელობას, **თუ ჩინური მთავარი პოლიტიკური სლოგანის შინაარსს გავიზიარებთ, რომელიც გულისხმობს იმას, რომ ჯერ ეკონომიკაა პრიორიტეტი და შემდგომ — პოლიტიკა, დავრწმუნდებით, რომ საქართველო პლაცენტით არის მიბმული რუსეთზე. დამოკიდებულია თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ, მაგალითად, ისეთი სასიცოცხლო სეგმენტი ეკონომიკაში, როგორიცაა ხორბლით მომარაგება, თითქმის მთლიანად ხორციელდება რუსეთიდან. ლაპარაკია ჩვენთვის ხელსაყრელ ფასში იმპორტის 90%-ზე.** არაფერს ვამბობ ენერგომატარებლების შესახებ დადებულ შეთანხმებებზე, რომლებითაც საქართველო ასევე ძალიან ხელსაყრელი ფასებით სარგებლობს ნავთობპროდუქტებზე, აგრეთვე, თხევად აირზე... მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ეკონომიკური ურთიერთობები ქვეყნებს შორის ვითარდება და იმ ფონზე, როცა მსოფლიოში ფინანსური კრიზისი მწვავდება, რომელსაც საქართველოც გვერდს ვერ აუვლის, რუსეთის, როგორც ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბუნებრივი პარტნიორის, როლი და მნიშვნელობა მატულობს. **ამიტომ არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საქართველოსთვის, რომ სახელმწიფო პოლიტიკა შეესაბამებოდეს ამ ობიექტურ მოცემულობას და, როცა იქიდან დიალოგზე ისმის განცხადებები, აქედან ანტირუსული ისტერიკით არ უნდა უპასუხონ.**

**— მიუხედავად თქვენ მიერ ნახსენები რიგი ეკონომიკური ფაქტორებისა, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს განვითარებაში, ჩვენს პოლიტიკურ სპექტრში ანტირუსული განწყობა იზრდება. მეტიც, კრემლის ლანძღვა-გინება იმ დროს, როცა ოფიციალური მოსკოვიდან განცხადებები კეთდება დიალოგის აუცილებლობაზე, იქცა ერთგვარ პოლიტიკურ ტესტად, რომლითაც განისაზღვრება ამა თუ იმ სუბიექტის მომავალი. როგორ შეიძლება ამ მავნე წნეხიდან თავის დაღწევა და კრემლთან პირდაპირი დიალოგის იდეის სათანადო პოლიტიკურ დონეზე წამოწევა?**

— საქართველო და რუსეთი დღეს არიან ისეთ ორ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო ფორუმში, როგორებიცაა ევროპის საბჭოს საპარლამენტთაშორისო ასამბლეა და ეუთოს საპარლამენტთაშორისო ასამბლეა. სხვათა შორის, შეგახსენებთ, რომ **ეუთოს ასამბლეა 2016 წელს საქართველოში ჩატარდა და, რომ არა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლობა, გიგი წერეთელი ამ ასამბლეის პრეზიდენტი ვერ გახდებოდა. ანუ, როცა ნაცებს დასჭირდათ, რუსული დელეგაცია შემოუშვეს. ამ დელეგაციასთან ერთად ქვეყანაში იმყოფებოდა ლეონიდ სლუცკიც, რომელსაც ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონი ჰქონდა დარღვეული. ახლა წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, სხვა რომელიმე პარტიის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე რომ ჩამოსულიყო ეს ადამიანი, რევოლუციას მოაწყობდნენ...**

რაც შეეხება შეკითხვას, როგორ შეიძლება, ქვეყანა გამოვიდეს იმ მოჯადოებული წრიდან, რომ რუსეთთან დიალოგზე საუბარი პოლიტიკურ რისკებს არ შეიცავდეს, კარსმომდგარი საპარლამენტო არჩევნების ფონზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოების როლი იმ თვალსაზრისით, რომ პოლიტიკურმა სპექტრმა მიიღოს მკაფიო გზავნილები. **საზოგადოება არ უნდა იყოს გულგრილი პროცესებისადმი და არ უნდა მოტყუვდეს ლოზუნგებით, რომ თურმე ჩვენი მომავალი ევროკავშირია. ევროკავშირი თვითონ ევროპის მომავალი არ არის, რაც, სხვათა შორის, „კოვიდ-19“-ის პანდემიამ საბოლოოდ დაამტკიცა.** ანტირუსულ ისტერიკას რაც შეეხება, ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: **ნებისმიერი პოლიტიკოსი, რომელიც დღეს კოსაჩევის წინადადებას აკრიტიკებს და მას რუსული პროპაგანდის გამოვლინებად მიიჩნევს, არის ჩვეულებრივი მკვდრადშობილი პოლიტიკური აზროვნების ნიმუში, რომლის ადგილიც მმართველ ელიტაში არ უნდა იყოს.**

**— თუმცა ერთია დაბრკოლებები, რომლებიც პოლიტიკურ სპექტრში არსებობს რუსეთთან პირდაპირი დიალოგის დასაწყებად, და მეორე — გარე ფაქტორები. ცალკეული დასავლური ძალები (ევროპის სახალხო პარტიის, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის სახით და ა.შ.) ყველანაირად ცდილობენ, თბილისსა და მოსკოვს შორის არ მოხდეს ურთიერთობების ნორმალიზება. რა ბერკეტები აქვთ მათ საქართველოს ხელისუფლებაზე ზეგავლენის მოსაპოვებლად?**

— ჩვენი ე.წ. ლიბერალური ელიტა, როგორც რვაფეხას, ისე აქვს დასავლეთს ინსტიტუციურად შეწოვილი. ეს გამყარებულია მთელი რიგი ვალდებულებებით და ცხადია, ისინი ამ ვალდებულებებს ზედმიწევნით ასრულებენ.

ბერკეტებს რაც შეეხება, **ხელისუფლებამ, რომელმაც დღიდან სათავეში მოსვლისა დაიწყო და დღემდე წარმატებით განაგრძობს ხალხის მოტყუებას, იცის, რომ, როგორც კი დაკარგავს გარე ძალების მხარდაჭერას, თუნდაც პოლიტიკური დივიდენდების დონეზე, მისი დღეები დათვლილია. აი, ეს არის ბერკეტი და მათ კარგად მოეხსენებათ, რომ ძალაუფლების ერთადერთი გარანტი დასავლეთია.** ახლა რა შეიძლება იყოს აქედან გამოსავალი, ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: ქართველმა ხალხმა ერთსულოვანი, პრინციპული გადაწყვეტილებით უარი უნდა თქვას მავნე პოლიტიკურ პრაქტიკაზე. არჩევნები ამის მთავარი საშუალებაა, ხოლო, თუ არჩევნებით ცვლილებების შესაძლებლობას წაგვართმევენ, სხვა კონსტიტუციური უფლებები და საშუალებებიც არსებობს...

**— უკრაინაში სააკაშვილის მნიშვნელოვან თანამდებობაზე დანიშვნაზეც გკითხავთ. საქართველომ საპასუხოდ კიევიდან ელჩი გამოიწვია, რაც პრეზიდენტმა ზელენსკიმ ქართული დიპლომატიის შეცდომად შეაფასა. თქვენი აზრით, რა სირთულეები შეიძლება წარმოიშვას ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაში?**

— სირთულეებსა და დაძაბულობაზე, ალბათ, ნაადრევია საუბარი, იმიტომ, რომ **სააკაშვილის დანიშვნას არც საქართველოს ეკითხებიან და არც უკრაინას.** ფაქტია: **ქართული მართლმსაჯულების მიერ ძებნილ ექსპრეზიდენტს უკვე დაუფარავად მფარველობენ. სხვათა შორის, გაგახსენებთ, რომ თავის დროზე, როცა სააკაშვილმა უარი თქვა საქართველოს მოქალაქეობაზე, შემდეგ კი დაკარგა უკრაინის მოქალაქეობაც და გახდა აპატრიდი, გაეროს ის აღიარა პოლიტდევნილად.** ეს გადაწყვეტილება იმისთვის მიიღეს, რომ სააკაშვილს მოეპოვებინა პოლიტიკური სრულფასოვნება, თუმცა ჩვენმა ე.წ. ლიბერალურმა მედიამ მაშინ ამაზე თვალი დახუჭა და ეს თემა არ გაუშუქებია. იმის თქმა მინდა, რომ **სააკაშვილის უკრაინიდან გაძევება, შემდეგ პოლონეთში გადაყვანა, იქ სპეციალური სამგზავრო პასპორტის გადაცემა და ჰოლანდიაში წასვლა, სადაც ბინადრობის უფლება მიეცა, გაეროს მიერ იყო ორგანიზებული.** რა გამოდის: გაერო, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი გავლენიანი ორგანიზაციაა, სააკაშვილის პოლიტიკური გადარჩენით და არა მხოლოდ გადარჩენით, რეაბილიტაციითაც იყო დაინტერესებული. აი, ეს არის ის საერთაშორისო მფარველობა, რომელიც სააკაშვილს ყოველთვის აძლევს პროცესების ზედაპირზე ტივტივის საშუალებას, თუმცა **უკრაინელ ხალხს ისევე არ ეკითხებიან არაფერს, როგორც ჩვენ არ გვკითხეს თავის დროზე.**

ზელენსკის განცხადებას რაც შეეხება, შეგახსენებთ, რომ **არსებობს 1993 წლის მინსკის კონვენცია, რომლის თანახმად, საქართველომ და უკრაინამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას სისხლის სამართლის სფეროში თანამშრომლობაზე, სამართლებრივ დახმარებასა და ძებნილ პირთა გაცვლისა და ექსტრადირების ხელშეწყობაზე. ჩემი აზრით, ამ შეთანხმების უხეშად დარღვევა და ქართული სახელმწიფოს შეურაცხყოფა იყო უკრაინის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მხრიდან ის, რაც მათ გააკეთეს, ამიტომ ბატონი ზელენსკი შეცდომებზე კი არ უნდა ლაპარაკობდეს, სულ ცოტა, სინდისი უნდა ქენჯნიდეს, რომ ერთი პიროვნების პოლიტიკური რეაბილიტაციის მცდელობას ეწირება სახელმწიფოთა ურთიერთობა.** სხვა დანარჩენი, რა იქნება და როგორ, დრო გვიჩვენებს, თუმცა დარწმუნებული ვარ, როგორ ფრთხილადაც უნდა მოიქცეს უკრაინის ხელისუფლება საქართველოსთან მეგობრული ურთიერთობების შესანარჩუნებლად, სააკაშვილის დაოკებას ვერ შეძლებენ. სააკაშვილი მუდმივად ეცდება, იყოს ყურადღების ეპიცენტრში და დესტრუქციული პოლიტიკით იტივტივოს პროცესების ზედაპირზე, რაც თბილისსა და კიევს შორის მუდმივად წარმოქმნის სირთულეებს. ეს არის ფაქტი, რომელსაც ვერც ჩვენ და ვერც უკრაინული მხარე ვერ გავექცევით.

**«არსებობს 1993 წლის მინსკის კონვენცია, რომლის თანახმად, საქართველომ და უკრაინამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას სისხლის სამართლის სფეროში თანამშრომლობაზე, სამართლებრივ დახმარებასა და ძებნილ პირთა გაცვლისა და ექსტრადირების ხელშეწყობაზე. ჩემი აზრით, ამ შეთანხმების უხეშად დარღვევა და ქართული სახელმწიფოს შეურაცხყოფა იყო უკრაინის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მხრიდან ის, რაც მათ გააკეთეს, ამიტომ ბატონი ზელენსკი შეცდომებზე კი არ უნდა ლაპარაკობდეს, სულ ცოტა, სინდისი უნდა ქენჯნიდეს, რომ ერთი პიროვნების პოლიტიკური რეაბილიტაციის მცდელობას ეწირება სახელმწიფოთა ურთიერთობა»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**ხელისუფლებაში ვინმეს იმაზე თუ უფიქრია, რომ რუსულ მხარესთან პირისპირ საუბარმა, შესაძლოა, ისეთი რამ მისცეს ქვეყანას, რაზეც ხელისუფლება უარს არ იტყვის. დაუკვირდით — ვერ კი არა, არ იტყვის, ე.ი., საქართველოსთვის სასიკეთო და მნიშვნელოვანი რამ შეიძლება იყოს. ჰოდა, ეს „შეიძლებაა“, რომ აწვალებს ევროპასა და ამერიკას და ამიტომ ყველაფერს აკეთებენ, რათა ეს შეხვედრა არ გაიმართოს.**

საგარეო ვექტორი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არაერთხელ დაგვიწერია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მაქსიმუმი უნდა გააკეთოს რუსეთთან პირისპირ საუბრის გასამართავად. უფრო კონკრეტულად, ქართულმა და რუსულმა მხარეებმა შუამავლებისა და მესამე მხარის გარეშე უნდა ისაუბრონ. ფაქტია, როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს ბევრი აქვს სათქმელი და, რაც მთავარია, წლებია, მეზობელი ქვეყნების უმაღლესი წარმომადგენლები ერთ მაგიდასთან შუამავლების გარეშე არ დამსხდარან. სხვათა შორის, პირისპირ საუბრის მცდელობა შარშან იყო, როცა სერგეი ლავროვი დავით ზალკალიანს შეხვდა. მაშინვე ითქვა, რომ ძალიან დიდი ალბათობით დავოსის ფორუმზე გიორგი გახარიასა და ვლადიმერ პუტინის პირისპირ შეხვედრა იგეგმებოდა.**
**ამ შეხვედრის შესაძლებლობა პირდაპირი ნიშანი იყო დასავლეთისთვის და საქართველოს პრემიერი აიძულეს, დავოსის ფორუმის მიმდინარეობისას, სადაც მხოლოდ ეკონომიკური საკითხები განიხილებოდა, პუტინი გაეკრიტიკებინა. შეგახსენებთ, რომ ქართული დელეგაციის ხელმძღვანელი ერთადერთი იყო, ვინც ფორუმზე პუტინი გააკრიტიკა. სხვა ლიდერებმა მხოლოდ ეკონომიკაზე ისაუბრეს. სწორედ ამ კრიტიკის გამო გახარია-პუტინის შეხვედრის შესაძლებლობა მაშინ არათუ გამოირიცხა, არამედ გაურკვეველი ვადით გადაიდო.**

# რატომ არ სურს დასავლეთს რუსეთისა და საქართველოს ერთი-ერთზე საუბარი

## ახლა, როცა არ ვიცით, რა შეიძლება გვითხრას რუსულმა მხარემ, იმის თქმა, რომ შეხვედრა «რეზულტატის გარეშე» იქნება, მოლაპარაკებების მაგიდიდან გაქცევას ნიშნავს


კონსტანტინე კოსაჩოვი


გიორგი ვოლსკი

„რუსეთი მზად არის სრულად აღადგინოს საპარლამენტო დიალოგი უკრაინასა და საქართველოსთან. მინდა ჩემი კოლეგების, რუსი პარლამენტარების სახელით, დავადასტურო ჩვენი მაქსიმალური მზადყოფნა, რომ სრულად ალვადგინოთ საპარლამენტო დიალოგი, როგორც ჩვენს თანამოაზრეებთან, ისე ჩვენს ოპონენტებთან — უკრაინასა და საქართველოსთან. ჩვენ არ გვეშინია მწვავე თემების განხილვის. ჩვენ გვაქვს სათქმელი და მზად ვართ, მოვისმინოთ თანამოსაუბრეების არგუმენტებიც“, — განაცხადა რუსეთის ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე **კონსტანტინე კოსაჩოვმა.**

კოსაჩოვი რუსულ პოლიტიკაში უმნიშვნელო ფიგურა რომ არ არის და ამ განცხადებას მარტო თავისი ინიციატივით რომ არ გააკეთებდა, თქმა არ უნდა. მას მწვანე შუქი ქვეყნის უმაღლესმა პირებმა აუნთეს და ამიტომ ილაპარაკა საქართველოსა და რუსეთს შორის საპარლამენტო დიალოგის აღდგენაზე. სიმართლე გითხრათ, დარწმუნებული ვიყავით, რომ რუსეთის ინიციატივას საქართველოში დადებითად შეხვდებოდნენ. მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ითქვა, რომ მათ აქვთ სათქმელი და მზად არიან, მოისმინონ ოპონენტების პასუხიც. საქართველოს ხელისუფლებაში ითათბირეს და პოზიცია პარლამენტის ვიცესპიკერ **გიორგი ვოლსკის** პირით გვამცნეს.

„არ შეიძლება, ბორდერიზაციის პროცესისა და ხალხის გატაცების პირობებში რუსეთის ფედერაციასთან დიალოგს რამე პოზიტიური ჰქონდეს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ არსებობს ჟენევის ფორმატი, არსებობს მაღალი დონის შეხვედრების ფორმატი, სადაც რუსეთს პოლიტიკურ თემასთან არანაირი პოზიტიური ნება არ გამოუჩენია არასდროს. ასეთი შეხვედრა ვირტუალურად რომც შედგეს, პირველივე იქნება რეზულტატის გარეშე“, — განაცხადა ვოლსკიმ.

მოდი, მშვიდად განვიხილოთ, რა თქვა რუსულმა მხარემ და რა უპასუხა ქართულმა. **კოსაჩოვმა პირდაპირ განაცხადა: არ გვეშინია მწვავე თემების განხილვის, სათქმელიც გვაქვს და მოვისმენთ კიდეცო, ანუ ბატონ ვოლსკის თავის მართლება, ბორდერიზაციისა და ადამიანების გატაცების პირობებში როგორ უნდა ვისაუბროთო, განწირულია — რუსული მხარე მზად არის ნებისმიერ თემაზე სასაუბროდ. ნუთუ ქართულ მხარეს ჰგონია, რომ რუსებმა არ იციან ჟენევის ფორმატის არსებობის შესახებ?** იქ სხვების თანდასწრებით საუბარი რომ სურდეთ, ვინმე დაუშლიდათ? **მაგრამ არა, ქართულმა მხარემ ზუსტად იცის, რომ ჩრდილოელ მეზობელთან პირისპირ საუბარს დასავლელი პარტნიორები არ დაანებებენ** და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ხელისუფლება ამ თემას არ დაუბრუნდება, თუ ჟურნალისტებმა არ შეახსენეს.

საინტერესოა, ხელისუფლებაში ვინმეს იმაზე თუ უფიქრია, რომ რუსულ მხარესთან პირისპირ საუბარმა, შესაძლოა, ისეთი რამ მისცეს ქვეყანას, რაზეც ხელისუფლება უარს არ იტყვის. დაუკვირდით — ვერ კი არა, არ იტყვის, ე.ი., საქართველოსთვის სასიკეთო და მნიშვნელოვანი რამ შეიძლება იყოს. ჰოდა, **ეს „შეიძლებაა“, რომ აწვალებს ევროპასა და ამერიკას და ამიტომ ყველაფერს აკეთებენ, რათა შეხვედრა არ გაიმართოს.** ვოლსკიმ წერტილიც დასვა, — პირველივე შეხვედრა „რეზულტატის გარეშე“ იქნებაო. ისე, ვინმემ თქვა, რომ პირველ შეხვედრაზევე დალაგდება და გადაწყდება ყველაფერი? პირველ შეხვედრას მოთელვითი სახე ექნება, მხარეები იდეებს გაცვლიან, ერთმანეთის აზრებს მოისმენენ და აი, პირველი შეხვედრის შემდეგ რომ ეთქვა, ვერ შევთანხმდებით, სხვადასხვა ენაზე ვსაუბრობთო, კიდევ გასაგები იქნებოდა, მაგრამ **ახლა, როცა ჯერ არ ვიცით, რა შეიძლება გვითხრას რუსულმა მხარემ, იმის თქმა, რომ შეხვედრა „რეზულტატის გარეშე“ იქნება, მოლაპარაკებების მაგიდიდან გაქცევას ნიშნავს.**

საინტერესოა, ოპოზიციის მოსაზრება ამ ყველაფერზე. ცოტა ხნის წინათ ოპოზიციის ლიდერები ერთ მაგიდასთან ისხდნენ, ერთად უტევდნენ ხელისუფლებას და გაოცებით ამბობდნენ, — როგორ შეიძლებოდა, **ნინო ბურჯანაძესთან** ერთად ვმსხდარიყავით, მაგრამ ახლა გაერთიანება გვმართებსო. ბურჯანაძეს კი იმიტომ უტევდნენ, რომ პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე რუსეთთან დიალოგის მომხრეა და, როცა კოსაჩოვმა ზემოხსენებული განცხადება გააკეთა, დარბაზში იმყოფებოდა. ქალბატონი ნინო არ მალავს, რომ დიალოგის შესაძლებლობა ურიგო არ არის, მაგრამ დიალოგს კატეგორიულად ისიც არ მოითხოვს.

**იმ განცხადებით, რომელიც ქართულმა მხარემ რუსეთის შეთავაზების პასუხად გააკეთა, დამტკიცდა ერთი რამ: საქართველოს ხელისუფლებას არ აქვს უფლება, დამოუკიდებლად ესაუბროს რომელიმე სხვა სახელმწიფოს. ამის უფლება თუ აქვს, იმავე დასავლეთთან რატომ არ აპროტესტებს მიხეილ სააკაშვილის დანიშვნას უკრაინაში? თუ შანსს არ უშვებს, რეალური თუ მოგონილი საბაბით რუსეთს დასავლეთთან უჩივლოს, რატომ არ ჩივის დასავლეთთან უკრაინაზე? იმიტომ, რომ ყმა ბატონს საყვედურს ვერ ჰკადრებს, ესეც დასავლეთმა გადაწყვიტა, ჩვენთან «პარტნიორობა» ფეხებზე დაიკიდა, საჯაროდ უხერხულ სიტუაციაში ჩაგვაგდო**

**ეჭვი გვაქვს, სწორედ გაერთიანებულ ფორმატში მოისმინა და ნახა ისეთი რამ, რაზეც ხმამაღლა არ საუბრობს, მაგრამ ხვდება, რომ ქართულ პოლიტიკას ამერიკელი და ევროპელი ელჩები აკონტროლებენ. იმ განცხადებით, რომელიც ქართულმა მხარემ რუსეთის შეთავაზების პასუხად გააკეთა, დამტკიცდა ერთი რამ: საქართველოს ხელისუფლებას არ აქვს უფლება, დამოუკიდებლად ესაუბროს რომელიმე სხვა სახელმწიფოს. ამის უფლება თუ აქვს, იმავე დასავლეთთან რატომ არ აპროტესტებს მიხეილ სააკაშვილის დანიშვნას უკრაინაში? თუ შანსს არ უშვებს, რეალური თუ მოგონილი საბაბით რუსეთს დასავლეთთან უჩივლოს, რატომ არ ჩივის დასავლეთთან უკრაინაზე? იმიტომ, რომ ყმა ბატონს საყვედურს ვერ ჰკადრებს, ესეც დასავლეთმა გადაწყვიტა და ჩვენთან „პარტნიორობა“ ფეხებზე დაიკიდა, საჯაროდ უხერხულ სიტუაციაში ჩაგვაგდო.** პრინციპში, დიდი უხერხულობა ვერც შევნიშნეთ ძლიერთა ამა ქვეყნისა და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები, სავარაუდოდ, უკვე მიეჩვივნენ იმას, რომ „საერთაშორისო პარტნიორებს“ მხოლოდ მაშინ ვახსენდებით, როცა რუსეთის ლანძღვა სჭირდებათ ჩვენი პირით. ჰო, **ისიც თქვეს, უკრაინასთან სააკაშვილის გამო ურთიერთობის გაფუჭება არ ღირს, უკრაინა ხორბლის ბეღელიაო. რომელი ხორბლის, ბატონებო? პურის გამოსაცხობად საჭირო ხორბლის 90% რუსეთიდან შემოგვაქვს! ან რას ნიშნავს, სააკაშვილის გამო არ შეიძლება ურთიერთობის გაფუჭება? სისხლის სამართლის არაერთ დანაშაულში სასამართლოს მიერ დამნაშავედ ცნობილი და სასჯელშეფარდებული კაცი თანამდებობაზე დანიშნეს, თანაც როგორზე, — კორუფციისთვის სასჯელდებული კორუფციას უნდა ებრძოლოს, — და... საინტერესოა, როცა უკრაინაში საქართველოს დელეგაცია გაემგზავრება, მოლაპარაკებების მაგიდასთან ჩვენი მართლმსაჯულების ძებნილი სააკაშვილი რომ დაახვედრონ, რა მოხდება? არც არაფერი, რადგან დასავლეთს ასე სურს, ხმასაც ვერავინ ვერ ამოიღებს.**

რაღა თქმა უნდა, ამ ყველაფრით, პირველ რიგში, რიგითი მოქალაქეები ზარალდებიან. როგორი საქმეა, ქართულ-რუსული დიალოგის შემდეგ რომ გაირკვეს, რომ მოლაპარაკებებით იმ პრობლემების მოგვარება შეიძლებოდა, რომლებსაც საქართველოს მოსახლეობა უპირველესად მიიჩნევს? ან ისე რომ მოხდეს, რომ რუსულმა მხარემ საქართველოს „მაპზე უკეთესი“ შესთავაზოს? ეს დასავლეთის კრახი იქნება და სწორედ ამ კრახის ეშინიათ დასავლეთში. ისე ჩანს, ევროპელმა და ამერიკელმა ლიდერებმა ზუსტად იციან, რა შეიძლება თქვას რუსულმა მხარემ და ამიტომ არ სურთ მოლაპარაკებებზე საქართველოს გაშვება შუამავლების – ე.ი. მეთვალყურე-ზედამხედველების გარეშე.

რეალობაა, რომ **რუსეთმა უკვე მერამდენედ გადმოდგა პირველი ნაბიჯი და უკვე მერამდენედ ვთქვით უარი დიალოგზე. უარი ჩვენით არ გვითქვამს, მაგრამ ფაქტია: მოლაპარაკებები უხლოეს მომავალში არ გაიმართება და, სანამ ამერიკის ელჩი პარლამენტის თავმჯდომარეს დასჯილ მოსწავლესავით დააყენებს ხოლმე კუთხეში და მისაღებ კანონს მაგიდაზე მუშტის ბრახუნით დაუდებს, არაფერი არ გვეშველება. ეს ის დასავლეთია, ევროპარლამენტიდან რომ გვითვლის: პანდემია და ვირუსი კი არა, დროზე შეცვალეთ კონსტიტუცია და არ გვაინტერესებს, რამდენი ადამიანი დაავადდებაო!** ჰოდა, პარლამენტიც ამ თვის ბოლოს აუცილებლად განაახლებს სესიებს და დასავლელი ელჩების მიერ ჩამოწერილ საკონსტიტუციო ცვლილებებსაც დააჩაქუჩებს. ჰო, მანამდე **უგულავა, ოქრუაშვილი** და **რურუა** პოლიტპატიმრებად უნდა შემოგვასაღონ, ოღონდ ეს ყველაფერი მერე იქნება, მერე.

**ბესო ბარბაქაძე**

**P.S. ჩემს ბავშვობაში იყო ასეთი ანეკდოტი: მამა ეძახის ეზოში მყოფ შვილს, დროზე ამოდიო. — მშია?! — იკითხა ბავშვმა. — არა, ტუალეტში უნდა შეხვიდე, — უპასუხა მამამ და...**

**ქართულ-დასავლურ ურთიერთობას მაგონებს ეს ანეკდოტი.**

პოზიცია
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ქვეყანამ თავი უნდა ირჩინოს. სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის გაღებული თანხა იქნება დიდი სტიმული ქვეყნის მოსახლეობისთვის, იქნება განცდა, რომ ზრუნავენ ხალხზე, შრომის სურვილი იქნება და არ იქნება „გირჩის“ ატმოსფერო — მოწიე, არ იმუშავო, გააფუჭე, დალიე, გააკეთე, რაც გინდა“.**



*გულბაათ რცხილაძე:*

# ფულს, რომელსაც ასე ველოდებით, იმისთვის გვაძლევენ, რომ ეკონომიკა ავამუშავოთ და სოფლის მეურნეობა ავაღორძინოთ თუ ვაქცინაცია ჩავატაროთ?

## რას უქადის ჩვენს ქვეყანას საყოველთაო ვაქცინაცია

**საქართველო „კოვიდ-19“-ის საწინააღმდეგო პრეპარატების გამოცდასა და კვლევაში ერთვება. „საქართველოში შემოიტანენ ოთხივე მედიკამენტს. იქნება პაციენტების ოთხი ჯგუფი. ერთი ჯგუფი „რემდესივირს“, მეორე — „პლაქვენილს“, მესამე — „ლოპინავირ/რიტონავირს“, მეოთხე ჯგუფი კი „ლოპინავირ/რიტონავირს“ „ბეტა ინტერფერონთან“ ერთად, ანუ ოთხი თანაბარი ჯგუფი იქნება და ესენი მიიღებენ ამ მედიკამენტებს“, — განაცხადა ინფექციური საავადმყოფოს დირექტორმა თენგიზ ცერცვაძემ. არის თუ არა კორონავირუსი მიმართული პატარა ქვეყნების გაკოტრებისკენ და რას უქადის ჩვენს ქვეყანას საყოველთაო ვაქცინაცია A— ამ და სხვა საინტერესო თემებზე „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე გვესაუბრება.**

— კორონავირუსის პანდემიაზე იმდენი განსხვავებული მოსაზრება გამოითქვა, რომ მკითხველისთვის, ალბათ, საინტერესო აღარც არის ამ საკითხზე საუბარი. ყველანი მივხვდით, რომ ეს არ არის სასიკვდილო ინფექცია. დროა, წინ გაიხედოს ჩვენმა ქვეყანამ, **რომელსაც მწირი რესურსი აქვს საარსებოდ. დროა, საქართველოსნაირ პატარა ქვეყნებს ჰქონდეთ გადაწყვეტილების მიღების სუვერენული უფლება.** საზოგადოებამ კარგად იცის, რომ პანდემიის გამო დიდ ქვეყნებს აღარ სცალიათ სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩასარევად, რაც კარგია. ვხედავთ, რომ ბოლო პერიოდში, მართლაც არავინ აღარ ერევა ჩვენს საქმეებში, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ასე დიდხანს გაგრძელდება, უბრალოდ, უკანა პლანზე გადავიდა დროებით.

ამ დროებითი უყურადღებობით ჩვენმა ქვეყანამ უნდა ისარგებლოს, უნდა „გადატვირთოს“ პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა და მომხდარიდან მაქსიმალური სარგებელი მიიღოს.

**— საქართველომ კორონავირუსი დაამარცხა, ამის თქმა უკვე თამამად შეგვიძლია, მაგრამ გვეუბნებიან, რომ ამ ვირუსთან ერთად უნდა ვიცხოვროთ და რომ შესაძლოა, შემოდგომაზე მეორე ტალღა გაჩნდეს... გაუმკლავდება ეკონომიკურად სუსტი საქართველო იმავე შეზღუდვებს, რომლებიც აქამდე იყო? ხომ არ არის მიმართული ეს ყველაფერი იქით, რომ იძულებით აგვაღებინონ ვალი, რომელსაც, ალბათ, რაღაცის სანაცვლოდ ჩამოგვაწერენ და ეს რაღაც ვაქცინაცია იქნება?**

— შეკითხვას რამდენიმე ნაწილად დავყოფ და თავდაპირველად ეკონომიკას შევეხები, უფრო ზუსტად, პრემიერის მიერ წარმოდგენილ ანტიკრიზისულ გეგმას. რამდენიმეპუნქტიან გეგმაში არის ერთჯერადი დახმარებები: ერთი — 300-ლარიანი, მეორე — 200-ლარიანი, რომელიც 6 თვის განმავლობაში გაიცემა, არის სოციალურად დაუცველთა დახმარება, რომელსაც არ შევეხები. 300-ლარიანი და 200-ლარიანი დახმარებები არასწორი გადაწყვეტილებაა, რადგან უმუშევარი კაცისთვის ერთჯერადი დახმარება ცხელ ლოდზე დასხმული ერთი წვეთი წყალივითაა. კარგი იქნებოდა, ყველა რესურსი, რომლებიც ქვეყანას აქვს, მობილიზებული და მიმართულიყო ყოფილიყო იქით, რომ უმუშევრები დაესაქმებინათ. ვირუსის გამო ბევრი ადამიანი სოფელს დაუბრუნდა. ხომ არ სჯობდა, ხელისუფლებას გამოცდილი მეთოდი აემუშავებინა და კოლექტიური მეურნეობის მსგავსი რამ გაეკეთებინა?

დღეს მთავრობა ბევრს საუბრობს, რომ სოფლის მეურნეობა პრიორიტეტული უნდა გახდეს, რომ ერთწლიანი კულტურები დაფინანსდეს, სწორედ ამისთვის არის აუცილებელი ხალხის დასაქმება, ხალხისა, რომელიც ახლა სოფელში წავიდა და ცდილობს, მიწას მიხედოს. საგანგებო მდგომარეობა უნდა გამოიყენონ იმისთვის, რომ მიწის დამუშავება იყოს აუცილებელი და ამის ორგანიზება სახელმწიფომ უნდა დაიკისროს. ეს არ უნდა იყოს იძულებითი და დიქტატორული გადაწყვეტილება, მაგრამ უნდა იყოს აუცილებელი. მერწმუნეთ, ყველა კმაყოფილი დარჩება. ყველა უმუშევარი, რომელიც არ არის ზარმაცი, დასაქმდება სოფლად. ხელისუფლებაც თამამად იტყვის: აი სამუშაო, ვისაც მუშაობა უნდა, იმუშაოს.

სოფლის მეურნეობის დახმარება, ფულის დახარჯვა ამ სფეროში დროებითი მოვლენა კი არა, გრძელვადიანი და პერსპექტიული უნდა იყოს.

ჩვენ ვიცით, რომ 3 მილიარდი დოლარის დახმარებას გვპირდებიან ე.წ. პარტნიორები, თუმცა მათგან ჯერ კაპიკი არ მიგვიღია, მაგრამ მილიარდ-ნახევარი უკვე მობილიზებულია და წამოვა საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან. საინტერესოა, ფულს, რომელსაც ასე ველოდებით, იმისთვის გვაძლევენ, რომ ეკონომიკა ავამუშავოთ, სოფლის მეურნეობა ავაღორძინოთ თუ ვაქცინაცია რომ ჩავატაროთ?!

ამ საკითხზე დიპლომატებმა უნდა იმუშავონ, ეს მათი მოსაგვარებელია. დიპლომატებმა უნდა უთხრან სავალუტო ფონდს, რომ ფულს, რომელსაც გვაძლევთ, ამა და ამ საქმისთვის გვჭირდებაო, ჩვენ უნდა ავიღოთ გეზი, რომელიც ქვეყანაში ეკონომიკას ააღორძინებს. შესაძლოა, სავალუტო ფონდის კრიტერიუმი არ ითვალისწინებს მსგავს იდეებს, მაგრამ პოლიტიკური მოლაპარაკება უნდა გაიმართოს მასთან, ვინც მართავს სავალუტო ფონდს.

**— რაზეც ახლა ვსაუბრობთ, მგონი, ყველამ იცის, რომ ზღაპარია და სავალუტო ფონდის დირექტივას ჩვენი ხელისუფლება წინააღმდეგობას ვერ გაუწევს...**

— თუ ზღაპარია, მაშინ რა ჯანდაბად გვინდა ასეთი სახელმწიფო? თუმცა, სურვილი თუ იქნება ეკონომიკის აღორძინების, სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის, სახელმწიფოს აქვს საამისო სახსრები, აქაც შესაძლებელია საჭირო ფულის მოძიება. **საქართველოში ყოველი კვადრატული მეტრი მიწა უნდა დამუშავდეს, უნდა განვითარდეს მეცხოველეობა... ჩვენ არ ვსაუბრობთ იმაზე, რომ გავმდიდრდებით, მაგრამ საკუთარი თავის რჩენას შევძლებთ იქამდე, სანამ, როგორც გვპირდებიან, მეორე ტალღა წამოვა. ქვეყანამ თავი უნდა ირჩინოს. სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის გაღებული თანხა იქნება დიდი სტიმული ქვეყნის მოსახლეობისთვის, იქნება განცდა, რომ ზრუნავენ ხალხზე, შრომის სურვილი იქნება და არ იქნება „გირჩის“ ატმოსფერო — მოწიე, არ იმუშავო, გააფუჭე, დალიე, გააკეთე, რაც გინდა...**

**— ვალს, რომელსაც იღებს ისედაც დიდი ვალის მქონე პატარა ქვეყანა, საყოველთაო ვაქცინაციის ვალდებულების სანაცვლოდ ხომ არ აგვაღებინებენ? ამ შეკითხვას სხვა დროს, ალბათ, ექიმს დავუსვამდი, მაგრამ დღეს მსოფლიოში მიმდინარე პროცესები პოლიტიკოსის პრეროგატივა უფროა, ვიდრე ექიმის...**

— დიახ, ის, რაც ხდება მსოფლიოში, პოლიტიკაა, თუმცა სურათი ისეთია, თითქოს ექიმების გადაწყვეტილებით ხდება ყველაფერი.

ჩვენი ძალიან ცნობილი ექიმები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც ამ ე.წ. პანდემიის პერიოდში ჩანან, ხშირად საუბრობენ იმაზე, რასაც თვითონ ხედავენ. მათ არ იციან, რაზე საუბრობს ხალხი, ასეთ შემთხვევაში განათლება ფუჭია. ექიმები ხელმძღვანელობენ იმით, რასაც დაადგენს ჯანმო, ამერიკა და ვიღაც **ფაუჩი,** რომელიც სიბნელეში ტრიალებს, მისი გადაწყვეტილებები გამომდინარეობს გაურკვეველი კვლევებიდან...

საზოგადოება ვალდებულია, იკითხოს: რომელ კვლევებთან გვაქვს საქმე? რას მიაღწია მსოფლიო მედიცინამ? დრო გადის და ფაქტია, რომ კორონავირუსი არ არის სასიკვდილო, გავრცელების საფრთხეც ნაკლებია. ექიმებმა ეს ყველაფერი იციან, განსაკუთრებით ქართველებმა, მაგრამ უკან ველარ იხევენ.

ექიმები აიძულეს, ეთქვათ, რომ ეკლესიის საქმეში არ ერევიან, მაგრამ ძალიან მალე ისინი ჩაერივნენ ეკლესიის საქმეში, გააკეთეს საშინელი განცხადებები და აღმოჩნდნენ არაპროფესიონალები, იმიტომ კი არა, რომ მართლაც არაპროფესიონალები არიან, არა. უბრალოდ, მათ არ ჰქონდათ ინფორმაცია, თანაც აიძულეს, გამოსულიყვნენ ეკლესიის წინააღმდეგ. **თუ ექიმს ჰკითხავ: „ექიმო, საშიშია ერთი კოვზი ჩაიდოს ყველამ პირში?“ ექიმი გეტყვის, რომ ერთი კოვზით ჭამა არ შეიძლება... არავის დაუკონკრეტებია, რომ ზიარებაზეა საუბარი. ზიარება, საუკუნეებია, ხდება და არავინ არ დაინფიცირებულა. ექიმმა რომ თქვას, ზიარების კოვზი სხვააო, დასცინებენ.**

ეს ამხელა ამბავი იმისთვის მოვყევი, რომ ვთქვა, სწორედ მსგავსი რამ შეიძლება მოხდეს ვაქცინაციაზეც. **თუ ექიმს ჰკითხავენ, ვაქცინაცია საჭიროა თუ არაო, იტყვის, რომ აუცილებელია.**

**ვაქცინაცია მოიგონა ლუი პასტერმა, რომელიც უდიდესი ექიმი იყო, თანაც — მორწმუნე. საბჭოთა კავშირის პერიოდში ჩვენ გვიცრიდნენ და აღმოსავლეთ ევროპას, სადაც იყო აცრები, ე.წ. პანდემიამ მსუბუქად გადაუარა.**

აუცილებელია, ვიცოდეთ, რას ემსახურება ეს აცრა — გვარგებს თუ გვავნებს. ბევრს საუბრობენ **ბილ გეიტსისა** და **ილონ მასკის** პროექტებზე, მოსახლეობის შემცირებაზე, მაგრამ ამაზე საუბარი დღეს არ დაწყებულა, მე-18 საუკუნეში დაიწყო. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ისინი ბოროტები არიან და რაღაც ბნელ რიტუალებს ატარებენ, ადამიანების სისხლს სვამენ...

ჭარბი მოსახლეობა იწვევს პრობლემებს და მოსახლეობის მატება უნდა გაკონტროლდეს, — ეს არის მათი მიზანი. ევროპა წალეკა მიგრაციამ, თეთრი ევროპეიდული რასა გადაშენებისკენ მიდის, რესურსების ნაკლებობაა და ეს უკვე ფაქტია. მოკლედ, ჭარბი მოსახლეობა პრობლემაა. მათ მოიგონეს გამრავლების საწინააღმდეგო უამრავი საშუალება, რაც ბოროტებაა.

**«აუცილებელია, ვიცოდეთ, რას ემსახურება ეს აცრა — გვარგებს თუ გვავნებს. ბევრს საუბრობენ ბილ გეიტსისა და ილონ მასკის პროექტებზე, მოსახლეობის შემცირებაზე... მათ მოიგონეს გამრავლების საწინააღმდეგო უამრავი საშუალება, რაც ბოროტებაა»**

**— საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ 60 წლის ზემოთ ყველა ადამიანს უნდა ჩაუტარდეს ვაქცინაცია. გარდა ამისა, ჯანმოს კვლევაში მონაწილეობს საქართველოც, ამ პატარა ქვეყანაში ოთხი პრეპარატი უნდა გამოსცადონ. ამის შესახებ განცხადება უკვე გააკეთა ცნობილმა ექიმმა თენგიზ ცერცვაძემ, სწორედ ამიტომ ჩნდება ეჭვი — 3 მილიარდი, რომელიც ახლა უნდა მიიღოს ამ პატარა ქვეყანამ, ამ ვაქცინაციისა და ექსპერიმენტის ჩატარების სანაცვლოდ ხომ არ გვაძლევენ?**

— ძალიან ცუდი განცდაა, როდესაც გეუბნებიან, კვლევა უნდა ჩაგიტაროთო; როდესაც გეუბნებიან, რომ აუცილებლად უნდა აგცრათ, სავალდებულოაო... მოდი გავაკეთოთ ასე: **კვლევა და წამლების გამოცდა თვითონ ცერცვაძემ ჩაიტაროს, მხცოვანია, შესაბამისად, მიზანშეწონილია, ცერცვაძემ და ყველა იმ ექიმმა, რომლებიც ამბობენ, რომ ეს კვლევა საამაყოა, კვლევა ჩაუტარონ თავიანთი ოჯახების წევრებს. ჩვენ, დანარჩენი ქართველები, პოპკორნს დავიჭერთ ხელში და დავაკვირდებით აცრების შედეგებს. თუკი ყველაფერი კარგად ჩაივლის — ძალიან კარგი, თუ არა — გმირებად ჩავთვლით და დავწერთ, რომ თავი შესწირეს კაცობრიობის კეთილდღეობას,** თანაც წერილს **ბილ გეიტსის** ფოსტაზე გავგზავნით. ამას ირონიით არ ვამბობ, რუსეთში ვაქცინაზე მუშაობენ და ექიმებმა თვითონ გაიკეთეს ეს ვაქცინა, თუკი ჩვენი ექიმებიც ასე მოიქცევიან, ძალიან კარგი.

კვლევაში სიამაყით ჩართვა ქართველების მატრაკვეცობაა. ასე ხდებოდა ყოველთვის — პალესტინაში გაყიდეს ქართველებმა სიწმინდეები, ათონის მთაზე გაყიდეს ყველაფერი, ვყიდიდით საკუთარ შვილებს და ყიდიან დღესაც... ვუბრუნდებით წარსულს...

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

„წარმოიდგინეთ, რა ხდება მსოფლიოში და მათ შორის ევროპაში, განსაკუთრებით ბრექსიტის შემდეგ და ესენი ისევ გაიძახიან, ევროპა ჩვენი ისტორიული არჩევანიაო. რომელ ევროპულ ოჯახზეა საუბარი, როცა ვირუსმა, ფაქტობრივად, თავდაყირა დააყენა ერთიანი ევროპის იდეა. ან რომელ თანადგომასა და მხარდაჭერაზე გვესაუბრებიან, როცა ესპანეთი და იტალია პრაქტიკულად იზოლაციაში მოაქციეს და ელემენტარული დახმარება არ გაუწიეს? ევროკავშირის თითქმის ყველა ქვეყანამ ხომ თვითიზოლაცია გამოაცხადა და საკუთარ საზღვრებში ჩაიკეტა?“

ინტერვიუ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ლევან ჩაჩუა:

# მოსახლეობამ არა მხოლოდ იძულებით ვაქცინაციაზე უნდა თქვას უარი, არამედ იმ პოლიტელიტაზეც, რომელიც ამას დაუკანონებს და დააძალებს

**9 მაისს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ევროპის დღის გამო ვრცელი მიმართვა გაავრცელა და ყურადღება ქვეყნისთვის ევროინტეგრაციის პროცესის მნიშვნელობაზე გაამახვილა. მიმართვაში აღნიშნულია, რომ საქართველო ერთგული რჩება დასავლური კურსის: „ევროპის დღის აღნიშვნით ჩვენ ყოველთვის ხაზს ვუსვამთ საერთო ევროპული ფასეულობების — თავისუფლების, დემოკრატიის, უსაფრთხოების, თანასწორობის იდეის მნიშვნელობას. ქართველმა ერმა ისტორიულად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ ფასეულობების ფორმირებასა და დაცვაში. სწორედ ეს საერთო ღირებულებები განაპირობებს ქართველი ხალხის ურყევ ნებას, გახდეს ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი, და სწორედ ეს ღირებულებები განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის მოდერნიზაციის დღის წესრიგს...“ მიმართვაში ლაპარაკია ისეთი ფასეულობებისა თუ ღირებულებების გაზიარებაზე, როგორებიცაა: თანამედროვე დასავლური დემოკრატია და დემოკრატიული პრინციპები, თანასწორობა, ადამიანის უფლებები, მრავალფეროვნება, ტოლერანტობა და სხვ.**

შეგახსენებთ, რომ თანამედროვე დასავლური ე.წ. ლიბერალური ფასეულობები, რომლებსაც საგარეო საქმეთა სამინისტრო ქვეყნის ისტორიულ არჩევნად აცხადებს, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის მიუღებელია. ქართველი ერის ტრადიციულ ფასეულობებს ეწინააღმდეგება ისეთი დასავლური „ფასეულობები“, როგორებიცაა „ტოლერანტობა და მრავალფეროვნება“, „თანასწორობა და განსხვავებულის პატივისცემა“, რომლებიც სცილდება ჯანსაღ მორალსა და გულისხმობს კონსერვატიული საზოგადოების ძირფესვიანად შეცვლას, ანუ, ე.წ მენტალურ რევოლუციას...

რას მოუტანს საქართველოს პროდასავლური „ლიბერალური“ პრინციპებისადმი ერთგულება მაშინ, როცა მსოფლიო იცვლება, და რა გამოსავალი არსებობს ამ ვითარებაში?

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება პარტია „ქართული იდეის“ თავმჯდომარე ლევან ჩაჩუა.**

**— ბატონო ლევან, ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ევროპის დღის გამო გავრცელებულ მიმართვას თუ დავუჯერებთ, საქართველო ერთგულია თავისი „ისტორიული არჩევანის“, ევროპული ოჯახისკენ სწრაფვის და ქვეყანა სრულად იზიარებს თანამედროვე დასავლურ ფასეულობებს. საუბარია ადამიანის უფლებებზე, თანასწორობაზე, შემწყნარებლობაზე და ა.შ. მოდი, კიდევ ერთხელ განვუმარტოთ საზოგადოებას, რას ნიშნავს თანამედროვე დასავლური ნეოლიბერალური ფასეულობები და შემდეგ ვისაუბროთ განცხადებაზე.**

— დასავლური ნეოლიბერალიზმი, როგორც მთავარი გლობალისტური იდეოლოგია, ეს არის კაცობრიობის ფუნდამენტურად შეცვლისა და ახალი ადამიანის, ახალი ტიპის ე.წ. სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების თეორია, რომელიც რამდენიმე ექსპერიმენტს მოიცავს. საუბარია ისეთ გარდაქმნებზე რეფორმების სახით, რომლებმაც თავდაყირა უნდა დააყენოს ადამიანური მორალი და წაშალოს ყოველგვარი სულიერ-ზნეობრივი ზღვარი. რაც შეეხება სამინისტროს მიმართვას, რომ თურმე თანამედროვე ევროპული ღირებულებები ჩვენი არჩევანია, როგორც ჩანს, ხელისუფლებაში მყოფი ლიბერალების გონება ვერ გამოდის იმ მოჯადოებული წრიდან, რომელზეც, მესამე ათწლეულია, ბრუნავს ქვეყანა. უკვე სასაცილო მდგომარეობაში იგდებენ თავს მსგავსი განცხადებებით. **წარმოიდგინეთ, რა ხდება მსოფლიოში და მათ შორის ევროპაშიც, განსაკუთრებით ბრექსიტის შემდეგ და ესენი ისევ გაიძახიან, — ევროპა ჩვენი ისტორიული არჩევანიაო. რომელ ევროპულ ოჯახზეა საუბარი, როცა ვირუსმა, ფაქტობრივად, თავდაყირა დააყენა ერთიანი ევროპის იდეა. ან რომელ თანადგომასა და მხარდაჭერაზე გვესაუბრებიან, როცა ესპანეთი და იტალია პრაქტიკულად იზოლაციაში მოაქციეს და ელემენტარული დახმარება არ გაუწიეს? — ევროკავშირის თითქმის ყველა ქვეყანამ ხომ თვითიზოლაცია გამოაცხადა და საკუთარ საზღვრებში ჩაიკეტა?** მიმართვაში, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა, რამდენჯერმეა ნახსენები ადამიანის უფლებები. **რომელ უფლებებზე საუბრობენ ესენი, როცა პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე ამბობს, რომ სადღაც ხიდის ქვეშ მდგომ ტრანსგენდერებს, რომლებიც საგანგებო მდგომარეობის გამო კლიენტების გარეშე დარჩნენ, სახელმწიფო ფინანსურად უნდა დაეხმაროს. წარმოგიდგენიათ, ქვეყანა რა აბსურდამდე მივიდა? თურმე ჩვენ უნდა ვუხადოთ ფული ვიღაც გარყვნილ ავადმყოფებს, რომლებსაც კლიენტები შემოაკლდათ და შემოსავალი აღარ აქვთ.** არადა, ოფიციალური მონაცემებით, ბავშვები კვდებიან შიმშილით საქართველოში და ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა სახელმწიფო დახმარების იმ პროგრამაშიც ვერ მოხვდა, რომელიც მთავრობამ არაკომპეტენტურად შეიმუშავა. რალა შორს წავიდე, **აგერ ჩემი მრავალშვილიანი სტატუსის მქონე ოჯახის მაგალითზე ვიტყვი: მიუხედავად იმისა, რომ „ქართული იდეა“ არ ფინანსდება და უხელფასოდ მიწევს მუშაობა, ხოლო მეუღლე, რომელიც უცხოურ კომპანიაში მუშაობდა, შექმნილი მდგომარეობის გამო უმუშევარი დარჩა, მაგრამ სახელმწიფო დახმარების პროგრამის არც ერთი პუნქტი არ შეგვეხო და ასეა მოსახლეობის უმრავლესობა.**

**— რით არის განპირობებული ხელისუფლების არაადეკვატურობა: იმით, რომ ვერ აცნობიერებს შექმნილ ვითარებას, თუ იმით, რომ არ შეუძლია პოლიტიკური მიდგომების შეცვლა?**

— ხელისუფლება მოწყვეტილია რეალობას და შექმნილ ვითარებას ვერ აცნობიერებს. ამას ისიც ცხადყოფს, რომ ბოლო პერიოდში ისევ აქტიურად დაიწყეს ლაპარაკი ტურიზმზე და ეს დარგი მიაჩნიათ ქვეყნის მთავარ ეკონომიკურ ფუნდამენტად. მსგავსი რიტორიკა გვესმის იმ დროს, როცა მსოფლიო მოუცავს სერიოზულ ეკონომიკურ კრიზისს და პლანეტის მოსახლეობას საკვებ-სასურსათო დეფიციტი ელოდება. საქართველოს ხელისუფლებაც და ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციაც დრომოჭმული ლიბერალური კონიუნქტურის მძევლები არიან. მარტივად რომ ვთქვათ, **ესენი ჩარჩნენ სოროსის, ჯო ბაიდენის, კლინტონებისა და მაკკეინების ეპოქაში.**

გამოწვევებს რაც შეეხება, მაინტერესებს, **როგორ აპირებენ მოსახლეობის გამოკვებას, როცა საგაზაფხულო სამუშაოები სოფლად, ფაქტობრივად, ჩავარდა და ქვეყანა სურსათით მომარაგების კუთხით თითქმის მთლიანად იმპორტზეა დამოკიდებული?! რუსეთმა და ყაზახეთმა უკვე დააწესეს ხორბლისა და ბურღულეულის ექსპორტზე მკაცრი შეზღუდვა; საინტერესოა, როგორ მოახერხებენ იმას, რომ სურსათზე ფასები მნიშვნელოვნად არ გაიზარდოს.**

**— ხელისუფლება თავის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წარმატებად „კოვიდ-19“-ის წინააღმდეგ გატარებულ ეფექტიან ღონისძიებებს მიიჩნევს. ხშირად კეთდება განცხადებები, რომ საქართველო ამ თვალსაზრისით სამაგალითო ქვეყანაა. პრემიერმა გახარიამ თავის გამოსვლებში არაერთხელ აღნიშნა, რომ ამ წარმატებას დასავლელი „მეგობრებისა“ და „პარტნიორების“ აქტიური დახმარების გარეშე ვერ მივაღწევდით. მათ შორის საუბარი იყო მსოფლიო სავალუტო ფონდის მიერ გამოყოფილ ფინანსურ დახმარებებზე და არა მხოლოდ. რა დახმარებებს იღებს დღეს რეალურად საქართველო და რა მიზნებზეა ეს გათვლილი?**

— ჯერ ერთი, საქართველო არანაირ დახმარებას არ იღებს, ეს ტყუილია! ამ „დახმარებით“ ისევ სახელისუფლო შტო იღებს სარგებელს, საქართველოს მოსახლეობა კი იღებს ვალს და ვალდებულებებს, რომლებსაც ჩვენს შვილებს და მომავალ თაობებს მოსთხოვენ! მეორე — ესენი გახარებული რომ გამოდიან და საზოგადოებას თვალში ნაცარს აყრიან მასობრივი ვაქცინაციის თემაზე მანიპულირებით, ჩვენ ხომ ვიცით, რეალურად რას ემსახურება ეს პროცესები.

**— რას ემსახურება?**

— ემსახურება იმას, რომ **ჩვენისთანა ღარიბ ქვეყნებს ასესხონ ფული, ასეულობით მილიონ დოლარზეა საუბარი, და მერე ამ ნასესხები ფულით აყიდინონ მათ მიერვე გამოგონილი ე.წ. ვაქცინა. ფინანსურის გარდა, ეს პროცესები გათვლილია მსოფლიო ლიბერალურ-გლობალისტური გენერალური ხაზის განსახორციელებლად, რომლის მიხედვითაც, ადამიანის პოპულაცია 7,5 მილიარდიდან უნდა შემცირდეს 1,5 მილიარდამდე. ე.წ. სტერილიზაციის პროგრამის განხორციელება ვერ ხერხდება მხოლოდ ომებისა და ხელოვნურად გამოწვეული სამხედრო კონფლიქტების მეშვეობით.** მოგეხსენებათ, კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მასშტაბურ მე-2 მსოფლიო ომს 70 მილიონამდე ადამიანი შეეწირა. **კაცობრიობის 6 მილიარდით შესამცირებლად კი აუცილებელია მათ ხელთ არსებული ყველა საშუალების ამოქმედება: აბორტების ლეგალიზაცია; ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების რეკლამირება; ნარკომანიისა და სოდომიის ლეგალიზაცია; გენდერის თეორია და უშვილობის გამომწვევი ვაქცინაციები; „ოჯახის დაგეგმვისა და სკოლებში სექსუალური „განათლების“ პროგრამები; ე.წ. გენური ინჟინერია და ხელოვნურად შექმნილი ვირუსების (ასევე სხვა დაავადებათა) მეშვეობით გამოწვეული ეპიდემია-პანდემიები.**

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს მსგავსი გლობალური პროექტების მიმართ ერთგვარი იმუნიტეტის გამომუშავება, რათა ის, რაც მისაღებია — მივიღოთ, ხოლო ის, რაც კატეგორიულად მიუღებელია — უკუვაგდოთ... ახლა კორონავირუსით დაზაფრულ ადამიანებს აბრიყვებენ, რომ უფასო ვაქცინაცია, რომელიც სულაც არ არის უფასო და სახელმწიფო იხდის მის ფულს, მომავალში შესაძლო ეპიდემიებისგან დაიცავთ...

**— როგორ ფიქრობთ, ერთ დღესაც, როცა სიხარულით გვაუწყებენ, რომ შექმნილია ახალი ანტივირუსული ვაქცინა და მისი გაკეთება ყველა მოქალაქისთვის სავალდებულოა, როგორ უნდა მოიქცეს მოსახლეობა?**

— მოსახლეობამ არა მხოლოდ ამ ტიპის ვაქცინაციაზე უნდა თქვას უარი, არამედ იმ პოლიტიკოსებზეც, რომლებიც ამას დაუკანონებენ და დააძალებენ. ამიტომ მინდა, მივმართო კიდევ ერთხელ ამომრჩეველს: თავს ნუ მოიტყუებთ წინასაარჩევნო ფუჭი დაპირებებით და ნუ გაიყიდებით შემოთავაზებულ სატყუარაზე. სასწორზე ნუ შეაგდებთ ჩვენი და ჩვენი შვილების მომავალს. **ეს პრობლემები, რომლებზეც ახლა ვსაუბრობთ, თავს იყრის ერთ უბედურებაში, რომელსაც ჰქვია გარედან მართული, სამარცხვინო და მარიონეტი ხელისუფლება. აი, ეს არის ყველა პრობლემის თავიდათავი, რომელიც მუდმივად ზაფრავს ჩვენს საზოგადოებას.**

**— რამ შეიძლება ეს ვითარება თუნდაც ნაწილობრივ გამოასწოროს?**

— ახლოვდება არჩევნები, საპარლამენტო და მერე საპრეზიდენტოც და დიდმა თუ პატარამ უარი უნდა თქვას ამ მავნე ქოც-ნაცურ პოლიტიკურ ელიტაზე. ე.წ. ლიბერალური ისტებლიშმენტი მყავს მხედველობაში. ქვეყანაში არსებობს ცვლილებებისთვის აუცილებელი ადამიანური რესურსი, მე ვხედავ ამ რესურსს, მეცნიერების, საზოგადოებრივად აქტიური მამულიშვილებისა და განსაკუთრებით ახალგაზრდების სახით, რომლებიც სათანადოდ აფასებენ უმძიმეს მოცემულობას, თუმცა, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ ხერხდება ამ ძალების კონსოლიდაცია, მაგრამ ადრე თუ გვიან ყველა გააცნობიერებს, რომ ერთობას ალტერნატივა არ აქვს და ცალ-ცალკე მასშტაბური წარმატების მიღწევა შეუძლებელია.

**«ჩვენისთანა ღარიბ ქვეყნებს ასესხონ ფული, ასეულობით მილიონ დოლარზეა საუბარი, და მერე ამ ნასესხები ფულით აყიდინონ მათ მიერვე გამოგონილი ე.წ. ვაქცინა. ფინანსურის გარდა, ეს პროცესები გათვლილია მსოფლიო ლიბერალურ-გლობალისტური გენერალური ხაზის განსახორციელებლად, რომლის მიხედვითაც, ადამიანის პოპულაცია 7,5 მილიარდიდან უნდა შემცირდეს 1,5 მილიარდამდე. ე.წ. სტერილიზაციის პროგრამის განხორციელება ვერ ხერხდება მხოლოდ ომებისა და ხელოვნურად გამოწვეული სამხედრო კონფლიქტების მეშვეობით»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

## ტურიზმის შუქ-ჩრდილები

www.geoworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არც ის ფული დახარჯულა, ბოლო სამ თვეში სხვადასხვა დელეგაციისთვის სამივლინებოდ რომ იყო გამოყოფილი. საპარლამენტო თუ სამთავრობო დელეგაციები ევროპა-ამერიკაში არაერთხელ უნდა წასულიყვნენ და სად არის, ბატონებო, ეს თანხები, რატომ არ ამბობთ? ეს თანხები მიმართეთ ეკონომიკაში, ეს თანხები მიეცით სასტუმროებს და სოციალურად შეჭირვებულები, როგორც გიყვართ ხოლმე თქმა, მოწყვლადი ოჯახები, დაასვენეთ ქართულ კურორტებზე. ის მაინც გვეცოდინება, ვირუსის გადამტანები რომ არ არიან და ამით ორმაგ სარგებელს ვნახავთ — ტურიზმის სფერო თანხას მიიღებს და გაჭირვებული ოჯახები ორი კვირა თუ ერთი თვე საკვებსაც მიიღებენ და დაისვენებენ კიდეც...**

# ტურისტული სეზონი და მედლის ორი მხარე

## 1 ივლისიდან საქართველოში შემოვა ყველა, ვისაც სურვილი ექნება, და მაქსიმუმი, რასაც ქართული მხარე მოახერხებს, აეროპორტებში სიცხის დისტანციური გაზომვაა

**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ქალბატონმა ნათია თურნავამ განაცხადა, — მზად ვართ, 1 ივლისიდან ტურისტებს ვუმასპინძლოთო. უფრო კონკრეტულად კი, მინისტრმა აღნიშნა, რომ სახმელეთო და საჰაერო საზღვრების გახსნა ამ მომენტს დაემთხვევა და ეს ყველაფერი მოხდება უსაფრთხო დერეფნების პრინციპის შესაბამისადო. თურნავას არც ის გამორჩენია, რომ საქართველო მზად არის, რუს ტურისტებსაც უმასპინძლოს.**



დავიწყოთ იმით, რომ დღემდე საქართველოში ჩამოსული ჩვენი მოქალაქეები სავალდებულო 14-დღიან საკარანტინო პერიოდს დღესაც გადიან. ადვილი მისახვედრია, რომ 1 ივლისიდან ეს წესი გაუქმდება, რადგან გამორიცხულია, ჩამოსული ტურისტი ჯერ 14 დღე გამოამწყვდიო, მერე უთხრა, დაისვენეო და შემდეგ უკან გაამგზავრო. ე.ი., **1 ივლისიდან საქართველოში შემოვა ყველა, ვისაც სურვილი ექნება და მაქსიმუმი, რასაც ქართული მხარე მოახერხებს, აეროპორტებში სიცხის დისტანციური გაზომვაა.** საუბარია იმაზეც, რომ საქართველოში ჩამოსულ ტურისტებს უნდა ჰქონდეთ საბუთი, რომ არ აქვთ ვირუსი და **საინტერესოა**, ამ საბუთს რომ აიღებენ, პირდაპირ აეროპორტში უნდა წავიდნენ თუ ჯერ სახლში, უბანში, მაღაზიაში გაივლიან, 2-3 დღე ექნებათ მოსამზადებლად და მერე გამოფრინდებიან? ხომ არსებობს ალბათობა, რომ ამ პერიოდში დასნებოვნდნენ და ისიც კარგად ვიცით, შესაძლოა, სიცხე პირველი ხუთი დღის განმავლობაში არ აეწიოთ და სიმპტომებმა მხოლოდ შემდეგ იჩინოს თავი, ალბათობა, რომ **საქართველოში ინფიცირებული ტურისტები შემოვლენ, არსებობს.**

როცა რუსეთში კორონავირუსი ასე მწვავედ არ იყო გავრცელებული, საქართველოს წარმომადგენლები აცხადებდნენ, — რუსეთი მონაცემებს მალავსო. შემდეგ, როცა ჩვენს მეზობლად ვირუსის შემთხვევები გახშირდა და ათასებს გადააჭარბა, სოციალურ ქსელებში არაერთი ღლიცინებდა (ჰო, ღლიცინებდა), — ვირუსი რუსეთს დაამარცხებსო. მთავრობის წევრებიც გამოურევდნენ ხოლმე: ჩვენს მეზობლად ცუდი სიტუაციაა და ოფიციოზი მალავსო. რა გამოვიდა? **როცა გვინდა, რუსეთში ვირუსი მძვინვარებს და როცა ტურისტი გვჭირდება, რუსეთში ეპიდემია დასრულებულია და საზღვრებს ვხსნით?**

ეს ყველაფერი შარშანდელის გამოძახილია. ხომ გახსოვთ, მეზობელ ქვეყანაში ფრენა რომ შეწყდა და იქაურმა ტურისტებმაც დასასვენებლად სხვა ქვეყნები არჩიეს, რა მოხდა? **გამოვიდნენ ჭკვიანი სახეებით ხელისუფლებისა თუ ოპოზიციის წევრები და არა უშავს, სხვა ტურისტი იმდენი ჩამოვა, რუსი ტურისტის არყოფნა არ დაგვეტყობაო. ორ კვირაში გაირკვა, რომ დაგვეტყობოდა; კიდევ ორ კვირაში ზარალი დათვალეს და — 300 მილიონი დოლარიო, კიდევ ორ კვირაში (გეცნოთ ხომ, ორ-ორი კვირის ანგარიში ექიმებს საიდან აქვთ?!) ზარალი ნახევარი მილიარდი იქნებაო. ყველაფერმა რომ ჩაიარა, მხოლოდ მაშინ აღიარეს, რუსი ტურისტების ჩამოუსვლელობამ საქართველოს ბიუჯეტი მილიარდი დოლარით დააზარალა მოკლევადიან პერსპექტივაში და გრძელვადიანში უფრო მეტი იქნებაო.** ეს გრძელვადიანი პერსპექტივა კი ახლა დადგა, მეორე ზაფხული მოდის და მეორე ზაფხული რუსი ტურისტების გარეშე ტურისტული სეზონის ჩავარდნას კი არა, განადგურებას ნიშნავს. ეს ყველაზე კარგად სწორედ ქალბატონმა ნათია თურნავამ იცის, მან იცის ყველაზე კარგად გასული წლის ციფრები და ვითარების განმეორება არ სურს. ამიტომ აღარ კეთდება აქცენტი რუსეთში კორონავირუსის გავრცელების მასშტაბებზე, თორემ, მაგალითად, 10 მაისს იქ ახალი შემთხვევების რაოდენობა 11 012 იყო, გარდაცვლილთა კი — 1915. დაავადებულთა რაოდენობის მიხედვით, რუსეთი მსოფლიოს ქვეყნების ხუთეულში შედიოდა, იმავე 10 მაისის მონაცემებით და ახლა, როცა ამ სტატიას კითხულობთ, შეიძლება სამეულშიც იყოს. ეს ძალიან, ძალიან ცუდია არა მხოლოდ ადამიანური თვალსაზრისით, არამედ იმით, რომ ვირუსი ჩვენგან ხელის ერთ გაწვდენაზე მძვინვარებს.

ახლა თუ ვინმე იტყვის, რომ 1 ივლისამდე ორასი ათასზე მეტი ინფიცირებულიდან ყველა გამოჯანმრთელდება და საქართველოში მხოლოდ ჯანმრთელი ტურისტები ჩამოვლენო, გიჟად ჩავთვლი. გამოდის, რომ **ხელისუფლება მზად არის, უმასპინძლოს ინფიცირებულ ტურისტებს მხოლოდ იმისთვის, რომ ეკონომიკა გადარჩეს. სახლებში რომ გამოკეტეს მთელი ქვეყანა და ჩამოიშალა ეკონომიკა, ეგ როგორ არის?! თუ უცხოური ვირუსი მარგებელია და მარტო ქართულია მავნე? იქნებ იმისთვის კეთდება ეს ყველაფერი, მერე რომ გამოვიდნენ და თქვან: რუსეთიდან ბევრი ტურისტი შემოვიდა, ვერ გავაკონტროლეთ და ვირუსის გამავრცელებლები რუსი ტურისტები არიანო?!**

საუბარი არ არის მხოლოდ რუს ტურისტებზე. იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი... ამ ქვეყნებშიც ათიათასებს აღწევს დაავადებულთა რაოდენობა და, რაღა თქმა უნდა, არც იმის გარანტია გვაქვს, რომ ამ ქვეყნებიდან არ შემოვლენ ინფიცირებულები. ისე, თუ გახსოვთ, **ექიმებმა ისიც თქვეს, ივლისში, შესაძლოა, მორიგი აფეთქება მოხდესო** და ეჭვი გვაქვს, სწორედ ამას გულისხმობდნენ. ფაქტია, რომ **თითქოს გადაგორებული საფრთხის ფონზე ხელისუფლება იძულებულია, საზღვრები გახსნას და ტურისტული სეზონი გახსნილად გამოაცხადოს.** ისიც ხომ კარგად მოგეხსენებათ, რომ ტურისტები, ძირითადად, ზღვაზე და საქართველოს მთაში მოგზაურობენ. „ქობულეთის კლასტერი" ერთ-ერთი დიდი იყო და აი მთა მეტ-ნაკლებად სუფთად შევინარჩუნეთ. ჰოდა, ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ ვირუსი მთაშიც ავიდეს და, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მოსახლეობა დამშვიდებული შეხვდება ტურისტებს — ეგონებათ, რომ სახელმწიფო სიტუაციას აკონტროლებს. რეალურად კი, უკონტროლო პროცესები სწორედ საზღვრების გახსნის შემდეგ დაიწყება.

**საგანგებო მდგომარეობის დროს არჩევნების ჩატარება გამორიცხულია. თუ ივლისში საზღვრები გაიხსნება, ტურისტები შემოვლენ და ღმერთმა არ ქნას, ვირუსმა თუ გავრცელება დაიწყო, პიკი შემოდგომაზე გვექნება. კონსტიტუციის მიხედვით (იმ კონსტიტუციის, ამერიკის ელჩის მითითებით რომ უნდა გადავაკეთოთ), არჩევნები ოქტომბერში უწევს. ჰოდა, თუ ვირუსი კვლავ გავრცელდება, ხელისუფლება იძულებული იქნება, ისევ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადოს, ისევ სახლებში გამოგვკეტოს და არჩევნებს ჩაილურის წყალი დაალევინოს. არ არის გამორიცხული, სწორედ ეს იყოს მთავარი ჩანაფიქრი — აქცენტის რუს ტურისტებზე გაკეთება, რათა შემდეგ ხელი ადვილად გაიშვირონ: აგერ, რუსებმა შემოიტანეს ვირუსიო.**

მედალს მეორე მხარეც აქვს. მოგეხსენებათ, **საგანგებო მდგომარეობის დროს არჩევნების ჩატარება გამორიცხულია. თუ ივლისში საზღვრები გაიხსნება, ტურისტები შემოვლენ და, ღმერთმა არ ქნას, ვირუსმა თუ გავრცელება დაიწყო, პიკი შემოდგომაზე გვექნება. კონსტიტუციის მიხედვით (იმ კონსტიტუციის, ამერიკის ელჩის მითითებით რომ უნდა გადავაკეთოთ), არჩევნები ოქტომბერში უწევს. ჰოდა, თუ ვირუსი კვლავ გავრცელდება, ხელისუფლება იძულებული იქნება, ისევ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადოს, ისევ სახლებში გამოგვკეტოს და არჩევნებს ჩაილურის წყალი დაალევინოს. არ არის გამორიცხული, სწორედ ეს იყოს მთავარი ჩანაფიქრი — აქცენტის რუს ტურისტებზე გაკეთება, რათა შემდეგ ხელი ადვილად გაიშვირონ: აგერ, რუსებმა შემოიტანეს ვირუსიო.**

დღეს საქართველო ვირუსთან ბრძოლის მხრივ მოწინავე ქვეყნებს შორის არის დასახელებული და, შესაბამისად, ჩვენთან მოგზაურობის პერსპექტივა ბევრი უცხოელისთვის იქნება მიმზიდველი, ამიტომ, 1 ივლისიდან თუ ღია კარის დღეს გამოვაცხადებთ, ტურისტების რაოდენობა სხვა ქვეყნებთან შედარებით, ალბათ, ჭარბი იქნება. იტალიისა და ესპანეთის მდგომარეობის გათვალისწინებით, საეჭვოა, ვინმემ ლა სკალასა და პრადოს დათვალიერება გადაწყვიტოს, საქართველო კი აქვეა, ხელის ერთ გაწვდენაზე, თანაც — დღევანდელი მონაცემებით ძალიან უსაფრთხო.**

კარგად გვესმის, რომ ტურისტული სეზონის ჩავარდნა ქართულ ეკონომიკას დაარტყამს. ისიც გვესმის, რომ გაჩერებული ქვეყნის ფონზე მდგომარეობა დღესაც მძიმეა, მაგრამ **იქნებ მოსახლეობისთვის გვეკითხა, რა ურჩევნია — ტურისტული სეზონით ეკონომიკის გადარჩენა თუ კიდევ ცოტა გავიჭირვოთ, ხელისუფლებამ კი უფრო შემოიჭიროს ქამარი და გადავრჩეთ?**

ისე, არავინ საუბრობს იმ ხარჯებზე, რომლებიც, წესით, ხელისუფლებას უნდა გაეწია და აღარ უწევს. წარმომადგენლობით ხარჯებს ვგულისხმობთ, უცხოელთა დელეგაციების რესტორნებში გამასპინძლებას. ეს ფული ხომ არ დახარჯულა? **არც ის ფული დახარჯულა, ბოლო სამ თვეში სხვადასხვა დელეგაციისთვის სამივლინებოდ რომ იყო გამოყოფილი. საპარლამენტო თუ სამთავრობო დელეგაციები ევროპა-ამერიკაში არაერთხელ უნდა წასულიყვნენ და სად არის, ბატონებო, ეს თანხები, რატომ არ ამბობთ? ეს თანხები მიმართეთ ეკონომიკაში, ეს თანხები მიეცით სასტუმროებს და სოციალურად შეჭირვებულები, როგორც გიყვართ ხოლმე თქმა, მოწყვლადი ოჯახები, დაასვენეთ ქართულ კურორტებზე, ის მაინც გვეცოდინება, ვირუსის გადამტანები რომ არ არიან და ამით ორმაგ სარგებელს ვნახავთ — ტურიზმის სფერო თანხას მიიღებს და გაჭირვებული ოჯახები ორი კვირა თუ ერთი თვე საკვებსაც მიიღებენ და დაისვენებენ კიდეც...**

ძალიან ცუდი სუნი უდის ამ ყველაფერს და არავინ იცის, რა მოხდება 1 ივლისის შემდეგ. ნებისმიერი ტურისტი, რომელიც დააცემინებს, თითით საჩვენებელი გახდება, მას მოერიდებიან; შეიძლება, სასტუმროდანაც გამოაძევოს მეპატრონემ და ატყდება მერე ამბავი. არადა, ვიღაც რომ აუცილებლად დააცემინებს, ჩვენზე კარგად ხომ თქვენ იცით, ბატონებო?!

**არავინ იცის, რა მოხდება 1 ივლისის შემდეგ. ნებისმიერი ტურისტი, რომელიც დააცემინებს, თითით საჩვენებელი იქნება, მას მოერიდებიან; შეიძლება, სასტუმროდანაც გამოაძევოს მეპატრონემ და ატყდება მერე ამბავი. არადა, ვიღაც რომ აუცილებლად დააცემინებს, ჩვენზე კარგად ხომ თქვენ იცით, ბატონებო?!**

**ბესო ბარბაქაძე**

**ქართული ტელესივრცისთვის ორმაგი და სამმაგი კი არა, ზოგჯერ ცხრამაგი სტანდარტიც უკვე ჩვეულებრივი მოვლენა რომ არის, ამის საილუსტრაციოდ მხოლოდ გიორგი თარგამაძეც საკმარისია — „იმედის" ყოფილი სახე და ბადრი პატარკაციშვილის ყოფილი „საყრდენი ჟურნალისტი", მიხეილ სააკაშვილის ოპოზიციის ყოფილი ლიდერი, ახლა დავით კეზერაშვილის ტელევიზია „ფორმულაში" იწონებს თავს თავისი „მდიდარი ჟურნალისტური გამოცდილებით" და იმის უტიფრობაც ჰყოფნის, განაცხადოს, რომ „ქართული მედია ასეთ ცუდ და მძიმე სიტუაციაში არასოდეს ყოფილა".**



ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ქართული მედიის საგაზაფხულო აჯაფსანდალი

## ანუ «ინგა და ბავშვები», ასევე მისი მეგობარი ნოდარიც

**სათაურში გამოყენებული ფრაზებიდან ერთი ცნობილი მუსიკალური ბენდის სახელწოდების პერიფრაზია, კერძოდ, „რეზო და ბავშვების"; ხოლო მეორე — მეტ-ნაკლებად ცნობილი ქართული მხატვრული ფილმისა „ჩემი მეგობარი ნოდარი". ოღონდ, ამ შემთხვევაში ნოდარი ინგას მეგობარია და, საზოგადოდ, დღეს ქართულ ტელესივრცეში სწორედ ინგას გარშემო ტრიალებს ყველაფერი. უფრო ზუსტად, ინგას სურს, რომ ტრიალებდეს და გულმოდგინედ ცდილობს „ქართული ჟურნალისტიკის დედის" როლის მორგებას.**

ლაპარაკია, რა თქმა უნდა, **ინგა გრიგოლიაზე,** რომელსაც, ფაქტია, უკვე დაავიწყდა, რა დღეშიც ჩაიგდო თავი ათი წლის წინათ, როდესაც პოლიტიკაში წავიდა „ქრისტიან-დემოკრატებთან" და 2012 წლიდან როგორი „თავმდაბლობით" ეხვეწებოდა მაყურებელს, — გთხოვთ, მომცეთ საშუალება, დავუბრუნდე ჩემს საყვარელ საქმიანობას და შეეცადეთ, ისევ მიმიღოთო. სიტყვა თავმდაბლობა ბრჭყალებში იმიტომ ჩავსვი, რომ, როგორც ჩანს, ეს მოჩვენებითი თავმდაბლობა იყო. ინგა დღეს უკვე თვითონ განსაზღვრავს, ვინ ვინ არის ქართულ მედიაში; ვის აქვს უფლება, დასვას კრიტიკული კითხვები და ვის არა; ვის შეიძლება მოუხადო ბოდიში და ვის პირიქით — ყველაზე უკულტურო ფორმით ჩააკმენდინო ხმა და ათასგზის შეახსენო, რომ **„მედიასთან დაპირისპირება კარგად არავისთვის დასრულებულა". ეს ფრაზა რატომღაც ყველაზე მეტად ბოლო პერიოდში ამოიჩემა და ხშირად იმეორებს, ისე ხშირად, რომ შთაბეჭდილება მრჩება, ვიღაცამ უკვე მისცა არსებული მთავრობის დამხობისა და პოსტოცნებურ საქართველოში ბედნიერად და ლაღად ცხოვრების გარანტია.** „ქართული ჟურნალისტიკის დედას" უკვე ტერმინებიც სათანადო აქვს. „ჩემი ბავშვები" — ისე დაწერს ხოლმე სოციალურ ქსელში ჟურნალისტებზე საუბრისას, გეგონება, მართლაც ინგა გრიგოლიას გადასაწყვეტია, ამ „ბავშვებიდან" ვის მიენიჭება „ჟურნალისტის" სტატუსი და ვის არა.

ეს **„ბავშვებიც"** ისეთი მონდომებით ცდილობენ, **„ინგა დედიკოს"** ასიამოვნონ, რომ საბოლოოდ ჟურნალისტების გარდა ყველაფერს ჰგვანან. არც არის გასაკვირი, თვითონ მათი „დედიკოც" რეალურად ძალიან შორს დგას ჟურნალისტიკისგან. ასევე უზომოდ შორსაა ჟურნალისტიკისგან მისი მეგობარი **ნოდარი,** ანუ **მელაძე,** ანუ ის, ვინც ასევე **ვანო მერაბიშვილის** მეგობარი და პირადი „ჟურნალისტი" იყო იმ „ლეგენდარული" ცხრა წლის განმავლობაში და ისინი არც კი მალავდნენ „ორმხრივ სიყვარულს". ნოდარ მელაძე დაუფარავად ასხამდა ხოლმე ხოტბას ვანო მერაბიშვილს, ხოლო **მიშა სააკაშვილი** აღიარებული „ღმერთი" იყო მისთვის. სხვათა შორის, ინგა გრიგოლია, როდესაც 2012 წელს „ქრისტიან-დემოკრატების" და პირადად **გიორგი თარგამაძის** გაფარჩაკების შემდეგ ტელეეთერს დაუბრუნდა, პირველად „ტვ 3"-ის ეთერში გამოჩნდა. ეს ის ტელეკომპანიაა, რომელმაც **გურამ დონაძის** „რეალ ტივი"-ს სამართალმემკვიდრეობა გადაიბარა და ძალიან ცოტა ხანს იარსება ქართულ ტელებაზარზე. ჰოდა, აი **ამ ტელეკომპანიაშიც ინგა გრიგოლიამ სწორედ ნოდარ მელაძე წაიყვანა პროდიუსერად და არაერთხელ, როცა თვითონ ავად იყო, თავისი გადაცემაც სწორედ ნოდარ მელაძეს წააყვანინა. მეგობრობას, რა თქმა უნდა, ვერავინ ვერავის დაუშლის, მაგრამ ამის შემდეგ როგორ ამბობს ინგა გრიგოლია, რომ ის არ ასრულებს ნაცებისა და მიშა სააკაშვილის დაკვეთებს, უბრალოდ, წარმოუდგენელია.** თუმცა რაღა ნოდარ მელაძე, „მთავარი არხის" გამოჩენილი კოჰორტა, **ეკო მაღრაძის** თამადობით, გასულ კვირაში ინგა გრიგოლიამ „გადაისრუტა" „ტვ პირველზე" და სოციალურ ქსელში ძალიან იამაყა კიდეც თავისი ახალი „ბავშვებით".

უნდა ითქვას ისიც, რომ „ტვ პირველს" უკვე დაეტყო ნოდარ მელაძის „ძლიერი ხელი".

მაგალითად, თუკი ეს ტელევიზია ორიოდე კვირის წინათ შესაბამისი თემის გაშუქებისას იტყოდა: „ძამას ხეობაში ეკლესიას მიწების მითვისებაში სდებენ ბრალსო", აგერ, ორიოდე დღის წინათ წამყვანმა მტკიცებითი ფორმით გვაჯახა: „ეკლესიამ ძამას ხეობაში მიწები მიითვისა!"

მარტივად რომ ვთქვათ, **„ჟიჟის" შედარებით „თავშეკავებული" აგრესია უკვე ნოდარ მელაძის სრულიად თავაშვებულ აგრესიაში გადაიზარდა და „ტვ პირველი" საბოლოოდ იქცა ყოფილი „გამარჯვებული ხალხის" აფერისტი ტელევიზიის „ღირსეულ" მემკვიდრედ.** „ჟიჟი", ანუ ნინო ჟიჟილაშვილი ვახსენეთ და, აუცილებლად უნდა ვთქვათ ისიც, რომ იგი „ტვ პირველის" საინფორმაციო სამსახურის უფროსის თანამდებობიდან ნოდარ მელაძის არხზე მისვლისთანავე გადადგა.

„ჩემი პოზიციები საინფორმაციო მიმართულებით ვერ შევაჯერე არხის ხელმძღვანელობის პოზიციებთან, მათი და ჩემი შეხედულებები არ დაემთხვა ერთმანეთს, ამიტომ თანამდებობა დავტოვე და მუშაობას უფრო თოქ-შოუების მიმართულებით გავაგრძელებ", — დაწერა სოციალურ ქსელში ნინო ჟიჟილაშვილმა.

არა, არც არაფერს ვიტყოდი და ჩემთვის ეს ჩვეულებრივი ამბავია: როდესაც რომელიმე ორგანიზაციის ხელმძღვანელის პოზიციისგან განსხვავებული პოზიციები გაქვს და დათმობაც არ გსურს, ამ ორგანიზაციაში აღარ უნდა იმუშაო ან სხვა თანამდებობაზე უნდა გადახვიდე — ეს ბუნებრივია.

მე ის მაინტერესებს, როგორ აფასებს ამ ფაქტს ინგა გრიგოლია.

აკი, თვითონაც ტელეკომპანია „იმედი" თავის დროზე ზუსტად იმიტომ დატოვა, რომ არხის ახალი ხელმძღვანელობისა და მისი პოზიციები ერთმანეთს არ დაემთხვა. ოღონდ **„ჟიჟის" ამჟამინდელი მშვიდი ტონისგან განსხვავებით, მაშინ ინგა გრიგოლია პანიკაში**



ინგა გრიგოლია და ნოდარ მელაძე



გიორგი თარგამაძე



მარიამ გაფრინდაშვილი

**ინგა გრიგოლიას, ფაქტია, უკვე დაავიწყდა, რა დღეშიც ჩაიგდო თავი ათი წლის წინათ, როდესაც პოლიტიკაში წავიდა «ქრისტიან-დემოკრატებთან» და 2012 წლიდან როგორი «თავმდაბლობით» ეხვეწებოდა მაყურებელს, — გთხოვთ, მომცეთ საშუალება, დავუბრუნდე ჩემს საყვარელ საქმიანობას და შეეცადეთ, ისევ მიმიღოთო**

**ჩავარდა. „მე გამაძევეს „იმედიდან", — მთელი ხმით გაჰკიოდა, — ეს სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევაა და საქართველოში დიქტატურა მყარდებაო. „იმედიდან" წამოსვლის შემდეგაც ყველგან, სადაც მიეცემა საშუალება, კვლავ იმეორებს: „მე გამაძევეს „იმედიდან", სადაც ხდებოდა სარედაქციო პოლიტიკაში უხეში ჩარევა".**

როდესაც ინგა გრიგოლია „ვერ შეთანხმდა" „იმედის" ხელმძღვანელობასთან, ეს „სარედაქციო პოლიტიკაში უხეში ჩარევა და დიქტატურა" იყო, ხოლო, როდესაც ნინო ჟიჟილაშვილი „ვერ თანხმდება" „ტვ პირველის" ხელმძღვანელებთან, ეს უკვე აღარ არის „საინფორმაციო პოლიტიკაში უხეში ჩარევა და დიქტატურა"? ეს როგორ?!

**ქართული ტელესივრცისთვის ორმაგი და სამმაგი კი არა, ზოგჯერ ცხრამაგი სტანდარტიც ჩვეულებრივი მოვლენა რომ არის, ამის საილუსტრაციოდ გიორგი თარგამაძეც საკმარისია — „იმედის" ყოფილი სახე და ბადრი პატარკაციშვილის ყოფილი „საყრდენი ჟურნალისტი", მიხეილ სააკაშვილის ოპოზიციის ყოფილი ლიდერი, ახლა დავით კეზერაშვილის ტელევიზია „ფორმულაში" იწონებს თავს თავისი „მდიდარი ჟურნალისტური გამოცდილებით" და იმის უტიფრობაც ჰყოფნის, განაცხადოს, რომ „ქართული მედია ასეთ ცუდ და მძიმე სიტუაციაში არასოდეს ყოფილა".**

სხვათა შორის, ისიც სათქმელია, რომ, სანამ გიორგი თარგამაძეს ამნეზია სჭირს და „ვერ იხსენებს", როგორი ქოშინითა და მძიმე სუნთქვით ელაპარაკებოდა 2007 წლის 7 ნოემბერს „იმედის" სტუდიიდან მაყურებელს, „ხმაური ისმის ტელევიზიაში და სტუმრები მოვიდნენ"-ო, მანამდე არც ახალგამომცხვარი „მედიამაგნატი" **ქიბარ ხალვაში** ჩამორჩა უტიფრებისა და უთავმოყვარეოების ფერხულს და სასამართლოთი ძლივს მოგებულ „ახალ რუსთავი 2"-ზე სამუშაოდ **მარიამ გაფრინდაშვილი** დააბრუნა. **ეს ის მარიამ გაფრინდაშვილია, ნიკა გვარამიას ფორმაციის „რუსთავი 2"-ზეც კი ყველაზე მეტი აგრესიულობითა და საჩვენებელი უტიფრობით რომ გამოირჩეოდა. ეს ის მარიამ გაფრინდაშვილია, მის მიერ გამოვლენილი განსაკუთრებული უზრდელობისა და უსინდისობის გამო 20 ივნისს პარლამენტზე მიტანილი შტურმისას ნიკა გვარამია პირდაპირ ეთერში რომ ეძახდა „ჩემო საუკეთესო-"ო. ეს ის მარიამ გაფრინდაშვილია, ნანა კაკაბაძის ოფისის კართან განგებ რომ დააგდო თავისი ხელით დაზიანებული მიკროფონი და შემდეგ სიუჟეტი რომ მოამზადა, — ნანა კაკაბაძის ოფისის თანამშრომლებმა მიკროფონი დამიმტვრიეს და ჩემზე ფიზიკურად იძალადესო.** ეს ყველაფერი გადაიღო ნანა კაკაბაძის ოფისის გარე ფასადზე დამაგრებულმა სათვალთვალო ვიდეოკამერამ, რომელიც გაფრინდაშვილმა ვერ შენიშნა, თუმცა არც ამ კადრების სოციალურ ქსელში გავრცელების შემდეგ დაუხევია უკან — ძველებურად განაგრძობდა ეთერიდან ცილისწამებებისა და უზრდელობის „მასტერკლასებს"...

**აი, სწორედ ეს მარიამ გაფრინდაშვილი, რომელიც ქიბარ ხალვაშისთვის „რუსთავი 2"-ის გადაცემის შემდეგ თითქოსდა წავიდა არხიდან, ახლა კვლავ „რუსთავი 2"-ზეა და მაყურებელს მედიის თავისუფლების შესახებ ელაპარაკება.**

ასეა ქართული მედიის საქმე და აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ ეს, ჟურნალისტებზე მეტად, მათი „დამსახურება" უფროა, ვინც მედიას აფინანსებს. სწორედ მათ ჩააგდეს ქართული ჟურნალისტიკა ასეთ სამარცხვინო დღეში. მაგალითისთვის წეღან ნახსენები ქიბარ ხალვაშიც გამოდგება. ადამიანი, რომელსაც მთელი ქონება დაუწვეს და ტელევიზია, რბილად და ჟარგონულად რომ ვთქვათ, „აახიეს", არხზე სამუშაოდ ჯერ ტოვებს **ვახო ბიჭიკაშვილს, ნიკა არაბიძესა** და ნაცების სხვა ცნობილ ხელის ბიჭებს, შემდეგ უკან აბრუნებს მარიამ გაფრინდაშვილს. მოდი და ნუ იტყვი, რომ ასეთი უპრინციპო ადამიანი მეტსაც იმსახურებდა და თურმე და კიდევ რბილად მოქცევია მას სააკაშვილი...

უთავმოყვარეობის პიკი კი, რაღა თქმა უნდა, ტელეკომპანია „იბერიის" ამბავი იყო — ამ ტელევიზიის მფლობელმა ბიზნესმენმა ცოლ-ქმარმა მრავალწლიანი წუწუნის შემდეგ, რომ ტელევიზია მიშამ წაართვა, როგორც იქნა, ის დაიბრუნეს, თუმცა, პირველი შესაძლებლობისთანავე გადააბეს კუდი მიშასთან და „იბერიამ" „ქართული ოცნება" ლამის ოთხში ამოიღო, — ბიუჯეტისთვის კუთვნილ გადასახადს რატომ ახდევინებთ ჩვენს მფლობელსო...

ბარემ ისიც აღვნიშნოთ, რომ „აჭარის ტელევიზიაზე", ანუ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ფილიალში გამოჩნდა **ვახო ხუზმიაშვილი,** რომელიც მანამდე სწორედ „იბერიიდან" ლანძღავდა მთავრობას და პირადად **ბიძინა ივანიშვილს** ყველაზე დიდი გულმოდგინებით.

მოკლედ, საგაზაფხულო აჯაფსანდალი ქართულ მედიაში უკვე მზადაა და, თუ რაიმე „სპეცსანელებლები" კიდევ არ დაუმატეს, უკვე შეგიძლიათ, გემო გაუსინჯოთ.

პროცესების ანალიზი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ამერიკაში შესანიშნავად აქვთ დამუშავებული ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა ის მიმართულება, რომელსაც სოციალური ფსიქოლოგია ჰქვია. მეცნიერების ამ დარგს ადრე „ხალხთა ფსიქოლოგიას“ უწოდებდნენ. აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო პრაქტიკულ საქმიანობაში ფართოდ იყენებს მეცნიერების ამ დარგის სპეციალისტთა რეკომენდაციებს. ამის ერთი კონკრეტული დადასტურება ისიცაა, რომ საქართველოსა და აშშ-ის ურთიერთობას, რომელიც სიუზერენისა და ვასალის, მეტროპოლიასა და კოლონიების ურთიერთობების კლასიკურ სქემაზეა აგებული, სტრატეგიულ პარტნიორობას უწოდებენ“.

# «ოქროს კვეთა»



## ვალერი კვარაცხელიას სატელევიზიო-საავტორო პროგრამის საგაზეთო ვერსია

მეოთხე გადაცემა

# დასავლეთში კვლავ დაძრწის ფაშიზმის აჩრდილი



**ვალერი კვარაცხელია:** — გამარჯობა, ძვირფასო ტელემაყურებელო, ეთერშია გადაცემა „ოქროს კვეთა“, რომელსაც, როგორც ყოველთვის, გავუძღვები მე, ვალერი კვარაცხელია.

როგორ ესმით საქართველოში სტრატეგიული პარტნიორის ცნება? ხშირად მოისმენთ: „ამერიკა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია“, „ევროპა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია“, „უკრაინა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია“. **რას ნიშნავს სტრატეგიული პარტნიორობა და რაში გამოიხატება ან რაში ვლინდება ის?** გასაანალიზებლად ავიღოთ ბოლო პერიოდში მომხდარი ერთი ფაქტი.



**მიხეილ სააკაშვილი** საქართველოში პრეზიდენტის პოსტზე ყოფნისას ჩადენილი მრავალი მძიმე დანაშაულის გამო გასამართლებული პირია. ამჟამად იგი ძებნილია, ვინაიდან მართლმსაჯულებას ემალება და ამერიკასა და ევროპას შორის უკანონოდ დაძრწის. **საქართველოს კანონიერ მოთხოვნას, რომ დამნაშავე სააკაშვილი გადმოსცენ, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები — ამერიკა და ევროპა, ბოდიშს ვიხდი ამ გამოთქმისთვის, ფეხებზე იკიდებენ. უკრაინის პრეზიდენტმა კი იგი ვიცეპრემიერის პოსტზე წარადგინა. საქართველოს ხელისუფლებამ უკრაინა გააფრთხილა, რომ ასეთი ყოვლად გაუმართლებელი და ქართველი ხალხისთვის შეურაცხმყოფელი საკადრო დანიშვნა თუ განხორციელდებოდა, საქართველოს ამაზე მწვავე რეაქცია ექნებოდა.**

**გიორგი გახარია, საქართველოს პრემიერმინისტრი:** — უკრაინა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია, თუმცა სტრატეგიული პარტნიორის მიერ საქართველოში მძიმე დანაშაულებისთვის უკვე გასამართლებული, სასჯელმისჯილი და ძებნილი პირის ვიცეპრემიერად დანიშვნა ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია. ასეთი გადაწყვეტილება თუ იქნება, ელჩს, სულ ცოტა, კონსულტაციებისთვის გამოვიწვევთ.

**ვალერი კვარაცხელია:** — ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა, მეცნიერებისა და ხელოვნების წარმომადგენლებმა კი უკრაინის პრეზიდენტის სახელზე წერილი აფრინეს, რომელშიც ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე ნათქვამი იყო შემდეგი.

**ამონარიდი ქართველ საზოგადო მოღვაწეთა მიერ უკრაინის პრეზიდენტისადმი გაგზავნილი წერილიდან: „შეუძლებელია, რომ უკრაინაში სააკაშვილის პოლიტიკურ თანამდებობაზე დანიშვნა უკრაინის შიდა საქმედ მივიჩნიოთ. ეს ქართველი ხალხის, ჩვენი სახელმწიფოებრიობის, მეტიც, ჩვენი სუვერენიტეტის ღია და დაუფარავი შეურაცხყოფა იქნება“.**

**ვალერი კვარაცხელია:** — სააკაშვილმა უკრაინის ვიცეპრემიერის პოსტი ვერ დაიკავა, ოღონდ არა საქართველოში გამოთქმული პროტესტის გამო, არამედ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ უკრაინის სახელისუფლო პარტიამ პრეზიდენტ ზელენსკის ავანტიურისტულ საკადრო გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა.

საქართველოს ხელისუფლებამ საზეიმოდ გამოაცხადა, რომ ჩვენს პოზიციას უკრაინაში ანგარიში გაუწიესო, მაგრამ სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა.

**BBC NEWS:** — ვლადიმერ ზელენსკიმ მიხეილ სააკაშვილი უკრაინის რეფორმების ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნა.



**ვალერი კვარაცხელია:** — საქართველოს ხელისუფლებაში, ამ ფაქტის შემდეგ ნირწამხდარნი არიან, მაგრამ, როგორც ასეთ შემთხვევაში ამბობენ ხოლმე, იხტიბარს არ იტეხენ.

**გიორგი გახარია:** — რა თქმა უნდა, გაუგებარია, როცა სტრატეგიული პარტნიორი სასამართლოს მიერ უკვე მსჯავრდებულ პირს მაღალ სამთავრობო თანამდებობაზე ნიშნავს. ახლა ელჩს ვიწვევთ იმიტომ, რომ ამ პოლიტიკურმა ავანტიურისტებმა არ შეძლონ, რისკის ქვეშ დააყენონ უკრაინასთან ურთიერთობა.

**ვალერი კვარაცხელია:** — გაუგებარი იყო „ამ პოლიტიკურ ავანტიურისტებში“ ბატონმა გახარიამ მხოლოდ სააკაშვილი იგულისხმა თუ უკრაინის პრეზიდენტიც მიაყოლა, მაგრამ ამ უკანასკნელისგან თავხედობით გაჯერებულმა პასუხმა მაინც არ დააყოვნა.



**ვლადიმერ ზელენსკი, უკრაინის პრეზიდენტი:** — ვფიქრობ, რომ ეს ქართული მხარის შეცდომაა. ნებისმიერი ქვეყნის საკადრო პოლიტიკა ეხება ქვეყანას და იმ ხალხს, რომელიც იქ ცხოვრობს. ბატონი სააკაშვილი უკრაინის მოქალაქეა და მე უკრაინის პრეზიდენტი ვარ, რომელმაც ის დანიშნა.

**ვალერი კვარაცხელია: — პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლები საქართველოს მიმართ თავხედურად იქცევიან. თავხედურად მოიქცნენ მაშინაც, როდესაც სააკაშვილი ოდესის მხარის გუბერნატორად დანიშნეს და თავხედურად იქცევიან დღესაც, უკვე სხვა პრეზიდენტის ვითარებაშიც, როდესაც საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს ახალი თანამდებობა უბოძეს, მაგრამ, უკრაინის მხრიდან ამ შეურაცხმყოფელი გამოხდომების მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლება, ჟარგონით რომ ვთქვათ, მაინც სტრატეგიულ პარტნიორობას აწვება.**

**გიორგი გახარია:** — ელჩის გამოწვევა არ ნიშნავს, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დავაყენებთ ან დიპლომატიურ ურთიერთობას, ან სტრატეგიულ პარტნიორობას.

**ვალერი კვარაცხელია:** — მართლაც უცნაური რამ ხდება საქართველოში! ვინმემ აგვიკრძალა უკრაინის ხსენება ისე, რომ ზედ სტრატეგიული პარტნიორი არ დავაყოლოთ, თუ რაშია საქმე? რომელ სტრატეგიულ პარტნიორობაზეა ლაპარაკი მაშინ, როდესაც უკრაინაში, დიდი ხანია, რაც ფაშისტური იდეოლოგია გაბატონდა. ვინმეს თუ ეჭვი გეპარებათ, ინებეთ.

газета.ru

**ГАЗЕТА.RU:** — უკრაინის პრეზიდენტმა **ვიქტორ იუშჩენკომ** უკრაინის ნაციონალისტთა ორგანიზაციის ხელმძღვანელს (1941-59 წ.წ.), ფაშისტ **სტეპან ბანდერას** უკრაინის გმირის წოდება მიანიჭა. იუშჩენკოს თქმით, ბანდერასთვის გმირის წოდების მინიჭებას მილიონობით უკრაინელი მრავალი წლის განმავლობაში ელოდებოდა.

**ვალერი კვარაცხელია: — საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უკრაინაში რამდენჯერმე მოხდა სახელმწიფო გადატრიალება — ხან ხავერდოვანი და ხან სისხლიანი. ყოველი გადატრიალების შემდეგ ძალაუფლებას ახალი პერსონები იგდებდნენ ხელში, მაგრამ ნაციონალისტური და ფაშისტური იდეოლოგია უცვლელი რჩებოდა, ანუ მუდმივად ფაშისტური იდეოლოგია იმარჯვებდა. პრეზიდენტმა იუშჩენკომ 2010 წელს ფაშისტი სტეპან ბანდერა თუ ეროვნულ გმირად აღიარა, მის მერე ხელისუფლებაში სისხლიანი სახელმწიფო გადატრიალების გზით მოსულმა პრეზიდენტმა პოროშენკომ ბანდერას მთელი ორგანიზაცია გმირად შერაცხა.**

Рамблер/

**RAMBLER.RU:** — 2015 წლის მაისში პრეზიდენტმა პოროშენკომ ხელი მოაწერა კანონს უკრაინის ნაციონალისტთა ორგანიზაციის მებრძოლების უკრაინის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლებად ცნობის შესახებ.

**ვალერი კვარაცხელია: — ყველასთვის ნათელია, რომ უკრაინა ფაშიზმის აღზევების გზას ადგას. სხვა რა მტკიცება საჭირო, აგერ, ზელენსკიმ სააკაშვილს რეფორმების ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი უბოძა. რით დაიმსახურა სააკაშვილმა ზელენსკის ესოდენ მაღალი ყურადღება? პასუხი მარტივია: პირველ რიგში, მისი ფაშისტური მსოფლმხედველობით. დიახ, უკრაინის დღევანდელი ხელისუფლება ფაშიზმის ბუდეა.** აი, კიდევ ერთი, სულ ახალი დადასტურება ამისა. 2020 წლის 9 მაისს, ფაშიზმზე გამარჯვების 75-ე წლისთავზე უკრაინის სახელისუფლო პარტიამ, რომელსაც „სლუგა ნაროდა“ ჰქვია, ასეთი მკრეხელური განცხადება გააკეთა.

КОМИТЕТ СПАСЕНИЯ УКРАИНЫ

**COMITET.SU:** — უკრაინის პრეზიდენტის ▶

**«საქართველოს კანონიერ მოთხოვნას, რომ დამნაშავე სააკაშვილი გადმოსცენ, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები — ამერიკა და ევროპა, ბოდიშს ვიხდი ამ გამოთქმისთვის, ფეხებზე იკიდებენ. უკრაინის პრეზიდენტმა კი იგი ვიცეპრემიერის პოსტზე წარადგინა. საქართველოს ხელისუფლებამ უკრაინა გააფრთხილა, რომ ასეთი ყოვლად გაუმართლებელი და ქართველი ხალხისთვის შეურაცხმყოფელი საკადრო დანიშვნა თუ განხორციელდებოდა, საქართველოს ამაზე მწვავე რეაქცია ექნებოდა»**

## „ბევრს ლაპარაკობენ ყბადაღებულ კოაბიტაციაზე. ბევრს ჰგონია, რომ „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის მერკანტილურ გარიგებასთან გვაქვს საქმე, მაგრამ რეალურად, როგორც ჩანს, უფრო რთული ვითარებაა. ისინი გარიგებულნი კი არ არიან ერთმანეთთან, ერთნი არიან მენტალობითა და პოლიტიკური მსოფლმხედველობით“.

პროცესების ანალიზი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ პარტიამ „სლუგა ნაროდამ“ დღეს დაადასტურა, რომ მისთვის არ არსებობს გამარჯვების დღე. დღეს პარტიის 9 მაისის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ ეს დღე არის გლოვის დღე.

**ვალერი კვარაცხელია:** **— აქ კი ძალიან სერიოზული შეკითხვა ჩნდება: უკრაინა თუ საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია, მაშინ რა გამოდის, ფაშისტური იდეოლოგია ჩვენთვისაც მისაღებია? ეს რთული შეკითხვაა. საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას ფაშიზმში თითქოს ვერ დაადანაშაულებ, მაგრამ ასეთ შემთხვევაში სხვა, არანაკლებ რთული შეკითხვა წამოიჭრება. საქართველოს ხელისუფლებას უკრაინის ხელისუფლებასთან მსოფლმხედველობრივი პოზიციები თუ არ აერთიანებს, მაშინ რა არის ის, რის გამოც ჩვენი დღევანდელი ხელისუფლება ისე ილტვის უკრაინისკენ, რომ მისი პრეზიდენტისგან სილის გაწვნასაც და სახეში შეფურთხებასაც მთელი ჩვენი ქვეყნისთვის შეურაცხმყოფელი თავდახრილობით იტანს?**

საქმე ის არის, რომ უკრაინაც და საქართველოც ამერიკელებს მძევლებად ჰყავთ აყვანილი, ამიტომ ორივე ეს სახელმწიფო ამერიკელთა ხელში რუსეთთან დაპირისპირების ინსტრუმენტებია. აი, ერთ-ერთი დამახასიათებელი გამონათქვამი ათას სხვა ამგვარ გამონათქვამთა შორის, სადაც შესანიშნავად ჩანს ამერიკელების მიერ ჩვენთვის დაკისრებული გეოპოლიტიკური ამოცანა და ფუნქცია.



**კეი ბეილი ჰათჩისონი, აშშ-ის მუდმივი წარმომადგენელი ნატოში: — ჩვენ ერთმნიშვნელოვნად გაწყობილნი ვართ, დავეხმაროთ საქართველოსა და უკრაინას, რომ ისინი წინ აღუდგნენ რუსულ აგრესიას.**

**ვალერი კვარაცხელია:** — დააკვირდით! **ამერიკელებისთვის ჩვენთან (საქართველოსა და უკრაინასთან) ურთიერთობის, ჩვენთვის გასაწევი დახმარებისა და, საერთოდ, ჩვენი არსებობის საზომიც კი რუსეთთან ჩვენი დაპირისპირებაა. ჩვენ მათ რუსეთთან სამტროდ ვჭირდებით და, მომავალშიც, მხოლოდ ამისთვის დავჭირდებით. ესაა ამოხსნა იმ მარტივი პოლიტიკური ამოცანისა, რომლის გამოც საქართველოსა და უკრაინას ერთმანეთის პარტნიორები ჰქვიათ.** ერთი ბატონის ყურმოჭრილ ყმობას ორ ქვეყანას შორის სტრატეგიულ პარტნიორობას უწოდებენ, რათა ნამდვილი არასახარბიელო ვითარება ტერმინებს მიღმა მიჩქმალონ. აშშ-სა და საქართველოს შორის რეალურად არსებულ ბატონყმურ ურთიერთობასაც სტრატეგიული პარტნიორობა ჰქვია. ყმათა ყურს ეს ტერმინი ესალბუნება, მაშინ, როდესაც რეალობის გაცილებით უკეთესად გამომხატველი ტერმინები — მონათმფლობელობა და კოლონიალიზმი, ძალიან მძიმედ მოხვდებოდა. სტრატეგიული პარტნიორის ცნების შემოტანისა და გააქტიურების წყალობით ჩვენი მძიმე ხვედრი შედარებით მსუბუქი და მისაღები გვეჩვენება, ვიდრე მოვლენებისთვის ნამდვილი სახელების დარქმევის შემთხვევაში მოგვეჩვენებოდა. **ამერიკაში შესანიშნავად აქვთ დამუშავებული ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა ის მიმართულება, რომელსაც სოციალური ფსიქოლოგია ჰქვია. მეცნიერების ამ დარგს ადრე „ხალხთა ფსიქოლოგიას“ უწოდებდნენ. აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო პრაქტიკულ საქმიანობაში ფართოდ იყენებს მეცნიერების ამ დარგის სპეციალისტთა რეკომენდაციებს. ამის ერთი კონკრეტული დადასტურება ისიცაა, რომ საქართველოსა და აშშ-ის ურთიერთობას, რომელიც სიუზერენისა და ვასალის, მეტროპოლიისა და კოლონიების ურთიერთობების კლასიკურ სქემაზეა აგებული, სტრატეგიულ პარტნიორობას უწოდებენ.**

რამდენიმე დღის წინათ რუსეთის ფედერაციის საბჭოს წევრმა კონსტანტინე კოსაჩოვმა საქართველოსთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა.



**კონსტანტინე კოსაჩოვი, რუსეთის ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე:** — რუსეთი მზად არის, საქართველოსა და უკრაინასთან საპარლამენტო დიალოგი სრულად აღადგინოს. ჩვენ გვაქვს სათქმელი და მზად ვართ, მოვისმინოთ მათი არგუმენტებიც.

**ვალერი კვარაცხელია:** — რუსეთის ერთ-ერთმა გავლენიანმა პოლიტიკოსმა და თანამდებობის პირმა შემოგვთავაზა საპარლამენტო დიალოგის აღდგენა, რომელიც რეალურად არ გვაქვს (მართალია, „პატრიოტთა ალიანსის“ დეპუტატები ხშირად ჩადიან რუსეთში და ხვდებიან იქაურ კოლეგებს, მაგრამ ამ შეხვედრებს ოფიციალური საპარლამენტო შეხვედრების სტატუსი არ აქვს), კოსაჩოვმა კი ოფიციალური საპარლამენტო შეხვედრებისთვის მზადყოფნა გამოხატა.

სულ ეს იყო.

მოდი, **გადავავლოთ თვალი, რა რეაქცია გამოიწვია საქართველოს პოლიტიკურ წრეებში კოსაჩოვის ამ განცხადებამ და რა კარგად გამოაჩინა ამ კონკრეტულმა ფაქტმა საქართველოს ვასალური და კოლონიური მდგომარეობა.**



**სალომე სამადაშვილი, „ნაციონალური მოძრაობა“:** — ეს იმის სიგნალია, რომ არჩევნების ჩატარების შემდეგ რუსებს საქართველოში თავიანთი პოლიტიკური გავლენის გაძლიერების იმედი აქვთ.

## «საქართველოს ხელისუფლებას უკრაინის ხელისუფლებასთან მსოფლმხედველობრივი პოზიციები თუ არ აერთიანებს, მაშინ რა არის ის, რის გამოც ჩვენი დღევანდელი ხელისუფლება ისე ილტვის უკრაინისკენ, რომ მისი პრეზიდენტისგან სილის გაწვნასაც და სახეში შეფურთხებასაც მთელი ჩვენი ქვეყნისთვის შეურაცხმყოფელი თავდახრილობით იტანს?»



ორი კლოუნი



**გიორგი კანდელაკი, „ევროპული საქართველო“:** — ჩვენ არ გვჭირდება რუსეთთან იმგვარი დიალოგი, რომელიც საერთაშორისო თანამეგობრობას გაუგზავნის სიგნალს, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობებში პრობლემები არ არის და ყველაფერი კარგადაა.

**ვალერი კვარაცხელია:** — რა შეიძლება ამ განცხადებებს უწოდო, თუ არა ბოდვა პოლიტიკურ მოტივებზე. დიახ, ბოდვა, თანაც სრულიად უპასუხისმგებლო, კოლონიური ფსიქოლოგიის საუკეთესოდ გამომხატველი. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი როდია, გაცილებით მეტი უპასუხისმგებლობით გაჯერებული ბოდვის მოსმენის „ბედნიერება“ წინ გაქვთ, თანაც საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელთაგან.



**გია ვოლსკი, „ქართული ოცნება“:** — ასეთი შეხვედრა რომც გაიმართოს, პირველივე ჯერზე რეზულტატის გარეშე დასრულდება. ჩვენ ვერაფერზე ვერ შევთანხმდებით. არ შეიძლება, რომ რუსეთის ფედერაციას ბორდერიზაციის პირობებში, ხალხის გატაცების პირობებში, ჰქონდეს რამე პოზიტიური მოსაზრებები.



**მამუკა მდინარაძე, „ქართული ოცნება“:** — სანამ რამე ურთიერთობებზე იქნება საუბარი, მანამდე რუსეთის საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებმა იმაზე იზრუნონ, რა პირობები აქვთ მათ შესასრულებელი, რა საერთაშორისო ნორმებს არღვევენ, როგორ ექცევიან ადამიანებს ოკუპირებულ ტერიტორიებსა და გამყოფ ხაზებზე.

**ვალერი კვარაცხელია:** — როგორც ხედავთ, მმართველი პარტია რუსეთთან ურთიერთობის კიდევ უფრო დაძაბვისა და საკითხისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების თვალსაზრისით წინ თუ არ არის წასული, ნამდვილად არ ჩამორჩება „ნაციონალურ მოძრაობას“.

რუსეთი, რომელთანაც, ერთი მხრივ, უზარმაზარი პოლიტიკური პრობლემები გვაქვს; მეორე მხრივ კი, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა დიდწილად არის მასზე დამოკიდებული, როდესაც საპარლამენტო დონეზე დიალოგს გვთავაზობს, „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები კი ისე პასუხობენ, როგორც ზემოთ წაიკითხეთ, უნდა ვიფიქროთ, რომ საქმე მხოლოდ უპასუხისმგებლობასთან კი არა, შეგნებულ მავნებლობასთან გვაქვს. **ბევრს ლაპარაკობენ ყბადაღებულ კოაბიტაციაზე. ბევრს ჰგონია, რომ „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის მერკანტილურ გარიგებასთან გვაქვს საქმე, მაგრამ რეალურად, როგორც ჩანს, უფრო რთული ვითარებაა. ისინი გარიგებულნი კი არ არიან ერთმანეთთან, ერთნი არიან მენტალობითა და პოლიტიკური მსოფლმხედველობით. ზემოთ კი ვთქვი, საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას ფაშისტურ მხედველობაში თითქოს ვერ დაადანაშაულებ-მეთქი, მაგრამ სააკაშვილის ფაშისტურ ბანდასთან თავიდანვე თუ თანამშრომლობდი, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მთელი რვა წლის მანძილზე მასთან კოაბიტაციაში იმყოფები, უკრაინის ფაშისტური ხელისუფლების სტრატეგიული პარტნიორი თუ ხარ და მათი ამერიკელი პატრონები შენი პატრონებიც არიან, მაშინ ჩვენ კი არ უნდა ვამტკიცოთ, რომ შენ ფაშისტურ იდეოლოგიასთან ახლოს დგახარ, არამედ შენ მოგიწევს იმის მტკიცება, რომ ფაშისტებთან მსოფლმხედველობრივი ნათესაობა არ გაკავშირებს, თუმცა გაგიჭირდება.**

ფაშიზმის თემა, სამწუხაროდ, წარსულის კუთვნილება არ არის, ფაშიზმი დღევანდელი რეალობაა და არაა გამორიცხული, რომ მომავლის უბედურებადაც მოგვევლინოს. ევროპაში ტყუილად არ ებრძვიან განმათავისუფლებელი საბჭოთა არმიის სიმბოლოებს, ობელისკებს, ძეგლებს. ევროპასა და, საერთოდ, დასავლეთში კვლავაც დაძრწის ფაშიზმის აჩრდილი, კვლავ წამოჰყვეს თავი წარსული ბოროტების ლანდებმა, რომლებიც გაუთავებლად გაიძახიან, რომ საბჭოთა კავშირთან ომში თუ დავმარცხდით, ე.წ. ცივ ომში გავიმარჯვეთ და საბჭოთა კავშირზე ისეთი რევანშისტული იერიში მივიტანეთ, რომ ნანგრევებად ვაქციეთო, ახლა კი კვლავ ჩვენი დრო დგებაო. უფრო შორსაც მიდიან, ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა კავშირს არ გაუმარჯვია, ჩვენ გავიმარჯვეთო. აშშ-ის პრეზიდენტმა 9 მაისს, ფაშიზმზე გამარჯვების 75-ე წლისთავზე, განსაცვიფრებელი განცხადება გააკეთა:



**დონალდ ტრამპი, აშშ-ის პრეზიდენტი:** — 75 წლის წინათ აშშ-მა და გაერთიანებულმა სამეფომ ნაცისტებზე გამარჯვება მოიპოვეს.

**ვალერი კვარაცხელია:** — საბჭოთა კავშირი ისე, სხვათა შორისაც კი არ ახსენა: აშშ-მა და გაერთიანებულმა სამეფომო. სტალინი თურმე არ არსებობდა, ამერიკელთა მიერ დაფინანსებულ და შეიარაღებულ ევროპულ ფაშიზმს სამი ათეული მილიონი საბჭოთა მოქალაქის სიცოცხლე თურმე არ შეუწირავს, წითელ არმიას ევროპა ყავისფერი ჭირისგან თურმე არ გაუთავისუფლებია, ეგოროვსა და ქანთარიას რაიხსტაგზე გამარჯვების წითელი დროშა თურმე არ აუფრიალებიათ და, საერთოდ, რაც აქამდე მსოფლიომ იცოდა, სიზმარი ყოფილა, რომლისგანაც ბატონმა ტრამპმა ერთბაშად და მოულოდნელად გამოგვაღვიძა.

ასეთია დასავლური ზნეობა, დასავლური ლოგიკა და დასავლური ჭეშმარიტება, რომელიც კვლავაც იმ გზას ადგას, რომელმა გზამაც მეოცე საუკუნეში პლანეტა ორჯერ გახვია მსოფლიო ომის ქარცეცხლში.

ასეთი იყო დღეს „ოქროს კვეთა“. მომავალ შეხვედრამდე...

**P. S. აშშ-სა და ჩინეთს შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა. პრეზიდენტი ტრამპი კორონავირუსის გამო ჩინეთს ადანაშაულებს და აცხადებს: ვირუსის შეჩერება შესაძლებელი იყო ჩინეთში, მაგრამ ეს არ გაკეთდა. ეს იყო ყველაზე მძიმე შეტევა, რომელიც ოდესმე ჩვენს ქვეყანაზე განხორციელებულა. ეს იყო უარესი, ვიდრე „პერლ ჰარბორი“ და ვიდრე 2001 წლის 11 სექტემბრის შეტევა საერთაშორისო სავაჭრო ცენტრზე.**

**ეს ჩინეთის წინააღმდეგ მოქმედებებისთვის ოფიციალური საბაბია. ნამდვილი მიზეზი კი ჩინეთის კომუნისტური სისტემაა, რომლის წინაშეც მთელი კაპიტალისტური სამყარო შიშით ცახცახებს.**

**ვალერი კვარაცხელია**

ავი მესაიფი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**მეორე ფრონტი აშშ-მა და ინგლისმა ომის დამთავრებამდე რამდენიმე თვით ადრე, 1944 წლის ივნისში გახსნეს, რადგან დაინახეს, რომ „ომობანას თამაშით“ სსრკ სრულიად ევროპას გააწითლებდა. სხვათა შორის, აშშ პირველ მსოფლიო ომშიც მხოლოდ მის დასრულებამდე რამდენიმე თვით ადრე ჩაერთო, მას შემდეგ, რაც რუსეთის მართლმადიდებელ იმპერიას ომში გამარჯვება ანტანტის ბლოკში საკუთარმა მოკავშირეებმა აშშ-ის სასარგებლოდ „მოჰპარეს“ და ომის შემდგომ დარჩენილი ტორტის ყველაზე მსუყე ნაჭერიც მათ ერგოთ.**

# ისინი რუსეთისა და საქართველოსთვის იბრძოდნენ

**საქართველოში ოჯახი რომ არ არის, რომელსაც მავანთათვის ე.წ. მეორე მსოფლიო (თუ რატომ „ე.წ.“ ამაზე ქვემოთ), ხოლო ჩვენთვის, ქართველებისთვის, დიდ სამამულო ომში, სისხლით ნათესავი არ დაღუპვია, ცნობილი ამბავია. ქოც-ნაცების ხელისუფლებამ, მართალია, 9 მაისს უცნობი ჯარისკაცის მემორიალის გვირგვინებით შემკობით პატივი მიაგო ომში დაღუპულთა ხსოვნას, მაგრამ რად გინდა?! ტელეკამერების ალყაში მოქცეული ოპოზიციის ლიდერებისა თუ ხელისუფლების უმაღლესი ჩინოსნებიდან ერთსაც არ დასცდენია ადრენალინის შემცველი სიტყვები — „დიდი სამამულო ომი“ და კოაბიტაციური სიამტკბილობით მხოლოდ ქართველი კაცისთვის სრულიად უემოციო ე.წ. მეორე მსოფლიო ომი ისმოდა მათი „მართალი“ ბაგეებიდან, რის გამოც, ალბათ, საფლავში წრიალებენ მათი მამა-პაპანი, რადგან ისინი, გენერალისიმუს სტალინის მეთაურობით, დიდ სამამულო ომში იბრძოდნენ და არა მეორე მსოფლიო ომში.**



პეტრე ბაგრატიონი

**მართლმადიდებლობა და გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ დიდ სამამულო ომში ერთად დაღვრილი სისხლი — აი, ის, რაც გვაერთიანებს, აგრეთვე, ნაპოლეონ ბონაპარტეს წინააღმდეგ 1812 წლის სამამულო ომში რუსების მხარდამხარ ქართველთა მონაწილეობა**

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ზედმეტია იმის ხაზგასმა, რომ ვერც ფაშიზმზე გამარჯვების მთავარი შემოქმედის — **სტალინის** სახელის ხსენება გაბედეს ქოც-ნაცთა ფარჩაკი ხელისუფლებს მაღალჩინოსნებმა.

ეგ კი არა, მან, ვინც გაბედა სტალინის სახელის ხსენება ჩემი კოლეგისთვის მიცემულ სტელეფონო ინტერვიუში, ცოტა ხნის შემდეგ თვითონ დაურეკა ინტერვიუერს და მასალიდან იმ პასაჟის ამოღება სთხოვა, რომელშიც ეს ფრახი (უსირცხვილო) სტალინის სახელს ისე ახსენებდა, როგორც ფაშიზმზე გამარჯვების მთავარ შემოქმედს.

სამწუხაროდ, ამ „ვაჟკაცის“ ვინაობას ვერ გაგიმხელთ, რადგან ამის უფლება ჩემმა კოლეგამ არ მომცა და ამიტომ მკითხველის გასაგონად ერთ მარტივ კითხვას დავსვამ — რა ჰქვია ასეთ საქციელს? ამ კითხვაზე პასუხიც მკითხველისთვის მიმინდვია... მე მხოლოდ იმას ვიტყვი დაბეჯითებით, რომ ზემოთ ხსენებული „ვაჟკაცობა“ პატარა შემადგენელია იმ დიდი პროცესისა, რომელსაც ისტორიის გადაწერის მცდელობა ჰქვია.

ეს პროცესი ე.წ. ცივი ომის გაჩაღების შემდეგ დაიწყო და მისი დამთავრების შემდეგ, აგერ უკვე 30 წელიწადია, განსაკუთრებული ცინიზმითა და თავხედობით მიმდინარეობს. პროცესი, რომლის დედააზრი, მოკლედ თუ ვიტყვით, არის ის, რომ ფაშიზმი აშშ-მა და დიდმა ბრიტანეთმა დაამარცხეს, ხოლო 27 მილიონი მსხვერპლის გამღები სსრკ, როგორც ჩემს ბოლო წერილში აღვნიშნე, სტალინგრადსა თუ კურსკში ომობანას თამაშობდა და კაცმა არ იცის, რა დაემართებოდა, რომ არა ე.წ. ლენდ-ლიზი და მეორე ფრონტი...

არადა, ლენდ-ლიზით, პირველ რიგში, ამერიკელებმა იხეირეს, რადგან სამხედრო თუ სხვა შეკვეთებით ამუშავდა აშშ-ის ეკონომიკა და ე.წ. დიდი დეპრესია საბოლოოდ დამთავრდა. რაც შეეხება **მეორე ფრონტს, ის აშშ-მა და ინგლისმა ომის დამთავრებამდე რამდენიმე თვით ადრე, 1944 წლის ივნისში გახსნეს, რადგან დაინახეს, რომ ზემოხსენებული „ომობანას თამაშით“ სსრკ სრულიად ევროპას გააწითლებდა. სხვათა შორის, აშშ პირველ მსოფლიო ომშიც მხოლოდ მის დასრულებამდე რამდენიმე თვით ადრე ჩაერთო, მას შემდეგ, რაც რუსეთის მართლმადიდებელ იმპერიას ომში გამარჯვება ანტანტის ბლოკში საკუთარმა მოკავშირეებმა აშშ-ის სასარგებლოდ „მოჰპარეს“ და ომის შემდგომ დარჩენილი ტორტის ყველაზე მსუყე ნაჭერიც მათ ერგოთ** — პირველ მსოფლიო ომში გამარჯვების აღსანიშნავ სამხედრო აღლუმზე პარიზში საფრანგეთის, ინგლისისა და აშშ-ის ჯარები მოაბიჯებდნენ, ხოლო რუსეთის მართლმადიდებელი იმპერია სამოქალაქო ომის ხანძარში იწვოდა — ეს ისე, მცირე ლირიკული გადახვევა დასავლეთის „უანგარობის“ საილუსტრაციოდ...

თანამედროვე ნეოლიბერასტი „ისტორიკოსები“ იმ გაუგონარ ცინიზმამდეც კი მივიდნენ, რომ, ევროსაბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციის თანახმად, ფაშიზმი და კომუნიზმი, **ჰიტლერი** და **სტალინი** ერთნაირ ბოროტებად გამოაცხადეს. სამწუხაროა, რომ ამ უნამუსობა-სიბინძურეში საქართველოს ქოც-ნაცთა ხელისუფლებაც მონაწილეობს — ზემოხსენებულ რეზოლუციას კოაბიტაციური ერთობით ერთხმად დაუჭირა მხარი ევროსაბჭოში ქართულმა დეპუტაციამ. **ჩვენი არასამთავრობო თუ სამთავრობო ნეოლიბერასტები უფრო შორსაც წავიდნენ — რამდენიმე წელიწადია, მიმდინარეობს აღვირახსნილი პროპაგანდა, რომ, რასაც ჩვენ, „ბნელი ბრუზინები“, დიდ სამამულო ომს ვეძახით, სინამდვილეში ყოფილა სხვისი — რუსეთის, გნებავთ, კომუნისტების ომი, რომელშიც ჩვენს მამა-პაპათ ცხვრებივით მიერეკებოდნენ** და ა.შ. ათასი სისულელე, რომლებზეც პასუხის გაცემის სურვილი იყო წინამდებარე წერილის შექმნის მთავარი მიზეზი და რომელი წერილიც ცოტა შორიდან უნდა დავიწყო...



საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ქართული სახელმწიფო დამოუკიდებელი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, უწყვეტად, სამწუხაროდ, სულ რაღაც, 120 წელიწადს იყო, ანუ **დავით აღმაშენებლიდან გიორგი ლაშამდე** და, შესაბამისად, იმ პერიოდში წარმოებული ომებიც ჩვენი ომები იყო.

მას შემდეგ, თუ არ ჩავთვლით **გიორგი ბრწყინვალეს** მართლაც ბრწყინვალე, მაგრამ ხანმოკლე გამონათებას, ჩვენი მამა-პაპანი მუდამ „სხვის ომში“ იბრძოდნენ. რომლებშიც ჩვენი ბრძენი მეფენი ცდილობდნენ, იმ მხარეზე დადგომას, რომლიდანაც შეიძლებოდა საქართველოსაც ეხეირა მეტ-ნაკლებად... ასეთი იყო ჩვენი ბედი მსახვრალი — ასე თუ ისე, **მრავალი მტერი მოვინელეთ ომებში ხმალთა კვეთებითა და დიპლომატიით, ვიდრე 1555 წელს ამასიის ზავის შედეგად საქართველო ორად არ გაიყვეს ოსმალოებმა და ყიზილბაშებმა. მას შემდეგ მათ (ანუ სხვის) ომებში მოგვიწია ბრძოლა, იმის მიხედვით, რომელ მხარეს ბრძოლა იყო საქართველოსთვის მეტ-ნაკლებად ხეირიანი.**

ამ რეალობამ ათქმევინა ქართველ კაცს: **„ოსმანა და ალია, ორივე თათარია“.** ანუ თანამედროვე ენაზე თუ „მოვთარგმნით“, ერთის დედაც და მეორისაც, ორივე სულერთიაო, მაგრამ, საბედნიეროდ, როგორც იქნა, დადგა დრო, როდესაც სულერთიობა დასრულდა საქართველოსთვის, როდესაც ერთმორწმუნე რუსეთი გამოჩნდა ჰორიზონტზე და ახლა ამ ჰორიზონტის მოახლოებისთვის დაიწყო ქართველმა კაცმა ფიქრი და ბრძოლა „სხვის“ ომში საკუთარი თავის გადასარჩენად...

მას შემდეგ, რაც **ვახტანგ მეექვსე** იძულებული შეიქნა, რუსეთისთვის შეეფარებინა თავი და თანაც მაშინდელი ქართლის მრავალი გამოჩენილი ადამიანიც გაიყოლა, რის შედეგადაც რუსეთში ქართველთა კოლონია დაარსდა, ცხადი იყო, რომ ერთმორწმუნე რუს-ქართველთა პოლიტიკური ერთობა მხოლოდ დროის ამბავი იყო.

**ეს ერთობა გიორგიევსკის ტრაქტატის გავლით შედგა კიდეც, რასაც უამრავ მინუსთან ერთად ერთი ისეთი პლუსი ჰქონდა, რომელიც ყველაფერს გადაფარავდა — მართლმადიდებლობა და, აქედან გამომდინარე, ქართველი ერის არა მხოლოდ ფიზიკური გადარჩენა, არამედ თვითმყოფადობის შენარჩუნება.**

დღეს ისეთ გზაგასაყართან ვდგავართ, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად მიმაჩნია რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა. როგორც ჩვენმა პატრიარქმა ბრძანა, „რუსეთთან უნდა აღდგეს ჩვენი ძმური ურთიერთობები და ეს უნდა მოხდეს, რაც შეიძლება სწრაფად“. სწორედ აქედან გამომდინარე, ის უნდა წამოვწიოთ წინ, რაც გვაერთიანებს და არა ის, რაც გვთიშავს.

**მართლმადიდებლობა და გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ დიდ სამამულო ომში ერთად დაღვრილი სისხლი — აი ის, რაც გვაერთიანებს, აგრეთვე, ნაპოლეონ ბონაპარტეს წინააღმდეგ 1812 წლის სამამულო ომში ქართველთა მონაწილეობა.** სწორედ ამ თემაზე საუბარი მსურს წინამდებარე წერილში, აგრეთვე, იმაზე, რა გზა გამოვიარეთ მანამდე და მას შემდეგ რუსეთ-თურქეთს შორის მრავალი ომის გახსენებით...

2012 წელს რუსეთში დიდი ზეიმით აღნიშნეს 1812 წლის დიდ სამამულო ომში **ნაპოლეონის** მანამდე უძლეველ არმიაზე გამარჯვების 200 წლისთავი. საზეიმო ღონისძიებების ფარგლებში ბოროდინოს ბრძოლის ქართველი გმირის, გენერალ **პეტრე ბაგრატიონის** მშვენიერი ძეგლიც დაიდგა პეტერბურგში, ამიტომ სურვილი გამიჩნდა იმის გახსენებისა, **ლეგენდარული გენერლის გარდა სხვა რა გვაკავშირებს ქართველებს რუსების „ძლევაი საკვირველთან“ და რა გავლენა იქონია ან შეიძლებოდა ჰქონოდა იმხანად უდიდესი მასშტაბის ხოცვა-ჟლეტას ამ ომამდე 29 წლით ადრე რუსეთის უდიდესი იმპერიის ნაწილად ქცეულ პატარა საქართველოზე. ამ ომის შედეგებმა, სულ ცოტა, 100 წლით განაპირობა მთელი ევროპის მომავალი...**

* ისტორიასთან, როგორც მეცნიერების დარგთან, მხოლოდ სიყვარული მაკავშირებს და წინასწარ გიხდით ბოდიშს, თუკი წერილი მეცნიერულზე მეტად ემოციური გამოვა. დიახ, ემოციური, რადგან ემოციების გარეშე ვერასოდეს ვკითხულობ ხოლმე ისტორიას, მით უმეტეს საქართველოს ისტორიას, თანაც, როცა საკითხი რუსებისა და ქართველების ურთიერთობას ეხება. ამას წინათ, ჩემდა გასაკვირად აღმოვაჩინე, რომ რუსეთ-საფრანგეთის ომამდე პატარა საქართველოც ყოფილა მთავარი თუ არა, ერთ-ერთი საჯილდაო ქვა: რუსეთ-საფრანგეთ-ინგლის-ოსმალეთ-ირანს, ანუ იმჟამინდელ მთავარ პოლიტიკურ მოთამაშეთა შორის.

კერძოდ, მას შემდეგ, რაც, 1806 წლის 18 დეკემბერს ოსმალეთის სულთანმა რუსეთს ომი გამოუცხადა, მოკლე ხანში, 1807 წლის 4 მაისს, ე.წ. ფინკენშტეინის საიდუმლო ხელშეკრულება გაფორმდა ნაპოლეონსა და სპარსეთს შორის, რომლის ერთი მუხლი ჩვენთვის საინტერესოა. **ამ მუხლით საფრანგეთის იმპერატორი აღიარებდა შაჰის უფლებას საქართველოზე და ივალებდა, აეძულებინა რუსეთი, საქართველოდან გასულიყო.** ამავე პერიოდში მსგავსი ხასიათის ხელშეკრულება მზადდებოდა ოსმალეთთანაც, რომელსაც ნაპოლეონი მოლდავეთს, ვლახეთს, ბესარაბიას, ყირიმსა და საქართველოს უთმობდა, ამას შემდეგ უნდა მოჰყოლოდა ოსმალეთ-საფრანგეთ-სპარსეთის კავშირი ინგლის-რუსეთის წინააღმდეგ. თუმცა ეს ყვე- ▶

# ლეგენდარული გენერლის გარდა სხვა რა გვაკავშირებს ქართველებს რუსების „ძლევაი საკვირველთან“ და რა გავლენა იქონია ან შეიძლებოდა ჰქონოდა იმხანად უდიდესი მასშტაბის ხოცვა-ჟლეტას ამ ომამდე 29 წლით ადრე რუსეთის უდიდესი იმპერიის ნაწილად ქცეულ პატარა საქართველოზე. ამ ომის შედეგებმა, სულ ცოტა, 100 წლით განაპირობა მთელი ევროპის მომავალი...

ავი მესაიფი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რამდენიც უნდა იყაყანონ დღეს ურაპატრიოტებმა, რომ რუსეთის იმპერია საქართველოს კი არ უბრუნებდა ირანისა და ოსმალეთის მიერ წართმეულს, არამედ საკუთარ ტერიტორიებს აფართოებდაო, ფაქტია, რომ ქუთაისისა და თბილისის გუბერნიებს შემატებული აჭარა და სამცხე, საინგილო თუ ტაშირი რეალურად ქართულენოვან, ეროვნულ კულტურულ სივრცეს შეერწყა. უფრო მეტიც, რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ სწორედ ამ გუბერნიების საზღვრებში, ანუ ლამის ტრაპიზონიდან დარუბანდამდე გამოვაცხადეთ დამოუკიდებლობა და, თუ ვერ შევინარჩუნეთ, ეს, პირველ რიგში, უნიათო სოციალ-დემოკრატების დამსახურებაა**

ყველაფერი საქართველოს მიმართ გარკვეულ დრომდე მხოლოდ ბოროტ განზრახვად დარჩა, რადგან ნაპოლეონსა და რუსეთის იმპერატორ **ალექსანდრეს** შორის მოულოდნელად დადებულმა ე.წ. ტილზიტის ზავმა არა მხოლოდ ევროპაში, ახლო აღმოსავლეთშიც ყველაფერი არივდარია.

შორს წაგვიყვანს ამის შემდეგ დიდ სახელმწიფოთა შორის დიპლომატიური წიაღსვლების განხილვა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ საფრანგეთი ბრიტანეთმა ჩაანაცვლა. ტილზიტის საზავო ხელშეკრულება, ძირითადად, ინგლისის წინააღმდეგ იყო მიმართული და ეს ყველაფერი საქართველოს კარგს არაფერს უქადდა, რადგან ახლა ბრიტანეთმა დაიწყო ვაჭრობა საქართველოთი ჩვენს ამომგდებ ირან-ოსმალეთთან. ახლა მთავარი:

ზემოთ „გარკვეულ დრომდე ბოროტი განზრახვა“ ვახსენე და ეს გარკვეული დრო მაშინ დადგა, როდესაც ტილზიტის ზავი დაარღვია ბონაპარტემ და ომის გამოუცხადებლად დაესხა თავს რუსეთს. უფრო ზუსტად, მაშინ დადგებოდა ის „გარკვეული დრო“, ნაპოლეონს რომ გაემარჯვა. ამის იმედიც და სურვილიც საქართველოშიც ჰქონდათ „ცხელ თავებს“, ისევე, როგორც გასულ საუკუნეში ფიქრობდა ზოგიერთი (იქნებ გულწრფელადაც) ფაშისტური გერმანიის მეშვეობით საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევას — **შემთხვევითი არ უნდა იყოს ის, რომ კახეთის ცნობილი აჯანყება სწორედ 1812 წელს, ანუ რუსეთზე ნაპოლეონის თავდასხმის პარალელურად მოხდა. აჯანყება, რომელიც წინასწარვე მარცხისთვის იყო განწირული და ამიტომ ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ მამისეულ სამეფო ტახტზე ასვლის ბოლო სერიოზულ მცდელობას შეიძლება ავანტიურაც ვუწოდოთ.**

მართლაც, რუსებმა არათუ აღკვეთეს ეს ავანტიურა, რაც უაზრო ცრემლად და სისხლად დაუჯდა მაშინდელ ქართველ გლეხობას, არამედ, მიუხედავად კატასტროფის დიდი ალბათობისა, საქართველოდან ერთი ჯარისკაციც კი არ გაუყვანიათ და ისე დაამარცხეს ბონაპარტე. თორემ ხომ წარმოგიდგენიათ, დაცვის გარეშე დარჩენილ საქართველოში, როგორ იხუვლებდნენ ჩვენს საბოლოოდ ჩასაყლაპვად ისტორიული „მეგობრები“ — ირანი და ოსმალეთი. და, თუ დღეს ისლამის ოკეანეში გათქვეფილები ფიზიკურად მაინც ვიარსებებდით, „მამაო ჩვენოს“ ნაცვლად, „შახსეი-ვახსეისა“ და „ალაჰ აკბარს“ ვიყვირებდით. რუსების სამამულო ომში ისტორიულ გამარჯვებაში ქართველებმაც დავიდეთ წილი — დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ ბოროდინოს ბრძოლაში ათეულობით ქართველი მონაწილეობდა. მათ შორის, **პეტრე ბაგრატიონის** „თამადობით“, 12 (!) გენერალია — **პეტრე და ივანე ბაგრატიონები, ვლადიმერ და ლევან იაშვილები, ივანე და სიმონ ფანჩულიძეები, სიმონ, ივანე და ფილიპე ჯავახიშვილები, სიმონ განგებლიშვილი, ანტონ შალიკაშვილი და პავლე ბიბილური.** აქედან გამომდინარე, დიდი იქნებოდა რიგითი მებრძოლების რიცხვი, რომელთა უმრავლესობა, სავარაუდოდ, რუსეთშივე იქნებოდნენ დაბადებულნი, როგორც ვახტანგ VI-ის დროინდელი დიდი ემიგრაციის შთამომავალნი — საზოგადოების ყველა ფენისა თუ კლასის წარმომადგენელი ქართველები, რომლებიც არა მხოლოდ ბოროდინოს ველზე, არამედ ადრეც, საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე, მონაწილეობდნენ მე-18 საუკუნეში (თუნდაც დავით გურამიშვილის მაგალითი რად ღირს) რუსეთის მიერ წარმოებულ ომებში. **ვახტანგ VI**-ის დროის ქართველებმა სისხლი ავანსად გაიღეს ერთმორწმუნე რუსეთისთვის. იმ რუსეთისთვის, რომელმაც საქართველოში შემოსვლის შემდეგ „ვალი დაგვიბრუნა“ — ლამის მთელი საუკუნის განმავლობაში ირანსა და ოსმალეთთან სამ-სამი ომი გადაიხადა და ყველაში გაიმარჯვა. შედეგად, საქართველოს ის ტერიტორიები დაუბრუნდა, რომლებზეც ქართველ კაცს მხოლოდ ოცნება თუ შეეძლო.

რამდენიც უნდა იყაყანონ დღეს ურაპატრიოტებმა, რომ რუსეთის იმპერია საქართველოს კი არ უბრუნებდა ირანისა და ოსმალეთის მიერ წართმეულს, არამედ საკუთარ ტერიტორიებს აფართოებდაო, ფაქტია, რომ ქუთაისისა და თბილისის გუბერნიებს შემატებული აჭარა თუ სამცხე, საინგილო თუ ტაშირი რეალურად ქართულენოვან, ეროვნულ კულტურულ სივრცეს შეერწყა. უფრო მეტიც, რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ სწორედ ამ გუბერნიების საზღვრებში, ანუ ლამის ტრაპიზონიდან დარუბანდამდე გამოვაცხადეთ დამოუკიდებლობა და, თუ ვერ შევინარჩუნეთ, ეს, პირველ რიგში, უნიათო სოციალ-დემოკრატების დამსახურებაა, მენშევიკების, რომლებსაც მანამდე სიზმარშიც კი არ უფიქრიათ საქართველოს დამოუკიდებლობაზე, არადა, ბედის ირონიით, სწორედ მათ ერგოთ დამოუკიდებელი საქართველოს მესაჭეობა.

მინდა, წერილი დიდი ილიას სიტყვებით დავასრულო, უფრო ზუსტად, მისი ცნობილი წერილის ფინალით. ილიამ ისტორიის მართალი სასწორით აწონ-დაწონა რუსებისა და ქართველების ურთიერთობების სიტკბო და სიმწარე, სამართალ-უსამართლობა, სიკეთე-ბოროტება, ვერაგობა თუ ძმობა და თავის ბრწყინვალე პუბლიცისტურ წერილში „ასის წლის შემდეგ“, რომელიც 1899 წელს დაწერა და რუსული ჯარის საქართველოში პირველად შემოსვლას მიუძღვნა, დაასკვნა, რომ **საქართველოს რუსეთთან შეერთებამ გაცილებით მეტი სარგებელი და სიკეთე მოგვიტანა ქართველებს, ვიდრე ბოროტება.**



**მრავალი მტერი მოვიწნელეთ ომებში ხმალთა კვეთებითა და დიპლომატიით, ვიდრე 1555 წელს ამასიის ზავის შედეგად საქართველო ორად არ გაიყვეს ოსმალებმა და ყიზილბაშებმა. მას შემდეგ მათ (ანუ სხვის) ომებში მოგვიწია ბრძოლა, იმის მიხედვით, რომელ მხარეს ბრძოლა იყო საქართველოსთვის მეტ-ნაკლებად ხეირიანი**



დაგვიდგინა და ანდერძად დაგვიგდო:

**„ამ ღირსსახსოვარ დღიდამ საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომებისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილებზე, გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემაძრწუნებელ სახსოვრად-ღა დაგვრჩა. დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა, სისხლდანთხეულ და ქრისტეს ჯვრისათვის ჯვარცმულ საქართველოს, რომელიც ღმერთმა სააქაო სამოთხედ გაუჩინა ადამიანს და კინაღამ ერთ დიდ სასაფლაოდ არ გადაექცა მისს თავდადებულ შვილებს, რომელნიც უმწედ, უნუგეშ, ყველასგან შორს, მარტოდ-მარტო იხოცებოდნენ ქრისტეს სარწმუნოების სადიდებლად და თავისის ვინაობის გადასარჩენად. დაიდვა საზღვარი მშვიდობის-მყოფელ ცხოვრებისა. ის დღეა და ეს დღე, ვეღარავინ გადმოლახა იგი საზღვარი ცეცხლითა და მახვილით ხელში და 26 ნოემბერს 1799 წელს, კვლავ სასოება-გაღვიძებული მეფე და ერი, გულწრფელად მიენდო თავისს მომავალსა, დიდი რუსეთის მფარველობის იმედითა და ნუგეშინით ფრთაშესხმული“...**

**დავით მხეიძე**

**ეს პროცესი ე.წ. ცივი ომის გაჩაღების შემდეგ დაიწყო და მისი დამთავრების შემდეგ, აგერ უკვე 30 წელიწადია, განსაკუთრებული ცინიზმითა და თავხედობით მიმდინარეობს. პროცესი, რომლის დედააზრი, მოკლედ თუ ვიტყვით, არის ის, რომ ფაშიზმი აშშ-მა და დიდმა ბრიტანეთმა დაამარცხეს, ხოლო 27-მილიონი მსხვერპლის გამღები სსრკ, როგორც ჩემს ბოლო წერილში აღვნიშნე, სტალინგრადსა თუ კურსკში ომობანას თამაშობდა და კაცმა არ იცის, რა დაემართებოდა, რომ არა ე.წ. ლენდ-ლიზი და მეორე ფრონტი**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**მხოლოდ 1941 წელს საქართველოდან ფრონტს მიეწოდა: 7 ათასი ტონა ორცხობილა, 3 ათასი ტონა მაკარონის ნაწარმი, 200 ტონა ჩაი, 11 ათასი დეკალიტრი ღვინო, 247 ათასი ტონა საჭმელი ზეთი, 447 ტონა თამბაქო, 136 მილიონი ღერი პაპიროსი, 2500 ტონა საპონი, 231 ათასი ცენტნერი ხორცი, 15 ათასი ლიტრი შამპანური, დიდი რაოდენობით სხვადასხვა სახის კვების პროდუქტი.**

დასასრული. დასაწყისი იხ. №16, 2020 წ.

# საქართველო დიდ სამამულო ომში

## საქართველოს მრეწველობა და სოფლის მეურნეობა დიდ სამამულო ომში

ომის დაწყებისთანავე საქართველომ თავისი მრეწველობა ომის ყაიდაზე გადააწყო. ომის პირველივე წელს შესამჩნევად გაზარდა სამხედრო საქმისათვის ესოდენ საჭირო **თეთრი დარიშხანი**, რომელსაც ლენტეხისა და ამბროლაურის სამთო-მეტალურგიული კომბინატები აწარმოებდნენ (ცანა. რაჭა). საქართველოდან ფრონტისთვის მოიპოვებდნენ უძვირფასეს ნედლეულს — **ანდეზიტს,** აგრეთვე, **აქატს.** მხოლოდ 1941 წელს ახალციხის აქატის მომპოვებელმა კომბინატმა საარტილერიო, სატანკო და საავიაციო ხელსაწყოთმშენებლობისთვის საჭირო 40 ტონა აქატი მიაწოდა შეიარაღებულ ძალებს. მხოლოდ ტყიბულისა და დონბასის შახტები მიაწოდებდნენ ამიერკავკასიის ჯარებსა და რკინიგზას მყარ საწვავს. ტყიბულელ მეშახტეებს ტოლს არ უდებდნენ ტყვარჩელელები, რომლებმაც დამოუკიდებლად ააგეს კოქსის ღუმელი, რამაც საშუალება მისცა ტყვარჩელელებს, ეწარმოებინათ სამრეწველო კოქსი. საქართველომ თავი ისახელა **მოლიბდენის, ვოლფრამისა** და სხვა არანაკლებ ძვირფასი ნედლეულის მიწოდებით ფრონტისთვის.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საომარი მოქმედებების წარმატებით საწარმოებლად **ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას,** რომლის ინჟინერ-ტექნიკოსთა ჯგუფმა შეუძლებელი შეძლო და აკადემიკოს **რაფიელ აგლაძის** თავკაცობით საბჭოთა კავშირში პირველებმა აითვისეს ელექტროლიზური მეთოდით სუფთა მანგანუმის (90 პროცენტამდე) მიღება, რამაც საშუალება მისცა კონსტრუქტორებს, მიეღოთ ზემტკიცე ფოლადი ჯავშანი. ამ აღმოჩენისთვის, რაფიელ აგლაძესთან ერთად, პირველი ხარისხის სტალინური პრემია მიენიჭათ მთავარ ინჟინერ **ვლადიმერ მელაძეს,** ტექნიკური განყოფილების უფროს **გრიგოლ ფხაკაძესა** და სხვებს.

## მსხვილი სამრეწველო ობიექტების ევაკუაცია საქართველოში

1941 წლის დეკემბერში, შავი ზღვის ფლოტის სარდლობის განკარგულებით, **ორჯონიკიძის სახელობის გემმშენებელი ქარხანა** ევაკუირებული იქნა ქალაქ ფოთში, ხოლო **ტუაფსეს გემმშენებელი ქარხანა** — ქალაქ ბათუმში.

კავკასიონზე ფაშისტების შეტევამ განსაკუთრებული თავგამოდება და პატრიოტული შემართება გამოიწვია **თბილისის საავიაციო ქარხნის** კოლექტივში, რომელიც იმხანად ერთადერთი მიმწოდებელი იყო უახლესი თვითმფრინავებისა კავკასიის ფრონტისთვის, ეს თვითმფრინავები კიდევ უფრო გაუმჯობესდა 1944 წელს და ჰაერში აიჭრა ზებგერითი თვითმფრინავი **„იაკ-3".** თბილისის საწარმოებმა უსწრაფესად აითვისეს პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის, „პპშ"-ს გამოშვების ტექნოლოგია (თბილისის ავტოსარემონტო ქარხანა). კალინინის სახელობის **თბილისის მექანიკურ ქარხანაში** აეწყო ტყვიამფრქვევი „როკსი", რომელიც ასეულობით ცალი გადაეცათ შავი ზღვის ფლოტის მეომრებს.

საქვეყნოდ განთქმულ „სტალინური არღნის", **„კატიუშას"** სარაკეტო დანადგარის საარტილერიო ჭურვები და სხვა ნაწილები თბილისში, **ქარხანა „ცენტროლიტის"** საამქროებში მზადდებოდა.

ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარები მზადდებოდა თბილისის კალინინის სახელობისა და ორჯონიკიძის სახელობის ქარხნებში, ბათუმისა და თბილისის ტყვია-თუთიის ქარხნებში და ტანკსარემონტო ქარხნებში აწარმოებდნენ წითელ ტყვიას, რომელიც ასევე უპირველესი საჭიროება იყო ფრონტისთვის. მხოლოდ 1942 წელს საქართველომ ფრონტს მისცა 700 ტონა წითელი ტყვია.

საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებით, საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსთან შეიქმნა **თბილისის საინსტრუმენტო ქარხანა,** რომელსაც დაეკისრა ვალდებულება, ყოფილიყო საბჭოთა კავშირის სათავო ქარხანა, რომელიც გამოუშვებდა პისტოლეტ-ტყვიამფრქვევ „პპშ"-ს. მხოლოდ 1942 წელს ქარხანამ საბჭოთა ჯარისკაცებს გადასცა 50 696 ცალი „პპშ". ავტომატების გამოშვება დაევალა თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანას, რომელმაც 1942 წელს ფრონტზე გაგზავნა 11 ათასი ავტომატური იარაღი. **თბილისის ჩარხმშენებელ ქარხანას** დაევალა „კატიუშას" სათადარიგო ნაწილების დიდი რაოდენობით გამოშვება და, ამასთანავე, რეაქტიული ჭურვების წარმოება. თბილისის ავტოსარემონტო ქარხანამ ფრონტს მისცა 3200 ერთეული ნაღმსატყორცნი, ათასობით რეაქტიული რაკეტების ძირითადი ნაწილი.

არანაკლები ყურადღება ექცეოდა ფრონტის მომარაგებას ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, მსუბუქი მრეწველობის ნაწარმით, საკვებით, სამკურნალო საშუალებებით. 1941 წლის ბოლოდან 1942 წლის დასაწყისამდე **მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ** აითვისა ქსოვილი მებრძოლთა ტანსაცმლის შესაკერად და აბრეშუმის ქსოვილი პარაშუტების დასამზადებლად.

**1941 წელს არმიამ ქუდების შესაკერად მიიღო 771 ათასი მეტრი მაუდი და 450 ათასი მეტრი სპეციალური ქსოვილი პარაშუტებისთვის. 1941 წელს სამხედრო უწყებას გადაეცა 475 ათასი ე.წ. გიმნასტიორკა, 508 ათასი შარვალი, 143 ათასი „ტელოგრეიკა", 180 ათასი დაბამბული შარვალი, ნახევარ მილიონ წყვილზე მეტი სამხედრო ფეხსაცმელი.** დიდი ყურადღება ექცეოდა ჯარების მომარაგებას პროდუქტებით:



**სტალინი: — «იცით, ამხანაგო ლესელიძევ, როგორ იბრძოდა ნაპოლეონი ალპებში? მან პირველმა გამოიყენა მიუვალ ალპებში არტილერია. უღელტეხილები გადალახა და ზურგში დაარტყა ავსტრიის არმიას. თქვენც უნდა აიტანოთ დაშლილი ზარბაზნები მწვერვალებზე, იქ ააწყოთ და იქიდან დაარტყათ მტერს. ჩვენ ყველაფრით დაგეხმარებით»**



მხოლოდ 1941 წელს საქართველოდან ფრონტს მიეწოდა 7 ათასი ტონა ორცხობილა, 3 ათასი ტონა მაკარონის ნაწარმი, 200 ტონა ჩაი, 11 ათასი დეკალიტრი ღვინო, 247 ათასი ტონა საჭმელი ზეთი, 447 ტონა თამბაქო, 136 მილიონი ღერი პაპიროსი, 2500 ტონა საპონი, 231 ათასი ცენტნერი ხორცი, 15 ათასი ლიტრი შამპანური, დიდი რაოდენობით სხვადასხვა სახის კვების პროდუქტი.

ჯარის ნაწილებს რეგულარულად ამარაგებდნენ სხვადასხვა სახის მედიკამენტით მიკრობიოლოგიისა და ეპიდემიოლოგიის ინსტიტუტები, აგრეთვე, **ტაბახმელის ბიოკომბინატი** და **თბილისის ბაქტერიოფაგი.**

მიუხედავად ომის უმძიმესი დღეებისა და წლებისა, საქართველოში არ შეწყვეტილა აღმშენებლობა. შენდებოდა სხვადასხვა პროფილის ფაბრიკა-ქარხნები, სპეციალური საწარმოები. ომის პირობებში მიმდინარეობდა სრულ ციკლზე მომუშავე **რუსთავის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა.**

1941-43 წლებში სამხრეთის მიმართულებით ერთ-ერთი უმსხვილესი სატრანსპორტო მაგისტრალი იყო ამიერკავკასიის რკინიგზა. რკინიგზელთა თავგანწირულმა შრომამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მათი თავდადებული შრომა სათანადოდ დააფასა საბჭოთა მთავრობამ და 1943 წლის 5 ნოემბერს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოწინავე მემანქანეებს — **ნიკოლოზ გელაძეს, ანდრია წიკლაურს, შალვა კოხრეიძეს, აგრეთვე,** ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსს, ლეგენდარულ **გიგუშა კიკნაძეს** სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა. მიუხედავად იმისა, რომ ომის დაწყების პირველივე დღეებში საქართველომ სამშობლოს დასაცავად 5 ათასი ერთეული ავტომანქანა ფრონტს გადასცა, ქართველებმა უდიდესი შრომა გასწიეს, ადგილობრივი ტვირთების შეუფერხებლად გადატანისთვის, ამას გარდა, კავკასიის დასაცავად მცირე სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყვეს სოხუმის, ბათუმისა და ფოთის პორტები და 213 ათასი მებრძოლის გადაყვანა კავკასიონის კალთებზე. ამავე პორტებიდან ადგილებზე გადაიტანეს 260 ათასი ტონა სამხედრო ტვირთი.

საქართველოს სამოქალაქო ავიაცია ჩართული იყო არა მხოლოდ სახალხო-სამეურნეო საქმიანობაში, რომელიც მის მოვალეობაში შედიოდა, არამედ, აქტიურად მონაწილეობდა უშუალო ბრძოლებში და გასაოცარ შედეგებსაც აღწევდა.

უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდა **საქართველოს სოფლის მეურნეობა.** ფრონტზე დაიღუპა სოფლის ძირითადი შრომისუნარიანი მოსახლეობა. სოფლიდან გაყვანილ იქნა მანქანები, ტრაქტორები, ცხენები და სხვა სატრანსპორტო საშუალებები.

## ბრძოლა კავკასიისთვის

1942 წლის 27 აგვისტოს სტალინმა ხელი მოაწერა დირექტივას, რომლითაც 46-ე არმიის სარდალი **სერგაცკოვი** გაათავისუფლა თანამდებობიდან და მის ადგილას დანიშნა გენერალ-მაიორი **კონსტანტინე ლესელიძე.** ამ პერიოდში გერმანელებს უკვე დაკავებული ჰქონდათ კავკასიონის სტრატეგიული ობიექტები, რომლებიც არცთუ დიდი წინააღმდეგობის შედეგად ჩაიგდო ხელში.

არმიის სარდლად კონსტანტინე ლესელიძის დანიშვნასა და კავკასიის ფრონტის ბერიასთვის ჩაბარებას სწრაფად უნდა შეეცვალა მდგომარეობა. 242-ე და 392-ე შენაერთები გენერლების — **გიორგი ყურაშვილისა** და **ისიდორე სილაგაძის** მეთაურობით ახალ საბრძოლო დავალებებს იღებდნენ უღელტეხილის დასაბრუნებლად და მტრის გასანადგურებლად.

ომის დამთავრების შემდეგ გენერალი გიორგი ყურაშვილი საქართველოს სამხედრო კომისრად დაინიშნა. სხვადასხვა გარემოებათა გამო. დასვენების დღეებს ყველა რანგის მოხელე ადგილობრივ კურორტებზე ატარებდა. გიორგი ყურაშვილიც ჩვენს სოფელში არსებული საუცხოო წყლითა და ჰაერით დაჯილდოებული აგარაკის, „მუაშის", რეგულარული სტუმარი გახლდათ. ის სვანეთის ახალგაზრდებს გვიყვებოდა ბრძოლის ეპიზოდებს. ბევრი რამ მახსოვს მისი მონათხრობიდან, რომლის ფრაგმენტები ჩაწერილიც კი მაქვს თორმეტფურცლიან სასკოლო რვეულში. ჩემი წერილების დიდი ნაწილი გენერალ ყურაშვილის მონათხრობზეა აგებული, თუმცა გენერლის მონაყოლი შემდგომ ბევრ ბეჭდურ და მემორიალურ ლიტერატურაშიც გამოჩნდა....

„ახალდანიშნულ სარდალს მაღალი სიხშირის ტელეფონთან უხმეს, — თქვენ სტალინი დაგელაპარაკებათ. ცოტა ხანიც და სტალინი კონსტანტინე ლესელიძეს ახალ თანამდებობას ულოცავს და წარმატებებს უსურვებს.

— იცით, ამხანაგო ლესელიძევ, როგორ იბრძოდა ნაპოლეონი ალპებში? მან პირველმა გამოიყენა მიუვალ ალპებში არტილერია. უღ- ▶

გრიგოლ ორიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებით, საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსთან შეიქმნა თბილისის საინსტრუმენტო ქარხანა, რომელსაც დაეკისრა ვალდებულება, ყოფილიყო საბჭოთა კავშირის სათავო ქარხანა, რომელიც გამოუშვებდა პისტოლეტ-ტყვიამფრქვევ „პპშ“-ს. მხოლოდ 1942 წელს ქარხანამ საბჭოთა ჯარისკაცებს გადასცა 50 696 ცალი „პპშ“. ავტომატების გამოშვება დაევალა თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანას, რომელმაც 1942 წელს ფრონტზე გაგზავნა 11 ათასი ავტომატური იარაღი**

ელტეხილები გადალახა და ზურგში დაარტყა ავსტრიის არმიას. თქვენც უნდა აიტანოთ დაშლილი ზარბაზნები მწვერვალებზე, იქააწყოთ და იქიდან დაარტყათ მტერს. ჩვენ ყველაფრით დაგეხმარებით“.

როგორც ყოველთვის, სტალინის სიტყვას საქმე მოჰყვა. **გაიცა განკარგულება კავკასიონზე 4 000 სახედრისა და 1 000 სახედრის გამყოლის გადაყვანის თაობაზე; აგრეთვე, 1 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე დაემზადებინათ 80 000 მეტრი სპეციალური ქსოვილი ალპინისტებისთვის 30 000 კომპლექტი თბილი ტანსაცმლის შესაკერად, დაემზადებინათ 15 000 წერაყინი, 2 000 კლდის ჩაქუჩი, 50 000 წრიაპი, კავი, 30 000 მეტრი ალპინისტური წნული და გრეხილი თოკი, 1 600 000 ტრიკონი — ფეხსაცმლის ლანჩაზე დასაჭედებელი სამკბილა. დავალება 1 ოქტომბრისთვის შესრულებული იყო და აღჭურვილობა გაიგზავნა ფრონტზე.** ჰიტლერის მიერ კავკასიის დაპყრობის გეგმა, რომელიც წარმატებით მიმდინარეობდა, შემაშფოთებელი იყო. გერმანელ ფაშისტებთან ერთად კავკასიონს უტევდა ჰიტლერის მიერ შეკოწიწებული და მსოფლიო პროპაგანდისთვის ესოდენ საჭირო „ქართული ლეგიონი“, რომელიც მდინარე ბაქსანის ნაპირზე იყო გამაგრებული.

**უსასტიკეს მტერთან საბრძოლველად მომზადება დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. კავკასიის მწვერვალებზე მოსალოდნელი დიდთოვლობა ძალზე ართულებდა დაცვის პოზიციებს. სპეცბატალიონი, რომელიც სვანი ალპინისტებითა და მონადირეებით იყო დაკომპლექტებული, განლაგებული იყო უკიდურეს სიმაღლეებზე, საიდანაც ზღუდავდა მტრის წინ წამოწევას. სვანეების სპეცბატალიონს შეუერთდა ბერიას მიერ მოსკოვიდან ჩამოყვანილი 150 სნაიპერი უხმო თოფებით. ისინი მამაც სვან მონადირეებთან ერთად ფხიზლად იცავდნენ ყველა ბილიკს კავკასიონზე.** მთავარსარდლის ბანაკიდან კავკასიონზე დაშიფრული ტელეგრამა მივიდა, მოითხოვდნენ, რომ ბატალიონი და სხვა სამხედრო ნაწილები სასწრაფოდ დაშვებულიყვნენ ბარში და ზამთარი ბეჩოში გაეტარებინათ. მებრძოლებმა და მათმა მეთაურებმა გადაწყვიტეს, არ დამორჩილებოდნენ დირექტივას და დაშიფრული ტელეგრამითვე უპასუხეს ფრონტის სამხედრო საბჭოს, რომ ისინი დაკავებულ სიმაღლეებს არ დატოვებდნენ, როგორი პირობებიც უნდა შექმნილიყო. ეს წინააღმდეგობა სამხედრო საბჭოსთვის გამაოგნებელი იყო. პასუხად იმავე დღეს დაშიფრული ტელეგრამა მიიღეს: „გამოგზავნილ დირექტივას არ ვამტკიცებთ. თქვენთან ჩამოვლენ არმიის სარდალი ლესელიძე, აგრეთვე, ბაქრაძე, ადგილზე შეთანხმდით და გადაწყვიტეთ ჯარების გამოზამთრების საკითხი. ბერია“.

სამი დღის შემდეგ **კონსტანტინე ლესელიძე** და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ვალერი ბაქრაძე** (რომელიც ფრონტის საბჭოს წევრი იყო) ბეჩოს მიადგნენ. გიორგი ყურაშვილმა (დივიზიის მეთაურმა) ოპერატიული რუკის თანხლებით დეტალურად ილაპარაკა უღელტეხილზე მიმდინარე ბრძოლაზე.

— ქაღალდზე ყველაფერი კარგად არის, მაგრამ უნდა ვნახოთ ადგილზე, — განაცხადა ლესელიძემ.

ბაქრაძემ გზის გაგრძელება ვერ შეძლო, რადგან კენჭის გავლის გამო ძლიერი ტკივილები ჰქონდა და ხანდახან გონებასაც კარგავდა. ლესელიძე და ყურაშვილი ორი დღის განმავლობაში გულდასმით ათვალიერებდნენ საოცარ გამოქვაბულებს და ერთმანეთთან დაკავშირებულ მიწისქვეშა გასასვლელებს, რომლებიც სვან ალპინისტებსა და მონადირეებს შეექმნათ ამ ურთულეს პირობებში. კლდის ღრმა ჯურღმულებში განთავსებულ ჯარისკაცთა საცხოვრებელს, იარაღისა და სურსათის შესანახ საწყობებს რომ ათვალიერებდა, სარდალი ლესელიძე აღფრთოვანებას ვერ მალავდა, თუ როგორ და რა ძალამ შეძლო ამ სამუშაოს შესრულება ჭიუხების სიღმეებში. ერთობ კმაყოფილმა და ამაყმა სარდალმა მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც ეს უნიკალური თავშესაფარი შექმნა და გამოთქვა რწმენა, რომ ეს ხალხი მალე გაათავისუფლებდა კავკასიას ჰიტლერელებისგან.

— სამხედრო საბჭოს დირექტივას შევცვლი, — განაცხადა ლესელიძემ, — თქვენ, რა თქმა უნდა, მართალი იყავით, როცა მწვერვალები არ დატოვეთ და დაბლა არ ჩახვედით. ამით დამთავრდა კონსტანტინე ლესელიძის ორდღიანი სტუმრობა ბეჩოში.

1943 წლის 7 მარტს **ლავრენტი ბერია** კვლავ ავიდა კავკასიონზე და მარტის ბოლომდე დარჩა ფრონტზე. მისი ინიციატივით, სტალინმა ხელი მოაწერა დირექტივას კონსტანტინე ლესელიძის 18-ე არმიის სარდლად დანიშვნის თაობაზე.

ჰიტლერი კავკასიონის დატოვებას არ აპირებდა. „ბლაუ III“ ზესაიდუმლო ოპერაციად ითვლებოდა, რომელშიც ეწერა, რადაც უნდა დაჯდომოდათ, გადაელახათ კავკასიონი და გაჭრილიყვნენ ბაქოს მიმართულებით. „კავკასიური ნავთობის გარეშე ომს ვერ მოვიგებთ!“ — ისტერიკულად გაჰკიოდა ფიურერი. კავკასიისკენ დაიძრა სიკვდილის მანქანა, რომელიც მუსრს ავლებდა ყველას და ყველაფერს. კავკასიისთვის გადამწყვეტი ბრძოლა ჰიტლერმა 1942 წლის 23 ივლისს დაიწყო.

5 დღის შემდეგ კი სტალინმა, 1942 წლის 28 ივლისს, გამოსცა ბრძანება № 227, რომლის ანალოგი არ მოიძებნება მსოფლიო ომების ისტორიაში. მან ბრძანებაში მიუთითა: „ჩვენ არ გვაქვს უსაზღვრო რესურსი ჯარისა და ხალხის გამოკვებისა, ჩვენ არ გვაქვს ტერიტორია, რომელსაც საზღვარი არ აქვს, ჩვენი ჯარები პოზიციურად იხევდნენ უკან, მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი, ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი მიწა, ჩვენი ხალხი — **არც ერთი ნაბიჯი უკან!“**

1. 1941 წლის 7 ნოემბრის სამხედრო აღლუმი წითელ მოედანზე;
2. 1942 წლის 28 ივლისის ბრძანება № 227;
3. სტალინგრადის ბრძოლა;
4. ბერლინის ოპერაცია.

ზემოაღნიშნული მოვლენები სტალინური გენიის ნაყოფია, რომლებიც შესულია მსოფლიო ომების ისტორიაში, როგორც ბრძოლების კლასიკური ნიმუშები, და არასოდეს დაკარგავს მნიშვნელობას. კავკასიისთვის გადამწყვეტი ბრძოლებისას სტალინმა მოიკითხა კონსტანტინე ლესელიძე და **ალექსანდრე ვასილევსკის** სთხოვა, მოეხსენებინა ლესელიძის შესახებ. ვასილევსკიმ ამაყად და სიხარულით აცნობა მთავარსარდალს, რომ **„ლესელიძე ისე ხელმძღვანელობს საარტილერიო ბრძოლებს, როგორც დირიჟორი ორკესტრს“.** მოკრძალებული, რაინდული თვისებებით გამორჩეული, უაღრესად ნიჭიერი და სამხედრო საქმის მცოდნე კონსტანტინე ლესელიძე უკიდურესად პრინციპული იყო რიგი საკითხების გადაწყვეტაში. ინტუიციის წყალობით ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. ცნობილი იყო მისი ცუდი დამოკიდებულება ნიკიტა **ხრუშჩოვისადმი.**

„ომის შემდეგ რიწის ტბაზე სტალინთან ერთად ბაღში ვსეირნობდით, — წერს თავის მემუარებში **აკაკი მგელაძე,** — მან დიდი სიამაყითა და სიყვარულით გაიხსენა სახელოვანი მარშლები: **ჟუკოვი, როკოსოვსკი, ვასილევსკი, კონევი** და მათ შორის მოიხსენია **კონსტანტინე ლესელიძეც.** მომიბრუნდა და მითხრა: „მე მას ფრონტის სარდლობა შევთავაზე, არ დამთანხმდა“.

სტალინს არაერთხელ მოუხსენებია კონსტანტინე ლესელიძე საბჭოთა კავშირის მარშლებსა და ფრონტის ხელმძღვანელებს შორის.

**საქვეყნოდ განთქმული «სტალინური არღნის», «კატიუშას» სარაკეტო დანადგარის საარტილერიო ჭურვები და სხვა ნაწილები თბილისში, ქარხანა «ცენტროლიტის» საამქროებში მზადდებოდა. ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარები მზადდებოდა თბილისის კალინინის სახელობისა და ორჯონიკიძის სახელობის ქარხნებში. ბათუმისა და თბილისის ტყვია-თუთიის ქარხნებში და ტანკსარემონტო ქარხნებში აწარმოებდნენ წითელ ტყვიას, რომელიც ასევე უპირველესი საჭიროება იყო ფრონტისთვის. მხოლოდ 1942 წელს საქართველომ ფრონტს მისცა 700 ტონა წითელი ტყვია**



**უსასტიკეს მტერთან საბრძოლველად მომზადება დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. კავკასიის მწვერვალებზე მოსალოდნელი დიდთოვლობა ძალზე ართულებდა დაცვის პოზიციებს. სპეცბატალიონი, რომელიც სვანი ალპინისტებისა და მონადირეებისგან იყო დაკომპლექტებული, განლაგებული იყო უკიდურეს სიმაღლეებზე, საიდანაც ზღუდავდა მტრის წინ წამოწევას. სვანების სპეცბატალიონს შეუერთდა ბერიას მიერ მოსკოვიდან ჩამოყვანილი 150 სნაიპერი უხმო თოფებით. ისინი მამაც სვან მონადირეებთან ერთად ფხიზლად იცავდნენ ყველა ბილიკს კავკასიონზე**



**შენიშვნა:**

გაზეთის წინა, მე-16 ნომერში, მასალაში „საქართველო დიდ სამამულო ომში“ გაიპარა ტექნიკური უზუსტობა. მე-12 გვერდზე, მე-4 სვეტის ბოლო აბზაცი უნდა იკითხებოდეს ასე:

გმირის სიკვდილით აღესრულა ფაშისტებთან გამართულ უთანასწორო ბრძოლაში **ვასილ პეტრიაშვილი.** მან, პირველმა დიდი სამამულო ომის ისტორიაში, თავისი სხეულით გადაფარა გერმანელთა საცეცხლე წერტილიდან გამოშვერილი ტყვიამფრქვევის ლულა, რომელიც ცელავდა მის თანამებრძოლებს. ანალოგიურად მოიქცა **ადამ ქავთარაძე.** მან იარაღით ხელში მიმართა თანამებრძოლებს: „სამშობლოსთვის, სტალინისთვის!“ და სხეულით გადაეფარა ამბრაზურას. ამ ისტორიულ შეძახილს შემდგომ პოეტმა ლექსი მიუძღვნა:

**„სამშობლოსათვის, სტალინისათვის! —
ხალხის ძახილი ცეცხლად იქცევა,
ასე ძლიერი ხმა მოწოდების
ჯერ არ ყოფილა და არც იქნება“.**

ქართველების გმირობა შემდეგ რატომღაც რუს **მატროსოვს** მიაწერეს“.

დივერსანტების ჩაფლავება

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მადურომ თქვა, რომ ვენესუელის სადაზვერვო სამსახურებს ჰქონდათ ინფორმაცია ქვეყანაში დივერსანტების შეჭრის გეგმების შესახებ, რომელიც 10 მარტს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ რამდენიმეჯერ გადაიდო. „ჩვენ ყველაფერი ვიცოდით: რაზე ლაპარაკობდნენ, რას ჭამდნენ, რას სვამდნენ, ვინ აფინანსებდათ“, — განაცხადა მადურომ. ვენესუელის პრეზიდენტის განცხადებით, ოპერაცია „გედეონი“ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ დაგეგმა, ხოლო განახორციელეს აშშ-ის ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო DEA-მ და კერძო სამხედრო კომპანია SILVERCORP-მა.**

# ოპერაცია «გედეონის» კრახი

**ვენესუელის არმიამ გააუვნებლა აშშ-ის ცენტრალური სამმართველოს მიერ მომზადებული დივერსანტების ჯგუფი, რომელიც ქვეყნის ტერიტორიაზე (ლა გუარას შტატში) შეჭრას ჩქაროსნული კატერებით ცდილობდა, დივერსანტების ჯგუფი გეგმავდა, მოეკლა პრეზიდენტ ნიკოლას მადუროს მომხრე რამდენიმე მაღალჩინოსანი და მოეწყო სახელმწიფო გადატრიალება.**

## ამერიკელებს მადუროს მოტაცება უნდოდათ, მაგრამ ვენესუელელმა სამხედროებმა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ მომზადებული დაქირავებულთა ჯგუფი გაანადგურეს

4 მაისს ვენესუელის პრეზიდენტმა **ნიკოლას მადურომ** ნაციონალური ტელევიზიით გამოსვლისას ოპერაცია „ნეგრო პრიმეროს“ დეტალებზე ილაპარაკა. ამ ოპერაციამ ვენესუელის შეიარაღებულ ძალებს საშუალება მისცა, გაენადგურებინა დივერსანტები. მათგან 8 მოკლულია, რამდენიმე ტყვედ აიყვანეს და ახლა ჩვენებებს იძლევიან. ერთ-ერთმა ტყვემ განაცხადა, რომ ჯგუფში იყო აშშ-ის 2 მოქალაქე. მათგან ერთ-ერთია აშშ-ის ნარკოტიკებთან ბრძოლის სამმართველოს (Drug Enforcement Administration, DEA) აგენტი. ვენესუელელმა სამხედროებმა ხელში ჩაიგდეს 6 ავტომობილი, უამრავი ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალები, კავშირგაბმულობის საშუალებები, თანამგზავრული ტელეფონი, აგრეთვე, კატერი, რომლითაც დივერსანტები კოლუმბიიდან შეიჭრნენ ვენესუელის ტერიტორიაზე. **დივერსანტები ღამით მიუახლოვდნენ შტატ ლა გუიარას სანაპიროს, მაგრამ მათ მოუწიათ იქ ჩასაფრებულ ვენესუელელ სამხედროებთან ბრძოლაში ჩაბმა. დაქირავებულთა მეორე ჯგუფი ვენესუელელებმა ზღვაში შეამჩნიეს, შტატ არაგუას სანაპიროსთან და ისიც გააუვნებლეს.**

ვენესუელაში შეჭრის მცდელობას, რომლის შედეგადაც, 8 მოკლულის გარდა, 16 კაცი დააპატიმრეს, მათ შორის 2 ამერიკელი, ორგანიზატორებმა ოპერაცია „გედეონი“ უწოდეს.

სატელევიზიო გამოსვლაში მადურომ თქვა, რომ ვენესუელის სადაზვერვო სამსახურებს ჰქონდათ ინფორმაცია ქვეყანაში დივერსანტების შეჭრის გეგმების შესახებ, რომელიც 10 მარტს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ რამდენიმეჯერ გადაიდო. „ჩვენ ყველაფერი ვიცოდით: რაზე ლაპარაკობდნენ, რას ჭამდნენ, რას სვამდნენ, ვინ აფინანსებდათ“, — განაცხადა მადურომ. ვენესუელის პრეზიდენტის განცხადებით, ოპერაცია „გედეონი“ დაგეგმა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ, ხოლო განახორციელეს აშშ-ის ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო DEA-მ და კერძო სამხედრო კომპანია Silvercorp-მა. Dea მოქმედებდა კოლუმბიელ ნარკოკარდელებთან, კოლუმბიის პრეზიდენტ ივან დუკესა და ვუნესუელის ოპოზიციასთან შეთანხმებით.

მადუროს თქმით, ვენესუელის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ხორხე არეაზამ** უკვე წარუდგინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას **„მტკიცებულებები კოლუმბიის ხელისუფლებისა და დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის გეგმების შესახებ, შეჭრილიყვნენ ვენესუელის ტერიტორიაზე და მოეწყოთ იქ ტერორისტული აქტები“.**

ვენესუელების მიერ ტყვედ აყვანილი ამერიკელები — **Lure Alexander Denman**-ი და Airan Berry აშშ-ის სამხედრო მოსამსახურეები არიან. ორივე მონაწილეობდა საბრძოლო მოქმედებებში ერაყსა და ავღანეთში. Lure Alexander Denman-ი ადრე დონალდ ტრამპის დაცვის წევრი იყო, რასაც ადასტურებს უამრავი ფოტო და დოკუმენტი.

ეჭვები, რომ ვენესუელაში დივერსიას ამზადებდა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, გაიფანტა მას შემდეგ, რაც ინტერნეტში გავრცელდა ვიდეო, რომელშიც კერძო სამხედრო კომპანია Silvercorp-ის ხელმძღვანელმა, ყოფილმა „მწვანე ბერეტმა“ **ჯორდან გუდროუმ** დაიკისრა პასუხისმგებლობა „სადესანტო რეიდზე“ და მიანიშნა, რომ სხვა დივერსიული ოპერაციებიც იგეგმება. ვიდეოში გუდროუსთან ერთად გამოსულმა, თავს **ხავიერ კინტერო ნიეტო** უწოდა და თქვა, რომ ოპერაცია „გედეონის“ მიზანი მადუროს მთავრობის წევრების განეიტრალება იყო.

Reuters-ისთვის მიცემულ ინტერვიუში გუდროუმ აღიარა, რომ ვენესუელაში დატყვევებული ამერიკელები მისი კომპანიისთვის მუშაობდნენ. „ისინი ჩემი ბიჭები არიან“, — განაცხადა გუდროუმ თავის ორ თანამემამულეზე. The Washington Post-ის ჟურნალისტთან საუბარში კი გუდროუმ დააზუსტა, რომ ოპერაცია „გედეონში“ მონაწილეობდა 60 კაცი, მათ შორის აშშ-ის სპეცრაზმის 2 ყოფილი მებრძოლი. დივერსანტები ისეთი დარწმუნებულნი იყვნენ ოპერაციის წარმატებით დასრულებაში, რომ 3 მაისს კერძო სამხედრო კომპანია Silverkorp-ის გვერდზე „ტვიტერში“ გამოაქვეყნეს ცნობა, რომ „60 ვენესუელელისა და 2 ყოფილი „მწვანე ბერეტის“ ჯგუფი ვენესუელაში გაემგზავრა“.

ოპერაცია „ნეგრო პრიმეროს“ მსვლელობისას მოკლულ დივერსანტებს შორის არის ცნობილი დაქირავებული, ვენესუელის ეროვნული გვარდიის ყოფილი კაპიტანი **რობერტ კოლინა** („პანტერა“). ინტერნეტში არის მისი ფოტო ოპოზიციის ლიდერ გუაიდოსთან ერთად გადაღებული. ამასთანავე, გამოქვეყნდა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს გუაიდის თანამშრომლობას Silvercorp-თან. ვენესუელელმა ჟურნალისტმა **პატრიცია პოლეომ** ინტერნეტში განათავსა ასლი კონტრაქტისა, რომელზეც ხელს აწერენ ხუან გუაიდო და გუდროუ. კონტრაქტის მიხედვით, გუდროუს კერძო კომპანიას უნდა განეხორციელებინა ტერორისტული აქტები ნიკოლას მადუროს მთავრობის წინააღმდეგ. კონტრაქტის ღირებულება 213 მლნ დოლარია, პლუს 50 მლნ დოლარის ვენესუელური ნავთობი.

**დონალდ ტრამპი** უარყოფს აშშ-ის მთავრობის მონაწილეობას ვენესუელაში სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მცდელობაში, მაგრამ **ჯულიან ასანჟის** მიერ „ვიკილიქსში“ DEA-ს მხილების შემდეგ ამ ორგარიზაციას ძალიან შეელახა რეპუტაცია.

აშშ-ის ნარკოტიკებთან ბრძოლის სამმართველო (DEA) გადაიქცა გლობალურ სადაზვერვო ორგანიზაციად, რომლის მოღვაწეობა სცილდება ნარკოტიკების საერთაშორისო ბრუნვის ჩარჩოებს“, — წერს The New York Times-ი. გამოცემის მტკიცებით, DEA-ს ოპერაციები ისეთი მასშტაბურია, რომ სამმართველოს კარი ატალახებული იყო პოლიტიკოსებით, რომლებსაც თავიანთი პოლიტიკური მტრების წინააღმდეგ სურდათ ამ ორგანიზაციის გამოყენება.

ვენესუელის შემთხვევაში კი DEA ცდილობდა, დახმარებოდა არა ამ ქვეყნის მთავრობას, არამედ ოპოზიციას, რომელიც ლოიალურად არის განწყობილი აშშ-ის მიმართ.





**ვენესუელის პრეზიდენტმა ნიკოლას მადურომ ნაციონალური ტელევიზიით გამოსვლისას ოპერაცია „ნეგრო პრიმეროს“ დეტალებზე ილაპარაკა. ამ ოპერაციამ ვენესუელის შეიარაღებულ ძალებს საშუალება მისცა, გაენადგურებინა დივერსანტები. მათგან 8 მოკლულია, რამდენიმე ტყვედ აიყვანეს და ახლა ჩვენებებს იძლევიან. ერთ-ერთმა ტყვემ განაცხადა, რომ ჯგუფში იყო აშშ-ის 2 მოქალაქე. მათგან ერთ-ერთია აშშ-ის ნარკოტიკებთან ბრძოლის სამმართველოს (DRUG ENFORCEMENT ADMINISTRATION, DEA) აგენტი. ვენესუელელმა სამხედროებმა ხელში ჩაიგდეს 6 ავტომობილი, უამრავი ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალები, კავშირგაბმულობის საშუალებები, თანამგზავრული ტელეფონი, აგრეთვე, კატერი, რომლითაც დივერსანტები კოლუმბიიდან შეიჭრნენ ვენესუელის ტერიტორიაზე**












მოამზადა
გიორგი ბაჩეჩილაძე

ტრაგედიის ექო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლებს კრინტი არ დაუძრავთ ამ ფილმზე. კიევის მიერ ამ სისხლიან მოვლენებზე ჩატარებული გამოძიების ერთადერთი ვერსია არის ის, რომ ხალხს ესროდნენ უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმ „ბერკუტის“ მებრძოლები. უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლები, როგორც ჩანს, ადამიანებს იდიოტებად თვლიან, რადგან კადრებმა, რომლებზეც ასახულია, რომ მაიდნის აქციის მონაწილეებს ესვრიან შენობის ზედა სართულიდან, 2014 წელს მსოფლიო შემოიარა, თანაც „ბერკუტელები“ ერთმანეთს ხომ არ დახვრეტდნენ?!**

# ვინ დახვრიტა ხალხი კიევის ცენტრში 2014 წლის 20 თებერვალს

**ოფიციალურ კიევს, როგორც პოროშენკოს, ისე ზელენსკის პრეზიდენტობისას, არ სურს, სიმართლის გამჟღავნება, თუ საიდან გაჩნდა „ზეციური ასეული“, რომელიც მაიდანზე დახვრიტეს. უკრაინის ხელისუფლებას ურჩევნია, დავიწყებას მიეცეს ეს სისხლიანი ეპიზოდი და დამნაშავეები დაუსჯელნი დარჩნენ. აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპს კი 2014 წლის 20 თებერვლის მოვლენებზე სიმართლის გამომზეურება ძალიან სჭირდება.**



უკრაინის ყოფილმა გენერალურმა პროკურორმა **ვიქტორ შოკინმა** გამოცემა „გორდონისთვის“ მიცემულ ინტერვიუში საკმაოდ მკაფიოდ მიანიშნა, რომ 2014 წლის 20 თებერვალს კიევის ცენტრში მასობრივი მკვლელობის ორგანიზატორები სახელმწიფო გადატრიალების მონაწილეები არიან.

აღსანიშნავია, რომ სწორედ შოკინის გენპროკურორობისას დაიწყო „ბერკუტის“ თანამშრომლების დაპატიმრება და მაიდნის მონაწილეებისა და შსს-ს თანამშრომლების დახვრეტაში დადანაშაულება. ამასთანავე, შოკინის პროკურორები „სეპარატიზმსა“ და „სახელმწიფო ღალატის“ ბრალდებით აპატიმრებდნენ ადამიანებს, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ სახელმწიფო გადატრიალებას 2014 წლის თებერვალში.

ამ ტრაგედიიდან 6 წლის შემდეგ ტელეარხ One America News-ის ეთერში აჩვენეს **მაიკლ კაპუტოს** დოკუმენტური ფილმი „უკრაინული ტყუილი: იმპიჩმენტი. ბაიდენის ფული. მასობრივი მკვლელობები“. ეს ფილმი, გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, სენსაციაა, მაგრამ მასზე ამერიკული მედია ბევრს არ ილაპარაკებს.

ფილმში რამდენიმე უკრაინელ პოლიტიკოსთან ერთად არის ინტერვიუები ადამიანებთან, რომლებიც ფილმის შემქმნელებს წარუდგნენ, როგორც ქართველი სნაიპერები, რომლებმაც პირველებმა განაცხადეს, რომ საქართველოს მოქალაქეები მონაწილეობდნენ კიევის ცენტრში მოქალაქეების დახვრეტაში **(ამ თემაზე „საქართველო და მსოფლიოშიც“ გამოქვეყნდა რამდენიმე წერილი: „ვინ იყო სააკაშვილის თანმხლები კრისტოფერ ბრაიანი და როგორ ხვრეტდნენ „მიხოს“ მხარდამჭერები მაიდანზე დემონსტრანტებსა და სამართალდამცველებს. ქართველმა სნაიპერებმა ფარდა ახადეს ევრომაიდნის მოვლენებს“, №7, 28 თებერვალი — 6 მარტი, 2018 წ., „აშშ-ში აჩვენეს მამხილებელი ფილმი უკრაინულ მაიდანში ობამას, ბაიდენისა და სააკაშვილის როლზე“. №36, 19-25 თებერვალი, 2020 წ.).**

„გვიბრძანეს, გვესროლა „ბერკუტისა“ და სხვა ადამიანებისთვის, რათა გამოგვეწვია ქაოსი. ეს დაიწყო 20 თებერვალს დაახლოებით დილის 8 საათზე... ჩვენ ორნი ვიყავით. თავდაპირველად გავაღე ფანჯარა და ჩემმა მეგობარმა გაისროლა. შემდეგ პოზიციები გავცვალეთ. ასე გავისროლეთ 5-5 ვაზნა“, — უყვება ფილმის შემქმნელს ერთ-ერთი სნაიპერი.

**მაიკლ კაპუტოს აზრით, პროვოკაცია უკრაინაში მოაწყვეს აშშ-ის დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობასთან დაახლოებულმა პირებმა. ორგანიზატორები და მასობრივი მკვლელობის უშუალო შემსრულებლები ჯერჯერობით დაუსჯელები არიან**



ფანჯარა, რომლიდანაც ესროდნენ მაიდანზე შეკრებილ ხალხს



ქართველი მებრძოლები სააკაშვილთან ერთად კიევში



დიმიტრი გორდონი და ვიქტორი შოკინი



ვლადიმერ პარასიუკი

**მაიდნის მონაწილეებისა და უკრაინის შსს-ს თანამშრომლების მკვლელობის ოფიციალური ვერსია, რომლის მიხედვითაც სნაიპერებს ეს «სამუშაო» ვაშინგტონიდან შეუკვეთეს, დაადასტურებს უკრაინაში ხელისუფლების უზურპაციას 2014 წლის 14 თებერვლიდან დღემდე და დღის წესრიგში დადგება პეტრე პოროშენკოს, ვიტალი კლიჩკოს, არსენი იაცენიუკის, ოლეგ ტიაგნიბოკისა და სხვების გასამართლების საკითხი**

**უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლებს კრინტი არ დაუძრავთ ამ ფილმზე. კიევის მიერ ამ სისხლიან მოვლენებზე ჩატარებული გამოძიების ერთადერთი ვერსია არის ის, რომ ხალხს ესროდნენ უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმ „ბერკუტის“ მებრძოლები.**

უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლები, როგორც ჩანს, ადამიანებს იდიოტებად თვლიან, რადგან კადრებმა, რომლებზეც ასახულია, რომ მაიდნის აქციის მონაწილეებს ესვრიან შენობის ზედა სართულიდან, 2014 წელს მსოფლიო შემოიარა, თანაც „ბერკუტელები“ ერთმანეთს ხომ არ დახვრეტდნენ?!

2014 წლის 20 თებერვალს კიევში მოწყობილ ხოცვა-ჟლეტაში სამხილი საკმარისზე მეტია. სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომლებმა, რომელთა ვინაობაც არ გამჟღავნებულა, ჟურნალისტსა და პოლიტიკოს **ანატოლი შარიის** გადასცეს ვინმე **დიმიტრი ლოპოვოის** დაკითხვის ჩანაწერი. ის აღიარებს, რომ 2014 წლის 20 თებერვალს პირადად გადასცა კარაბინი და ვაზნები უკრაინის პარლამენტის ყოფილი დეპუტატის, **ვლადიმერ პარასიუკის,** მამას (მას, ვინც შემდეგ მაიდნის მონაწილეებს მოუწოდა, შეეწყვიტათ მოლაპარაკებები ვიქტორ იანუკოვიჩთან და დაეწყოთ პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობის შტურმი) მასმედიაში დაიწერა მაიდნის იმ სამ აქტივისტზე, რომლებიც მონაწილეობდნენ 20 თებერვალს ხოცვა-ჟლეტაში.

ეს უკვე მსროლელთა მეორე ჯგუფია და ეს ადამიანები, აგრეთვე, არ არიან „ბერკუტის“ მებრძოლები.

ამ საქმეში ყველაზე საინტერესო არის ის, როგორ დაიღუპა 69 ადამიანი კიევის ცენტრში („ზეციური ასეულის“ დანარჩენი წარმომადგენლებიდან, როგორც გაირკვა, ზოგიერთი დაიღუპა დაავადებით, ზოგი — ჩხუბში კიევის სხვადასხვა გარეუბანში). 20 თებერვლის ტრაგედიის 13 მსხვერპლი მოკლულია 7,62X39-ზე ვაზნებით. ეს გავრცელებული ვაზნაა, რომელიც ფორმალურად ერგება „ბერკუტის“ შეიარაღებაში არსებულ ავტომატურ იარაღ აკმ-ს, ისევე, როგორც სხვა იარაღებსაც, მათ შორის, კარაბინს, რომლებიც ჰქონდათ პარასიუკის თანამებრძოლებს. დაღუპულთა მეორე ნაწილი მოკლულია 7,62X51, 7,64X54, 9X18 და მონადირის ვაზნებით. „ბერკუტის“ შეიარაღებაში კი მსგავსი არაფერი ყოფილა.

ეს ამყარებს მაიკლ კაპუტოს ვერსიას, რომლის მიხედვითაც, კიევის ცენტრში მოწყობილ სასაკლაოსთან უკრაინის იმჟამინდელ პრეზიდენტ **ვიქტორ იანუკოვიჩს** საერთო არაფერი აქვს და მას არავისთვის მიუცია თავისი დამხობის საბაბი. უკრაინა სისხლიანი პროვოკაციის მსხვერპლი იყო.

მაიკლ კაპუტოს აზრით, პროვოკაცია უკრაინაში მოაწყვეს აშშ-ის დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობასთან დაახლოებულმა პირებმა. ორგანიზატორები და მასობრივი მკვლელობის უშუალო შემსრულებლები ჯერჯერობით დაუსჯელები არიან.

როგორც ჩანს, „სნაიპერების ისტორიას“ ტრამპი უყურადღებოდ არ დატოვებს. **„იმპიჩმენტის მისტიფიკაცია გამოაშკარავდება. შეშლილი ნენსი (ნენსი პელოსი — აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის სპიკერი — ნ.კ.) ვერაფერს აკეთებს“, — დაწერა ამერიკის პრეზიდენტმა სოციალურ ქსელში 2020 წლის 3 მაისს და განაცხადა, რომ ხელახლა აჩვენებდა მაიკლ კაპუტოს ფილმს.**

მაიდნის მონაწილეებისა და უკრაინის შსს-ს თანამშრომლების მკვლელობის ოფიციალური ვერსია, რომლის მიხედვითაც სნაიპერებს ეს „სამუშაო“ ვაშინგტონიდან შეუკვეთეს, დაადასტურებს უკრაინაში ხელისუფლების უზურპაციას 2014 წლის 14 თებერვლიდან დღემდე და დღის წესრიგში დადგება **პეტრე პოროშენკოს, ვიტალი კლიჩკოს, არსენი იაცენიუკის, ოლეგ ტიაგნიბოკისა** და სხვების გასამართლების საკითხი.

fondsk.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

**P.S. ამერიკულმა ტელეარხმა One America News-მა რეჟისორ მაიკლ კაპუტოს ფილმი 5 მაისს აჩვენა. დოკუმენტურ ფილმში მოთხრობილია აშშ-ის ექსპრეზიდენტ ბარაკ ობამას ადმინისტრაციისა და დემოკრატიული პარტიის როლზე 2014 წლის თებერვალში უკრაინაში მოწყობილ სახელმწიფო გადატრიალებაში.**

**ეს ფილმი კიევის ცენტრში მოწყობილ ხოცვა-ჟლეტაზე პასუხისმგებლობას აკისრებს ბარაკ ობამას ადმინისტრაციას, კერძოდ, ვიცეპრეზიდენტ ჯო ბაიდენს, რომელიც დემოკრატიული პარტიის კანდიდატია საპრეზიდენტო არჩევნებში.**

თანამედროვე ქვეყნები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გავიხსენოთ სამარცხვინო მოვლენა, კოლაბორაციონიზმი, რომლითაც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში დამფრთხალი ევროპა დაავადდა და რომელსაც ვერც ჩვენ ავცდით, სამწუხაროდ. ამ სიმართლეს დასავლეთში დღეს ნაკლებად იხსენებენ, რადგან ვერ ეთანხმება იგი ნაციზმისა და კომუნიზმის იგივეობის დოგმატურ დებულებას, რომელსაც ელოლიავებიან, რადგან ისტორიის დასამახინჯებლად და ფაშიზმზე გამარჯვების სრულად საკუთარ თავზე მისაწერად სჭირდებათ.**

# ვინ მოკლა ლეგენდარული კაპიტანი ბუხაიძე?



**მე, ქართველი ბუხაიძე,**
**ბალყარეთის მთებში ვწევარ,**
**რომ შემეძლოს საფლავიდან,**
**ძმებო, მხრების წამოწევა,**
**მე სიცოცხლეს ხელმეორედ**
**შევწირავდი იმავ მხარეს,**
**შევწირავდი იმავ მიწას,**
**დღეს რომ გულზე დამაყარეს.**

**ირაკლი აბაშიძის ეს ლექსი, რომელიც პოეტმა 1942 წელს დაწერა, სასკოლო სახელმძღვანელოში იყო შეტანილი. თაობებს ჰქონდათ დაზეპირებული. დღემდე. მღეროდნენ კიდეც.**

ლექსის გმირი, კაპიტანი **მიხეილ ბუხაიძე** დიდ სამამულო ომში დაიღუპა — ბალყარეთში, პრავო-ურვანსკის ხუტორთან გამართულ ბრძოლაში დაიჭრა სასიკვდილოდ. 1942 წლის 26 აგვისტოს ფაშისტები უკვე კავკასიას, საქართველოს საზღვარს მოადგნენ. საბრძოლო წითელი დროშის ორდენით დააფასა სამშობლომ კაპიტნის თავგანწირვა.

წაიკითხავს ამ, არცთუ გამართულ, წინადადებას ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველი და გაუკვირდება: რატომ არის სათაურად გატანილი შეკითხვა, მაინცდამაინც დღეს აქტუალური, როცა იმ სისხლისმღვრელი ბრძოლების დამთავრებიდან უკვე 77 წელიწადი გავიდა?! იფიქრებს ასე და მართალიც იქნება. ცხადია, მტრის ტყვიამ იმსხვერპლა, მაგრამ ვინ იყო მტერი იგი — გადამთიელი ტევტონი თუ თანამემამულე, ქართველი, რომელმაც იარაღი სამშობლოს წინააღმდეგ შემართა დამარცხებული, დაჩოქილი, დამონებული საქართველოს ფიურერისთვის ლანგრით მისართმევად?

ეჭვის ჭია დაღრღნის ფიქრს. **პასუხის გასაცემად უნდა გავიხსენოთ სამარცხვინო მოვლენა, კოლაბორაციონიზმი, რომლითაც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში დამფრთხალი ევროპა დაავადდა და რომელსაც ვერც ჩვენ ავცდით, სამწუხაროდ. ამ სიმართლეს დასავლეთში დღეს ნაკლებად იხსენებენ, რადგან ვერ ეთანხმება იგი ნაციზმისა და კომუნიზმის იგივეობის დოგმატურ დებულებას, რომელსაც ელოლიავებიან, რადგან ისტორიის დასამახინჯებლად და ფაშიზმზე გამარჯვების სრულად საკუთარ თავზე მისაწერად სჭირდებათ.**

* * *

ცნობილია, რომ თავის დროზე ევროპაში ემიგრირებული მენშევიკური მთავრობის წევრებმა „მასპინძელი" სახელმწიფოების (უწინარეს ყოვლისა, გერმანიის) ნაცისტური ხელისუფლების სადაზვერვო სამსახურებს შესთავაზეს მოხალისეობა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში საკუთარი წვლილის შესატანად: **„დოიჩლანდ იუბერ ალეს!"** („გერმანია უწინარეს ყოვლისა!").

1938 წელს ბერლინში შეიქმნა ე.წ. საქართველოს ბიურო, რომელიც შემდეგ გადაკეთდა „კავკასიის ბიუროდ", 1939 წელს კი რომში გაიმართა ბერლინის, პრაღისა და ვარშავის ქართული ნაციონალისტური ორგანიზაციების წარმომადგენელთა ყრილობა, რომლის გადაწყვეტილებით ჩამოყალიბდა „ქართული ნაციონალური კომიტეტი".

1940 წელს ქართველმა მემარჯვენეებმა მოლაპარაკება გამართეს **ჰეიდარ ბამატის** მთიელთა ემიგრაციასთან კავკასიის ერთიანი ნაცისტური პარტიის შექმნის თაობაზე. მომავალი „თავისუფალი" საქართველოს ლიდერად დაასახელეს ტახტის მემკვიდრე, თავადი **ბაგრატიონ-მუხრანელი.**

ომის დაწყებისთანავე ნაცისტური გერმანიის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება საბჭოთა ტყვეებისა და ემიგრანტებისგან ე.წ. ლეგიონების შექმნის შესახებ, რომლებიც ვერმახტის ძალებთან ერთად იბრძოდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

**1941 წლის 30 დეკემბერს ჩამოყალიბდა ლეგიონი „საქართველო". მეთაურად 1942 წლის იანვარში დაინიშნა პოლკოვნიკი შალვა მაღლაკელიძე, რომელიც მანამდე ნაცისტური გერმანიის მაღალი თანამდებობის ოფიცერი იყო. შემდგომ პერიოდში ლეგიონი შეივსებოდა მესამე რაიხის სპეცსამსახურების მიერ გადაბირებული ნაციონალისტი და პროგერმანულად განწყობილი ემიგრანტებით, ტყვეებითა და მტრის მხარეზე გადასული ქართველი სამხედრო მოსამსახურეებით.**

1942 წლის გაზაფხულზე სრულად აღჭურვილი და კარგად გაწვრთნილი ორი ქართული ბატალიონი (795-ე და 796-ე) 2000-ზე მეტი ჯარისკაცისა და ოფიცრის შემადგენლობით ფრონტზე გაგზავნეს (პირველი ტალღა).

ერთი წლის შემდეგ ოსტლანდის საწვრთნელი ბანაკიდან მათ 797-ე, 798-ე, 799-ე და 822-ე ბატალიონები დაემატა. ეს იყო მეორე ტალღა.

მესამე ტალღა (823-ე და 824-ე ბატალიონები) 1943 წლის ზაფხულის მიწურულს გაიწვიეს.

**ქართულ ბატალიონებს დაარქვეს: „მეფე ერეკლე II ბაგრატიონი" (797-ეს), „მეფე დავით ბაგრატიონი-აღმაშენებელი" (799-ეს), „მეფე თამარი" (822-ეს), „შოთა რუსთაველი", „ილია ჭავჭავაძე" და ა.შ.** ამ შენაერთების გარდა აღმოსავლეთ ფრონტზე საომრად გაგზავნეს სამთო ეგერების სამი და გრენადერთა ორი ქართული ბატალიონი 6000-ზე მეტი მებრძოლის შემადგენლობით. ქართველ ლეგიონერთა ბატალიონების მომზადების ტემპი და რაოდენობა უფრო და უფრო იზრდებოდა.

საერთო ჯამში, ბატალიონების რაოდენობამ 20-ს გადააჭარბა, რაც ნიშნავს, რომ **ყველა ამ ბატალიონში 20 ათასზე მეტი ქართველი მსახურობდა.**

**პარალელურად შეიქმნა დივერსიული ორგანიზაცია „თამარი", რომელსაც საქართველოში აჯანყება უნდა მოეწყო. 1941 წლის ნოემბერში ეს ორგანიზაცია შეერწყა სპეციალური დანიშნულების ბატალიონ „ბერგმანს" („მთიელს"), რომლის პირველი, მეოთხე და მეხუთე ოცეულები ქართველებით დაკომპლექტდა, მეორე ბატალიონი — ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა წარმომადგენლებით, მესამე — აზერბაიჯანელებით. „ბერგმანის" დივერსანტებს საბჭოთა ზურგში სპეციფიკური სადაზვერვო და დივერსიული აქტების შესრულება ევალებოდა.**

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ბატალიონის ცოცხალი ძალის რაოდენობას თუ შევაჯამებთ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ **გერმანელ დამპყრობთა მხარეს იბრძოდა 30 ათასამდე ქართველი.**

შთამბეჭდავი რაოდენობაა!

მაგრამ, სამწუხაროდ, აქ წერტილს ვერ დავსვამთ, რადგან ამას გარდა ქართველი კოლაბორაციონისტები მოღალატე საბჭოთა გენერალ **ანდრეი ვლასოვის** „რუსეთის გამათავისუფლებელ არმიასა" და უკრაინის ეს-ეს-ელთა მე-14 დივიზიის რიგებშიც იბრძოდნენ, მსახურობდნენ საინჟინრო-სამშენებლო 11 ოცეულშიც, რომლებიც გასამხედროებულ ორგანიზაციად ითვლებოდა.

ქართულმა ბატალიონებმა საბრძოლო ნათლობა 1942 წელს კავკასიის ოპერაციაში მიიღეს. იმ ზაფხულს გამართულ ბრძოლებში მონაწილეობდა შვიდი ე.წ. აღმოსავლური ბატალიონი — ქართველების, სომხების, აზერბაიჯანელებისა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა წარმომადგენლებით დაკომპლექტებული. აქ ერთი საინტერესო დეტალი შეიმჩნევა: ვერმახტის წესდება არაარიელ ლეგიონერებს უკრძალავდა, ეტარებინათ სპეციფიკური სამკერდე ნიშანი არწივისა და სვასტიკის გამოსახულებით. ყველა გერმანელი ჯარისკაცი ვალდებული იყო, უპირატესობის დამადასტურებელი ეს ნიშანი მუნდირის მარჯვენა მხარეს, გულის ჯიბის ოდნავ ზემოთ ჰქონოდა დამაგრებული. სხვებისთვის ეს კატეგორიულად იყო აკრძალული, მაგრამ ქართველები უგულებელყოფდნენ ამ აკრძალვას და აღნიშნულ სიმბოლოს მკერდზე დემონსტრაციულად იბნევდნენ.

ნაცისტური იდეებისადმი ერთგულების ნიშნად?!

კარგა ხნის შემდეგ ეს აკრძალვა გააუქმეს: ნაცისტებს დასჭირდათ ერთგულთა შეთხელებული რიგების სიმრავლის შთაბეჭდილების შესაქმნელად.

**საბჭოთა ჯარების შეტევაზე გადასვლის კვალად ქართული ბატალიონების „გმირული შემართება" განელდა, გახშირდა დეზერტირობა, გაძლიერდა დამარცხებულის განწყობა, ამიტომ იყო, რომ ისინი მეორეხარისხოვან ფრონტრებზე გადაისროლეს — ბალკანეთში, იტალიაში, საფრანგეთში.**

ნორმანდიაში მოკავშირეთა ჯარების გადასხმის შემდეგ მრავალი ქართველი ლეგიონერი ტყვედ ჩაბარდა ამერიკელებსა და ბრიტანელებს, ბევრიც ევროპაში დარჩა, თუმცა საბოლოოდ ისინი მაინც საბჭოთა კავშირს გადასცეს.

ტექსელის აჯანყებამ, ასე თუ ისე, მოგვწმინდა დიდი სირცხვილი.

საინტერესოა ერთი მომენტიც: სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დასაპყრობად გადმოსროლილი „ბერგმანის" („მთიელის") წინააღმდეგ კავკასიონის მისადგომებთან იბრძოდნენ ქართველების, სომხების, აზერბაიჯანელების, ჩრდილოეთკავკასიელების ინტერნაციონალური ქვედანაყოფები, რომლებმაც შეძლეს ვერმახტის ელიტური ნაწილების შეტევების არა მხოლოდ შეჩერება, არამედ შორსაც მოისროლეს კუდამოძუებულები.

ასე დამთავრდა კოლაბორაციონიზმის აქტიური ფაზა, რომელიც მხოლოდ იმიტომ გავიხსენეთ, რომ, ასე თუ ისე, წარმოგვედგინა დიდი ომის წარმოების სპეციფიკა, რომელიც მხოლოდ ფრონტების დაპირისპირებით არ ამოიწურება.

**ვინ მოკლა კაპიტანი ბუხაიძე? ეს იმდენად შეკითხვა არ არის, რამდენადაც მეტაფორა: სამამულო ომის დროს საქართველოს კოლაბორაციონისტი ქართველებიც ესროდნენ ტყვიას.**

მოღალატეობა, ეტყობა, ის ვირუსია, რომელიც ჩვენი ეროვნული სხეულის ბნელ კუნჭულებშია მიმალული და, როგორც ჩვენი თანამედროვე ნაციონალები (ანასხლეტებითურთ), დროდადრო პანდემიის სახით გამოგვეცხადება.

ნაცისტებს სხვა ვინ მიეყიდებოდა?!

მოამზადა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. ფაშიზმზე გამარჯვების ზეიმის წინა დღეს, 8 მაისს, ტელეარხ „იმედის" ნორმალურ იუმორისტულ შოუ „ვასმედიას" ერთი იაღლიში მოუვიდა.**

**წამყვანმა ვასიკო ოდიშვილმა აგდებულად წარმოგვიდგინა იმდღევანდელი შოუს პროგრამა: „მომავლის აქტუალურ თემებსაც რომ არ ჩამოვრჩეთ, შეგახსენებთ, რომ ხვალ 9 მაისია და, ალბათ, ამ დღის აღსანიშნავად რუსული „უკვდავი პოლკის" ქართველი მოკვდავი მამულიშვილები ქუჩაში მსვლელობას ოკუპაციის შესახებ კანონის, საგანგებო მდგომარეობით გათვალისწინებული შეზღუდვებისა და სხვა მორალურ-ზნეობრივი პატრიოტული გრძნობების ფეხებზე დაკიდებას აანონსებენ".**

**შემდეგ: XIX საუკუნის სცენის მოყვარულთა სპექტაკლის დონის სიუჟეტი — „ჯაშუშ-კორესპონდენტის" ტრაბახი იმით, რომ ჭკვიანურად შეძლო, დამსგავსებოდა ნატურალურ ფალოსს, რომ „მოღალატეობას ტრაკიც უნდა" და აღტაცება იმის გამო, რომ „უკვდავი პოლკის" მსვლელობის ნაცვლად თბილისს გადაუფრინა ვარდისფერმა გაბერილმა ფალოსმა.**

**დასასრულ — ფალოსომანიის კულმინაცია: ამით „სტალინის სულს აამებენ. მაგათთვის ხომ წმინდანია დიდი ბელადი".**

**არ გეკადრებათ, კოლეგებო!**

**ა.ს.**

„ჩვენთვის ეს ყველაზე მთავარი, ყველაზე ძვირფასი დღესასწაულია. ჩვენ მას ყოველთვის აღვნიშნავთ საზეიმოდ და სახალხოდ, ყველა ერთად. ეს ჩვენი მეხსიერება და ჩვენი სიამაყეა, ეს ჩვენი ქვეყნის ისტორიაა, თითოეული ოჯახის ისტორია, ჩვენი სულის ნაწილი, რომელიც ჩვენმა მამებმა და დედებმა გადმოგვცეს, ჩვენმა ბებიებმა და ბაბუებმა. ჩვენ ქედს ვიხრით საბჭოთა ხალხის მიერ გაღებული მსხვერპლის წინაშე, სხვადასხვა ეროვნების ხალხის წინაშე, რომლებიც ფრონტზე მხარდამხარ იბრძოდნენ. დრო ვერაფერს დააკლებს მათ სიმამაცეს, ერთობას, ღირსებას და მართლაც ფოლადის სულისკვეთებას“.

ღირსშესანიშნავი თარიღი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვლადიმერ პუტინმა ქართველ ვეტერანებს გამარჯვების დღე მიულოცა და დახმარება გამოუგზავნა

**რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა 1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის ქართველ ვეტერანებს, ისევე, როგორც ქართველ ხალხს, გამარჯვების დღე მიულოცა და ქართველ ვეტერანებს დახმარება გამოუგზავნა.**





„ძვირფასო ვეტერანებო, საქართველოს პატივცემულო მოქალაქეებო! გულითადად გილოცავთ დიდ სამამულო ომში გამარჯვების 75-ე წლისთავს.

**როდესაც აღვნიშნავთ ამ წმინდა თარიღს, ჩვენ პატივს მივაგებთ ყველას, ვისმა სიმამაცემ და გამბედაობამ ფრონტზე, გამძლეობამ და თავდაუზოგავმა შრომამ ზურგში შესაძლებელი გახადა ნაცისტი დამპყრობლების დამარცხება, მომავალი თაობების თავისუფლების გადარჩენა. ჩვენი ვალია, შევინარჩუნოთ მათი ხსოვნა, არ დავუშვათ დიდი სამამულო ომის შედეგებისა და ჩვენი საერთო ისტორიის გადახედვა.**

დარწმუნებული ვარ, ჩვენი მამებისა და პაპების მიერ ნაანდერძევი მეგობრობის კეთილ ტრადიციებზე დაყრდნობით, შევძლებთ რუსულ-ქართული ურთიერთობების კონსტრუქციული განვითარების უზრუნველყოფას.

გულითადად ვუსურვებ საქართველოში მცხოვრებ დიდი სამამულო ომის მონაწილეებსა და ზურგის მუშაკებს მტკიცე ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და დიდხანს სიცოცხლეს; მთელ ქართველ ერს კი – მშვიდობას, კეთილდღეობასა და აყვავებას!“ — ნათქვამია ვლადიმერ პუტინის მილოცვაში, რომელიც 5 მაისითაა დათარიღებული.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის ფედერაციამ მიმდინარე 2020 წელსაც გამოყო ფულადი სახსრები ქართველი ვეტერანებისთვის ერთჯერადი დახმარების გასაწევად. ვეტერანებს შესაბამისი მიმართვის საფუძველზე საპენსიო ანგარიშებზე 200-200 ლარი დაერიცხებათ.

**P.S. „ჩვენ ვიცით და გვჯერა, რომ, როცა ერთად ვართ, დაუმარცხებელი ვართ!“ — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა დიდ სამამულო ომში გამარჯვების 75 წლის აღსანიშნავ ღონისძიებაზე მემორიალთან, სადაც ომში დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო.**

**„ჩვენთვის ეს ყველაზე მთავარი, ყველაზე ძვირფასი დღესასწაულია. ჩვენ მას ყოველთვის აღვნიშნავთ საზეიმოდ და სახალხოდ, ყველა ერთად. ეს ჩვენი მეხსიერება და ჩვენი სიამაყეა, ეს ჩვენი ქვეყნის ისტორიაა, თითოეული ოჯახის ისტორია, ჩვენი სულის ნაწილი, რომელიც ჩვენმა მამებმა და დედებმა გადმოგვცეს, ჩვენმა ბებიებმა და ბაბუებმა. ჩვენ ქედს ვიხრით საბჭოთა ხალხის მიერ გაღებული მსხვერპლის წინაშე, სხვადასხვა ეროვნების ხალხის წინაშე, რომლებიც ფრონტზე მხარდამხარ იბრძოდნენ. დრო ვერაფერს დააკლებს მათ სიმამაცეს, ერთობას, ღირსებას და მართლაც ფოლადის სულისკვეთებას“, — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.**

ge.news-front.info



# საქართველოში რუსეთის დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელმა პრეზიდენტ პუტინის მილოცვა წაიკითხა

**9 მაისს, გამარჯვების დღეს, საქართველოში შვეიცარიის საელჩოსთან არსებული რუსეთის ფედერაციის ინტერესების სექციის ხელმძღვანელმა ევგენი კონიშევმა თანმხლებ პირებთან ერთად, ტრადიციისამებრ, გვირგვინით შეამკო თბილისში უცნობი ჯარისკაცის მონუმენტი.**

საქართველოში რუსეთის დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელმა, ბატონმა კონიშევმა შეკრებილი ჟურნალისტების წინაშე წაიკითხა პრეზიდენტ პუტინის მილოცვის ტექსტი, რომელიც 5 მაისით არის დათარიღებული.

news-front.info




# ბერლინში ბრანდენბურგის კარიბჭეზე სიტყვა «მადლობა» ოთხ ენაზე აინთო

მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან 75 წლის აღსანიშნავად ბერლინის სიმბოლოზე— ბრანდენბურგის კარიბჭეზე სიტყვა „მადლობა“ რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე აინთო. ამ აქციით ბერლინს სურდა, მადლობა გადაეხადა იმ ქვეყნებისთვის, რომლებმაც ევროპა ნაცისტებისგან გაათავისუფლეს.



# მთავრობის განკარგულებით, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები 600 ლარს, ხოლო მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები 300 ლარს მიიღებენ

**საქართველოს მთავრობის განკარგულებით, ფაშიზმზე გამარჯვების 75 წლისთავის გამო, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები ფულადი სოციალური დახმარების სახით 600 ლარს, ხოლო მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები — 300 ლარს მიიღებენ. თანახმად განკარგულებისა, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს პრემიერმინისტრი გიორგი გახარია, მეორე მსოფლიო ომის ყველა მონაწილე დაჯილდოვდა საიუბილეო მედლით — „ფაშიზმზე გამარჯვების 75 წელი“.**

მედლის გადაცემას მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებისთვის ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური უზრუნველყოფს. რაც შეეხება ფულად სოციალურ დახმარებას, საქართველოს მთელს ტერიტორიაზე რეგისტრირებული მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებისთვის, გარდა თბილისისა, ფულადი სოციალური დახმარების გაცემას უზრუნველყოფს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტო, ხოლო თბილისში რეგისტრირებული მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებისთვის ფულადი დახმარების გაცემის მიზნით შესაბამისი სახსრები **თბილისის მერიამ** გამოყო. ფაშიზმზე გამარჯვების 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში თბილისში მცხოვრებ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს დედაქალაქის მერიისგან 600 ლარი, ხოლო მეორე მსოფლიო ომში მარჩენალდაკარგულ პირებს — 300 ლარი ჩაერიცხათ.

**ბათუმის მერიამ** მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებსა და ომში დაღუპულთა ოჯახებს ერთჯერადი მატერიალური დახმარების სახით 400 ლარი გადასცა. ბათუმში დიდი სამამულო ომის 14 ვეტერანი და ომში დაღუპულთა 25 ოჯახი ცხოვრობს.

**რუსთავის მერიამ** მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ვეტერანებს 500-500 ლარი ჩაურიცხა.





მწვანე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენში კანონი თუ იბადება, ოთხ კედელ შუა იბადება და ზოგჯერ ისე მოუხდება ხოლმე ჩვენს ცხოვრებას, როგორც კაცს სხვის ტანზედ შეკერილი ტანისამოსი. ეს არის, ჩვენის ფიქრით, იმ ყოფის მიზეზი, რომ ჩვენი ცხოვრება ძირს მიდის თავისთვის. ზემოდამ დაჰფარფარებს აჭრელებული ქაღალდი, საცა სუფევს კანონი, და შუაში კი ცარიელია. ამ ცარიელში დახტიან, ცხოვრების ზემოთ და კანონქვეშ, ჩვენი მოხელეები. ხალხი მათ ერიდება და ხალხს ისინი ერიდებიან“.**

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

დღეს ხშირად საუბრობენ, რომ კორონავირუსის პანდემიის შემდეგ კაცობრიობა სულ სხვა, გაცილებით უკეთეს მსოფლიოს მიიღებს. და ეს იმედიანად განაწყობს ამ რთულ მდგომარეობაში ჩავარდნილ ადამიანებს. საინტერესოა, ამ ახალ წესრიგში რა ახალი შესაძლებლობები მიეცემა საქართველოს და როგორ გამოიყენებს მათ.

და საერთოდ, რას წარმოადგენს დღეს საქართველო მსოფლიოს თვალში?

ფაქტია, რომ ჩვენი ჯანდაცვის სამინისტროს პოლიტიკა და, საერთოდ, ქვეყნის პოლიტიკა წარმატებული გამოდგა კოვიდის მართვაში. ამ პატარა საქართველომ მსოფლიო გააკვირვა, თავისი შეზღუდული რესურსით რომ შეძლო სხვა ქვეყნებზე უკეთ ამ გამოწვევასთან გამკლავება. „ნაციონალური მოძრაობისა“ და მისი განაყოფების უდიდესი ძალისხმევის მიუხედავად, სამართალმა პური ჭამა და საქართველოში ევროკავშირის ელჩმა, კარლ ჰარცელმაც კი აღიარა, რომ ეს ჩვენი „მტკიცე პოლიტიკური ნების, მაღალპროფესიული სამედიცინო პერსონალისა და მაღალი შეგნების მქონე მოსახლეობის წყალობით“ მოხერხდა. ამ ფონზე ნაცები სასოწარკვეთილებიდან „იხსნა“ სამშობლოში არაერთგზის გასამართლებული მიხეილ სააკაშვილის დანიშვნამ უკრაინაში ერთ-ერთ თანამდებობაზე. რამდენად მეგობრულია უკრაინელ ხელისუფალთა ეს ნაბიჯი, საკითხავიც აღარ არის, მაგრამ საქართველოს მთავრობა უკრაინიდან ელჩის გამოწვევას მაინც არ აპირებს, მასთან კონსულტაციები კი იმ მიზნით, რომ პოლიტიკურმა ავანტიურისტებმა ეჭვქვეშ არ დააყენონ საქართველოსა და უკრაინის ურთიერთთანამშრომლობა, აუცილებლად მიიჩნია. უკვე საუბრობენ იმაზეც, რომ ელჩი თეიმურაზ შარაშენიძე კიევში დაბრუნების შემდეგ უკრაინულ მხარეს პროტესტის ნოტას გადასცემს. საქართველოს პრემიერმინისტრმა გიორგი გახარიამ კი ჟურნალისტების კითხვას უკრაინის მაღალი თანამდებობის პირების განცხადებებზე, რომ სააკაშვილის დანიშვნა მათი ქვეყნის საშინაო საქმეა, ასე უპასუხა: „როგორ დააკავებენ მიხეილ სააკაშვილს იმისგან, რომ მან საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევისგან თავი შეიკავოს, ეს ძალიან მაინტერესებს და ამას დავაკვირდებითო“.

ურიგო არ იქნება, იმასაც თუ ჩაუკვირდება ჩვენი ხელისუფლება, რამდენად გამოხატავს ამ ნაბიჯით უკრაინა საქართველოსადმი პატივისცემას, რა ფასი აქვს მის თვალში საქართველოს ხელისუფლებას. ბატონი გახარია რომ ამას გააკეთებს, ეჭვიც არ გვეპარება, მაგრამ საქმე ის არის, მისცემენ თუ არა ამის უფლებას ჩვენი „სტრატეგიული პარტნიორები“.

# რას წარმოადგენს დღეს საქართველო მსოფლიოს თვალში?

## საქართველო არის მნიშვნელოვანი სახელმწიფო მნიშვნელოვან რეგიონში, სადაც ევროპის უსაფრთხოების ძალიან ბევრი მტკივნეული ნერვი მდებარეობს



### „ჩვენ სხვისთვის ვართ რამე თუ არა?“

ეს არის კითხვა, რომელზეც სწორი პასუხი ახლაც, ისევე, როგორც ილიას ეპოქაში, განსაზღვრავს ჩვენს აწმყოსა და მომავალს, რადგან, როგორც ილია ამბობს, **„ეს მიწის-ყელი, რომელსაც კავკასიას ეძახიან, რომელიც აზიისა და ევროპის კარად ყოფილა უწინ და რომლის დაპყრობისათვის ბევრი სხვადასხვა ხალხის სისხლი დაღვრილა, მაინც ისევ კარად დარჩა და ხალხთა შორის შუღლისა და ცილების მიზეზად“.**

და მთელს ამ დავიდარაბას ილია ერთ-ერთ მის მიმოხილვაში ასე გადმოგვცემს:

„ბალკანეთის ნახევარკუნძულზედ აღმოსავლეთის საქმეს ბერლინის ხელშეკრულობით წვერი შემოერღვა, როგორც პაჭიჭს, და რაკი წვერი შემოერღვა, ბოლომდინ რღვევით უნდა წავიდეს. ჩვენ აქ რა შუაში ვართო, იტყვის მკითხველი. **ეს პატარა ქვეყანა, რომელსაც ამიერ-კავკასიას ეძახიან და სადაც უპირატესობა ყოველისფრით ქართველობას უპყრია, დღეს იმ ქვეყნად შეიქმნა, რომელშიაც, ბერლინის ხელშეკრულების შემდეგ, გამოიკვანძა დიდი კვანძი აღმოსავლეთის საქმისა.** ჩვენის ფიქრით, ეხლა აღმოსავლეთის საქმემ, აქამომდე სლავიანებზე გაჩერებულმა, აქეთ, აზიაში გადმოიწია და რუსეთი და ინგლისი — ეს ორი დაუძინებელი მეტოქე აზიაში მფლობელობისათვის — აქ, აზიაში, დაეჯახებიან ერთმანეთს და ბოლოს საქმე იქამდის მივა, რომ მაგ საქმის კვანძი აქ უნდა გაიხსნას. რით გაიხსნება ეს კვანძი, ხმლით გაჰკვეთენ თუ საცივილიზაციო ღონისძიებითა, – ამისი გადაწყვეტილად თქმა ძნელია წინათვე. ამას კი ვიტყვით, რომ პირველი ნიშნები ინგლისის მხრით საცივილიზაციო ღონისძიების ხმარებას მოასწავებს. ჩვენ ამით იმისი თქმა კი არ გვინდა, რომ **ეგ ინგლისს მოსდიოდეს სხვისა თუ ჩვენის სიყვარულით და ტრფიალებითა, — აქ ინგლისი თავის საკუთარის სარგებლობისათვის იღვაწებს.** და რადგანაც ერთის ჭეშმარიტი და უცოდველი სარგებლობა მარტო იმაზეა დამყარებული, რომ მეორეც კარგად იყოს, ამიტომაც ინგლისი, რომლის საქმენი ხალხის თვითმოქმედებით იმართებიან, ეცდება, თავისი ჭეშმარიტი სარგებლობა ჭეშმარიტს საძირკველზედ ამოიყვანოს, ესე იგი, ეცდება ძალაუნებურად იმათ კარგამყოფობასაც, ვინც მას აზიაში ბინადრად დახვდება. ჩვენ აქ საპოლიტიკო სიგელს არ ვწერთ, და ამიტომაც ჩვენ ესე გაკვრით ვლაპარაკობთ ამ საგანზედა და ჩვენს მკითხველს ჩვენს ამონაფიქრებს ვაუწყებთ სმენისა და გაგონებისათვის. ჩვენ არ გვინდოდა, როგორც ლიტონს მემატიანეს, შეგვენიშნა, რომ აზია საერთოდ და ჩვენ თითონ საკუთრივ ვართ საჭირონი არამც თუ ჩვენის თავისათვის მხოლოდ, არამედ სხვისათვისაც, **თუმცა ბევრი რამ შეიცვალა ქვეყნიერობაზედ ამ ხუთას-ექვსას წელიწადში, მაგრამ ეს მიწის-ყელი, რომელსაც კავკასიას ეძახიან, რომელიც აზიისა და ევროპის კარად ყოფილა უწინ და რომლის დაპყრობისათვის ბევრი სხვადასხვა ხალხის სისხლი დაღვრილა, მაინც ისევ კარად დარჩა და ხალხთა შორის შუღლისა და ცილების მიზეზად იქნება კიდეც“.**

მაგრამ რამდენად ვართ საჭირონი დღეს „არამც თუ ჩვენის თავისათვის მხოლოდ, არამედ სხვისათვისაც“? ფაქტია, რომ საჭირონი ვართ, რადგან **საქართველო არის მნიშვნელოვანი სახელმწიფო მნიშვნელოვან რეგიონში, სადაც ევროპის უსაფრთხოების ძალიან ბევრი მტკივნეული ნერვი მდებარეობს;** მაგრამ ცუდია, რომ თავიანთ თანასწორად კი არ მიგვიჩნევენ, მხოლოდ ზემოდან დაგვცქერიან, გვიყენებენ და გვიდგენენ წესებს, რომლებსაც არ უნდა გადავუხვიოთ მათთან „თანამშრომლობისას“.

რა იგულისხმება ამ თანამშრომლობაში?

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო თავის საიტზე გვაუწყებს, რომ საქართველოს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთაშორისო ტერორიზმთან და ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის, ენერგეტიკული უსაფრთხოების, შეიარაღებაზე კონტროლისა და გაუვრცელებლობის უზრუნველყოფის საქმეში. საქართველო იზიარებს არამხოლოდ ევროატლანტიკური თანამეგობრობის ფასეულობათა ერთიან სისტემას, არამედ კოლექტიური თავდაცვის პრინციპსაცო.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ სად ვართ აქ ჩვენ — საქართველო, ტერიტორიებშემოძარცვული სახელმწიფო? თუ სახსენებელი არ არის საკუთარი პრობლემები მაშინ, როდესაც საერთაშორისო უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით ვიღვწით ავღანეთში „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში? ან ევროკავშირთან კონსულტაციებით ძალისხმევას არ ვიშურებთ ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) ფარგლებში თანამშრომლობის განვითარების მიზნით? ან გაეროს სამშვიდობო ოპერაციებში რომ უზრუნველვყოფთ საქართველოს სამხედრო და სამოქალაქო პირების მონაწილეობას? ან ეუთოს ორგანიზაციის საქმიანობის ყველა სფეროში რომ ვაქტიურობთ?..

**«მარტო სიყვარულით აღფრთოვანებული ხალხია საიმედო ყოველს განსაცდელში, რაც-კი სახელმწიფოს ისტორიის გზაზედ შეემთხვევა ხოლმე, მარტო სიყვარულით გულგამთბარს ხალხს შეუძლიან სიცოცხლისა და ქონების გაწირვა სახელმწიფო კეთილდღეობისათვის, მარტო სიყვარულით გაძლიერებულის ხალხით შეიძლება იმისთანა სასწაულები მოახდინოს სახელმწიფომ, რომლის მაგალითები ბევრია ისტორიაში და რომელიც დღესაც გვიკვირს და გვაოცებს»**

აი პასუხიც კითხვაზე: „ჩვენ სხვისთვის ვართ რამე თუ არა?“, მაგრამ გონიერი ქართველი მაინც არ მოისვენებს და იკითხავს: ისინი რაღა არიან ჩვენთვისო?

როგორ თუ რა?! ასე და ამრიგად, გვყავს მთავარი პარტნიორები: ნატო, ევროკავშირი, გაერო, ეუთო, სუამი, აშშ...

განა ეს ცოტაა?!

ხელისუფალთ არ ეცოტავებათ, უბრალო მოკვდავს, რიგით მოქალაქეს კი „ამბიციები“ არ უნდა ჰქონდეს.

ვიცი, ბევრ ქართველს სტკივა გული იმის გამო, რომ „ცხოვრება ძირს მიდის თავისთვის. ზემოდამ დაჰფარფარებს აჭრელებული ქაღალდი, საცა სუფევს კანონი, და შუაში კი ცარიელია. ამ ცარიელში დახტიან, ცხოვრების ზემოთ და კანონქვეშ, ჩვენი მოხელეები“, მაგრამ ამის წამალიც არსებობს. თუ ილიას დავუჯერებთ, ამის უებარი წამალი ცოდნაა, განათლება, რომლის წყალობითაც შესაძლებელია საზოგადოებისთვის საჭირო, პროგრესისკენ მიმართული ცვლილებების დასახვა; შესაძლებელი ხდება საზოგადო საქმისთვის ადამიანთა მობილიზაცია; საერთო ინტერესებზე ორიენტირებული საზოგადოების ფორმირება; თითოეული პიროვნების უფლებებისა და თავისუფლების დაცვა.

**პიროვნებას ილია უდიდესი ვალდებულებებით აღჭურვავს. ეს არის, ცხადია, ვალდებულებები საზოგადოების წინაშე, უწინარესად კი, საკუთარი შინაგანი სამყაროს, სულიერების, საკუთარი ზნეობის წინაშე, რომელთა გაცნობიერებითა და შესრულებით არის შესაძლებელი ყველა სხვა ვალდებულებისა და მისიის შესრულება**. ამგვარი მიზნები ერთჯერადი ღონისძიებით არ მიიღწევა, მათ რეალიზაციას მუდმივი მუშაობა, მუდმივი მოძრაობა, პროგრესისკენ მუდმივი სწრაფვა სჭირდება. პიროვნებისა თუ საზოგადოების განვითარება შეწყდება იმ მომენტში, როცა შეწყდება სიახლისკენ, განვითრებისკენ, გაუმჯობესებისკენ სვლა.

იქ, სადაც პიროვნებას აქვს უფლება,- მიიღოს ცოდნა, შეიქმნას კეთილდღეობა, იშრომოს საკუთარი თავის და ოჯახის სასიკეთოდ, ჰქონდეს რწმენის თავისუფლება, ჰქონდეს საკუთარი მსოფლმხედველობის შემუშავებისა და მისი გამოხატვის უფლება, საჭირო დროს იპოვოს სამართალი, ჰქონდეს ინიციატივის გამოვლენის უფლება და საშუალება, გრძნობს, რომ დაცულია მისი უფლებები, თავად იწყებს სხვათა უფლებების გათვალისწინებასა და საზოგადოების ინტერსების დაცვას. გვექნება ოდესმე ასეთი სახელმწიფო? ის, რომ განსაცდელის ჟამს შეგვიძლია ძმობა, ერთმანეთის შველა და გატანა, არ არის საკმარისი. პირველ ხანებში კორონამ ისე მოგვაწესრიგა, გაგვაერთიანა ერი, ბერი და ხელისუფლება, რომ ჩვენ თვითონვე გვიკვირდა.

მაგრამ წინააღმდეგობათა დაძლევის შემდეგ, ჩვეულებისამებრ, ამ ყველაფერს, მგონი, ყავლი გასდის და ▶

„თუმცა ბევრი რამ შეიცვალა ქვეყნიერობაზედ ამ ხუთას-ექვსას წელიწადში, მაგრამ ეს მიწის-ყელი, რომელსაც კავკასიას ეძახიან, რომელიც აზიისა და ევროპის კარად ყოფილა უწინ და რომლის დაპყრობისათვის ბევრი სხვადასხვა ხალხის სისხლი დაღვრილა, მაინც ისევ კარად დარჩა და ხალხთა შორის შუღლისა და ცილების მიზეზად იქნება კიდეც“.

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ისევ სიზიფეს ლოდის თრევა მოგვიწევს... მთავრობა ვახსენეთ და როგორი უნდა იყოს ის? ისევ ილიას მოვუსმინოთ:

## „მთავრობას რით იცნობს ხალხი?“

„ღირსება და სიკეთე რომელიმე მთავრობისა, ხალხისაგან ცნობილი და აღიარებული, სთესავს ხალხში იმ სიყვარულის თესლს, რომელიც მეტად სანატრელი უნდა იყოს ცნობიერად მომართულ და მიმართულ სახელმწიფოსათვის; და მარტო ეს სიყვარულია სათავედ ყოველ იმისა, რაც კი შეადგენს სახელმწიფოს ძალასა და ღონეს, იმიტომ, რომ **მარტო სიყვარულით აღფრთოვანებული ხალხია საიმედო ყოველს განსაცდელში, რაც-კი სახელმწიფოს ისტორიის გზაზედ შეემთხვევა ხოლმე, მარტო სიყვარულით გულგამთბარს ხალხს შეუძლიან სიცოცხლისა და ქონების გაწირვა სახელმწიფო კეთილდღეობისათვის, მარტო სიყვარულით გაძლიერებულის ხალხით შეიძლება იმისთანა სასწაულები მოახდინოს სახელმწიფომ, რომლის მაგალითები ბევრია ისტორიაში და რომელიც დღესაც გვიკვირს და გვაოცებს.** საცა ეს სიყვარული არ არის, ის სახელმწიფო ფუღუროა, ფუყეა, ერთი ლაზათიანის ქარის შემობერვა და იმისი გადამსხვრევა ერთია... უმაღლესი სფერა მთავრობისა საზოგადოდ მეტად მიუწვდომელია ხალხის თვალისათვის. ისე შორსა სდგას იგი ხალხზედ, ისე იშვიათად დაენახვება ხოლმე ხალხის თვალს, რომ ძნელად თუ ხალხი მას პირისპირ გაიცნობს, და თუნდ ძალიან კარგიც იყოს, მისი სიკარგე, მინამ ხალხამდე ჩავა, მრავალ ხელში გაივლის ხოლმე და ამის გამო ვინ იცის, რა სახით ეჩვენება. **თითონ ხალხიც საზოგადოდ, და დაბალი საკუთრივ, ისე მომწყვდეულია თავის ვიწრო ავკარგიანობაში, მისი ყოველდღიური საჭიროება ზედ-გამობმულია ისეთს წვრილმანს საგანზედ, რომ ძნელად თუ მიეცემა მიზეზი, პირისპირ შეხვდეს მთავრობას და მით იხელთოს შემთხვევა მისი ავ-კარგიანობა აუწყოს. ყველგან უმაღლეს მთავრობის და ხალხის შორის სდგას ხოლმე მთელი რაზმი მოხელეებისა, რომელნიც მახლობელნი გამომთქმელნი არიან უმაღლესის მთავრობის წადილისა, მიმართულებისა და ავკარგიანობისა, ხალხი თუ იცნობს მთავრობას, ამ მოხელეებით იცნობს, რადგანაც იგინი არიან მისდა მახლობლად, მათ უდგათ მის ცხოვრების დირეზედ ფეხი, იგინი განაგებენ ყოველ-დღეს მის ავსა და კარგსა და ყოველ-დღე თვალ-წინ ტრიალებენ. უმაღლესი მთავრობა თუნდ კარგიც იყოს, შესაძლოა მოხელეების წყალობით ხალხმა აითვალწუნოს იგი უმაღლესი მთავრობა** და იმდენად დაფრთხეს, რომ მამა-პაპეული ბინაც მოიშალოს და ცხრა მთას იქით გადავარდეს, ოღონდ თავი ცოცხალი დააღწიოს. ამიტომაც კეთილად, გონიერად და ცნობიერად აგება ხალხის მახლობელ მმართველობისა, **კაი კაცების შერჩევა, — შეადგენს ერთს იმისთანა უპირველეს და აუცილებელს საჭიროებას, ურომლისოდაც მთავრობა მთავრობა კი არ არის, წეწვა-გლეჯაა, ზედმისევაა, თავზარია ხალხისათვის**. ამის შემდეგ ნუღარ ჰკვირობთ, რომ დღეს, მეცხრამეტე საუკუნეში, რამოდენიმე მაგალითი ვნახეთ ხალხის მამა-პაპეულ ბინიდამ აყრისა და გარდახვეწისა... დეე, ამაზედ ჩვენს შემდეგი ისტორიკოსი განცვიფრდეს, ჩვენ კი ეს გულის-ტკივილით შევნიშნოთ და შევიტანოთ ჩვენს მატიანეში... ზევითა ვსთქვით, რომ ხალხის მახლობელნი მოხელენი პირველსახენი არიან უმაღლესის მთავრობისა, იგინი არიან მაგ მთავრობის წადილისა და მიმართულების გამომთქმელნი. აქედამ ცხადია, რამოდენად გულით და ჭკუით განვითარებულნი უნდა იყვნენ ის მოხელენი, რომ მათაც, — როგორც ერთგვარ ძალთა სახელმწიფო წყობისათა, — გააგნებინონ ხალხს გზა საზოგადო ცხოვრებისა, თვალი აუხილონ იმ საგანზედ, რომელიც ყოველს წყობას ადამიანისას მისაღწევად დანიშნული უნდა ჰქონდეს საყოველთაო საკეთილოდ; მათ უნდა ამცნონ ის საყოველთაო საკეთილო საგანი, რომლისაკენაც უნდა მიიზიდებოდეს ყოვლის ძალითა და ღონით ყოველივე სახელმწიფო, თუ მართლა სახელმწიფოა საქმით და არა მარტო სახელითა. ამ მხრით, **მოხელეობა მმართველობისა მარტო მშვიდობიანობის მცველი კი არ არის, მარტო დარაჯი კი არ არის, არამედ მწვრთნელიც უნდა იყოს ხალხისა, მასთან ერთად ჩაბმული და ერთად მოღვაწე. უნდა იყოს-მეთქი, და არის თუ არა, — ეგ ღმერთმა იცის“.**

„ხალხის მახლობლად მყოფი მთავრობითი ორღანო ორგვარია: პოლიცია და სამმართველო. ამათ უჭირავთ უპირატესი ადგილი ჩვენს ცხოვრებაში და ამაზეა დამოკიდებული ჩვენში ხალხის გულის მოგებაც, ხალხის გულის აყრაც და იმ დანიშნულების აღსრულებაც, რომელიც ზევით აღვნიშნეთ. ამიტომაც აშკარაა, **რა არის საჭირო აქაურ მოხელეებისათვის გარდა საზოგადო თვისებისა, სახელდობრ, ჭკუისა და ზნეობის სიმაღლისა. საჭიროა, მოხელემ კარგად იცოდეს აქაურის ხალხის ვითარება, ჩვეულება, ტკივილი და სიხარული და ღონე ჰქონდეს, ხალხს უშუამავლოდ ელაპარაკოს. ჩვენდა სამწუხაროდ, ეს დავიწყებულია დღევანდლამდე ჩვენში და თითქმის უარყოფილიც.** ხალხის სამართლის გამძღოლს, ხალხის სამართლის აღმადგენელს და დამდგენელს რომ კაცმა ენა მოსჭრას და ყური დაუხშოს, — რაღას უნდა გამოელოდეთ მისგან კარგს და კეთილს, თუნდა სხვაში ყოველფერში ციდამ ჩამოსულიც იყოს. მოსამართლეს რომ თავის ყურით არ ესმოდეს მოჩივარის საჩივარი და გულისტკივილი, რა მოსამართლეა? მოსამართლემ რომ თავის ყურით არ მოისმინოს მოწმის ჩვენება, საცა ხშირად ერთი სიტყვა, ასე თუ ისე გამოთქმული, უფრო დიდის და ცხოველის ნათელით მოჰფენს ყოველს საქმის გარემოებას, ვიდრე მთელი ლაქლაქი უვიცისა და ბრიყვის მთარგმნელისა, — ის რა მოსამართლეა? **მოხელე, რომელსაც მე ჩემსას ვერ გავაგებინებ და ის თავისას, — ის რა ჩემი მომვლელია?** აქ მარტო სახეა და არა სული და ხორცი. ამ უენობას დაუმატეთ ისიც, რომ ხშირად სრულიად უცხო კაცია მოსამართლეედ თუ მოხელედ, სრულიად უცნობი ჩვენის ჩვეულებისა, ჩვენის მიდრეკილებისა, ზნეობისა, ჭირისა თუ ლხინისა, და მაშინ ცხადი იქნება, რათ ძე მიაჩნია ხალხს ჭირად, როცა საქმე ან სამოხელოდ, ან სასამართლოდ გაუხდება ხოლმე. მაშინ ცხადი იქნება, რათ იმდურება ხალხი და რათ არის კანონზედ და მმართველობაზედაც გულდაწყვეტილი და გულაყრილი. შორს რათ მივალთ! აი, ცხენების ჩუქება ავიღოთ თუნდა მაგალითად. ჩუქება ხომ კეთილი საქმეა, მაგრამ აქაც კი ხალხი დაფრთხა, ნამეტნავად, საცა მაზრის უფროსად უენო კაცი იჯდა, დაფრთხა, არ მიეკარა ცხენებს, რადგან ეს მთავრობის წყალობა სულ სხვაფრად დაანახვეს ხალხსა, — კაცი არ იყო. კაცი, რომ ხალხისათვის წყალობა წყალობად გამოესახა და პირდაპირ აეხსნა მთავრობის განზრახვა. რამდენი ბოროტმოქმედება მოჰყვა ამ განზრახვით კეთილს საქმეს, მკითხველმა ზოგი იცის ჩვენებურ გაზეთიდამ და ზოგი კი დავიწყებას მიეცა, როგორც სხვა რამ მრავალი. როცა მოხელეები იმ ჯურიდამ ამორჩეულნი არიან, რომელიც სრულიად უცნობია ხალხისა, მისის ცხოვრებისა, სრულიად უცოდინარი ენისა, — ამას აუცილებლად ის მოსდევს, რომ **მათ ხალხისა არა გაეგებათ რა და ხალხს კიდევ მათი. არიან ესე, ხშირად ერთი აღმა მიდის და მეორე დაღმა, უყურებენ ერთმანეთს და ჰკვირობენ, ან მე რად უნდივარ ამასაო, ან მე იგი რად მინდაო, ეს ჩემთვის მუნჯი და ყრუიაო, მე — იმისათვისაო; და თუ მოხელე კაი კაცია, მარტო იმას ფიქრობს, რომ არა ვავნო რა ხალხსაო, და ხალხი კიდევ იმოდენად არის ხოლმე მადლობელი მოხელისა, რამოდენადაც იგი უფრო ნაკლებ მავნებელია.** ამისთანა ყოფაში სხვა საწყაოთი მიდგომა შეუძლებელია: მმართველობას სიკეთის უპირატესი ღონე ჩამორთმეული აქვს, სახელდობრ ენა და ყური...

მრავალ-სახისა და მრავალგვარი საჭიროება ხალხისა, რაც მის ყოველდღიურ ცხოვრების დენაში აღმოჩნდება ხოლმე, და აქედამ წარმომდგარი **ვითარება, რომელიც ზოგჯერ კანონმდებლობის ღვაწლსა თხოულობს და რომელიც ყოველთვის საჭიროებს ყურადღებით გასინჯვას და გულმტკივნეულს შეწყნარებას, — რჩებიან არამც თუ უყურადღებოდ, არამედ იქავე სულსა ლევენ, საცა იბადებიან, რადგანაც მთავრობის აგენტი ყრუა და მუნჯი უენობის გამო. სულს ლევენ-მეთქი და ამით გულსა სწყვეტენ ხალხსაც, და თითონ მთავრობასაც ხელიდამ აცლიან იმ ძვირფასს მასალას, რომელზედაც დამყარებული უნდა იყოს ყოველივე მისი განკარგულება და კანონმდებლობა.** ამიტომაც **ჩვენში კანონი თუ იბადება, ოთხ კედელ შუა იბადება და ზოგჯერ ისე მოუხდება ხოლმე ჩვენს ცხოვრებას, როგორც კაცს სხვის ტანზედ შეკერილი ტანისამოსი. ეს არის, ჩვენის ფიქრით, იმ ყოფის მიზეზი, რომ ჩვენი ცხოვრება ძირს მიდის თავისთვის,** ზემოდამ დაჰფარფარებს აჭრელებული ქაღალდი, საცა სუფევს კანონი, და შუაში კი ცარიელია. ამ ცარიელში დახტიან, ცხოვრების ზემოთ და კანონქვეშ, ჩვენი მოხელეები. ხალხი მათ ერიდება და ხალხს ისინი ერიდებიან“.



«ღირსება და სიკეთე რომელიმე მთავრობისა, ხალხისაგან ცნობილი და აღიარებული, სთესავს ხალხში იმ სიყვარულის თესლს, რომელიც მეტად სანატრელი უნდა იყოს ცნობიერად მომართულ და მიმართულ სახელმწიფოსათვის; და მარტო ეს სიყვარულია სათავედ ყოველ იმისა, რაც კი შეადგენს სახელმწიფოს ძალასა და ღონეს»




რამდენად ვართ საჭირონი დღეს «არამც თუ ჩვენის თავისათვის მხოლოდ, არამედ სხვისათვისაც»? ფაქტია, რომ საჭირონი ვართ, მაგრამ ცუდია, რომ თავიანთ თანასწორად კი არ მიგვიჩნევენ, მხოლოდ ზემოდან დაგვცქერიან, გვიყენებენ და გვიდგენენ წესებს, რომლებსაც არ უნდა გადავუხვიოთ მათთან «თანამშრომლობისას»

ხმა ბერისა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მწამს, მიუხედავად შინაური თუ გარეული მტრების მცდელობისა, საქართველოს ჰყავს ისეთი პატარა არმია, რომელიც სიცოცხლეს მიიტანს ერის, სარწმუნოების სამსხვერპლოზე, როგორც გააკეთა ეს აკადემიკოსმა გურამ შარაძემ. ღმრთის შემწეობით გააგრძელებენ ქრისტეს ეკლიან გზას, რომელიც მიგვიყვანს ტაძრამდე, მიგვაახლებს უფალს, სამარადისო ცხონებას. „განა ღმერთი არ დაიცავს მათ, ვინც დღედაღამ შეჰღაღადებს მას“.**

### მამა ბასილი (მკალავიშვილი):

# ეს გასაჭირი მანამდე გასტანს, სანამ არ მოვუხმობთ ყველაზე დიდ მკურნალს — ღმერთს

**გვესაუბრება გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ტაძრის წინამძღვარი მამა ბასილ მკალავიშვილი.**

**— მამაო, თქვენ ინტერვიუებში ხშირად აღნიშნავდით, რომ მსოფლიოს მოელის ღმერთის მკაცრი სასჯელი იმის გამო, რომ მთელ რიგ ქვეყნებში აღიარეს ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა შორის ქორწინება, იმართება გეიაღლუმები და ღვთის საწინააღმდეგო სხვა ქმედებები.**

— სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ჩვენთან არს ღმერთი!

მე, როგორც სასულიერო პირი, მხოლოდ სახარების მიხედვით გესაუბრებით. მათეს სახარების 24-ე თავის მე-14 მუხლში ვკითხულობთ: „და იქადაგოს სახარება ესე სასუფეველისა ყოველსა სოფელსა საწამებელად ყოველთა წარმართთა“. ეს იმას ნიშნავს, რომ ქრისტე, რომელიც განკაცდა ჩვენთვის — ცოდვილთათვის, მოევლინა მიწიერ ცხოვრებას, ამ სიტყვებით გაგვაფრთხილა, თუ არ ვირწმუნებთ მის მცნებებს, მკაცრად დავისჯებით:

**„ვინაიდან მაშინ იქნება დიდი ჭირი, როგორიც არ ყოფილა წუთისოფლის დასაბამითგან ახლანდლამდე, და აღარც არასოდეს იქნება“** *(მათ. 24, 21).*

მივყვეთ მოვლენებს: ადრე ცალკეული ქვეყნები რომ ისჯებოდა ხანძრით, ქარიშხლით, წყალდიდობით, მიწისძვრით, ვერავინ ხვდებოდა მიზეზს განსაცდელისა. ვერ აცნობიერებდნენ, რომ ქვეყნიერებამ გადაუხვია ჭეშმარიტ გზას, ადამიანებმა აირჩიეს ხორციელი ფუფუნება, იოლი ცხოვრება, ღმერთი საერთოდ არ ახსენდებოდათ. სულიერი სიწმინდისგან განძარცულნი, ამჯერადაც სამართლიანად ისჯებიან — ღმერთმა მოუვლინა მსოფლიოს საერთო ჭირი, უხილავი მტერი კორონავირუსის სახით, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა ურთულესია, ყოველდღიურად ათასობით ადამიანი იხოცება. პირადად ჩემთვის ეს უხილავი მტერი კი არა, ხილულია, რადგან იგი ზეციერი მამის მიერ არის მოვლინებული. როცა წარღვნა მოავლინა უფალმა, მაშინაც სიბილწის მორევში იყო ჩაფლული კაცობრიობა.

**— კიდევ დიდხანს გაგრძელდება ასე?**

— გაგრძელდება მანამ, სანამ არ გავაცნობიერებთ, რომ ცხოვნება თუ წარწყმედა ღმრთისგან არს. დროა, ყველამ ვაღიაროთ: „უფალო, ეს ყოველივე შენგან იყო ჩვენი უგუნურებისა გამო“.

მე მგონი, ამერიკის პრეზიდენტი თითქოს ჩახვდა, რომ ის, რაც ახლა ხდება, უფლის სასჯელია; აღიარა, — ქრისტიანები ვართ და იქნებ გვეშველოსო.

ქრისტეს მეორედ მოსვლას წინ ვერავინ და ვერაფერი აღუდგება. სამ-ოთხ წელიწადში გამეორდება უფრო მკაცრი სასჯელი, თუ კაცობრიობა ვერ მოინანიებს ცოდვებს. ზუსტი დრო არავინ უწყის.

**— როგორ გავარჩიოთ, ზოგი ქვეყანა მკაცრად რომ ისჯება, ზოგი ნაკლებად?**

— ლოგიკური შეკითხვაა. ესეც ჩვენზეა დამოკიდებული, როგორ ვიქნებით ღმერთთან დაკავშირებული ჩვენი ქმედებით. ეს საშინელი ეპიდემია ყველა კონტინენტს რომ მოედო, ყველა ქვეყანა მაშინვე გაძლიერებულ ლოცვაზე უნდა გადასულიყო. სამწუხაროდ, მოხდა პირიქით: რომის კათოლიკური ეკლესიის მესვეურებმა დახურეს თავიანთი ეკლესიები, აკრძალეს ლოცვები, თუმცა მათ ლოცვებს რა მადლი აქვს?! მათ ხომ მე-11 საუკუნეში გადაუხვიეს მართლმადიდებლობას და მწვალებლობის გზას დაადგნენ. მეტად აღმაშფოთებელი და გულსატკენია, რომ მართლმადიდებელი ქვეყნების უმრავლესობამ დაკეტა ეკლესიები, შეწყვიტა წირვა-ლოცვების ჩატარება. ეს ხდებოდა დიდი მარხვის დროს, როცა აღდგომის მოლოდინში ეკლესიებში მიმდინარეობდა დატვირთული, გაძლიერებული ლოცვები, ასე იყო მომდევნო ბრწყინვალე შვიდეულშიც.

ბრწყინვალე აღდგომის წინა დღეს, შაბათს, უფალი, ნიშნად იმისა, რომ არ მივუტოვებივართ და ჩვენთან არს, გვიდასტურებს ზეციური სასწაულებრივი ცეცხლით, რომელიც მის საფლავზე გადმოდის მართლმადიდებელი მღვდელთმთავრის ხელში. ეს სასწაული მაუწყებელია იმისა, რომ ერთადერთი ჭეშმარიტი სარწმუნოება მართლმადიდებლობაა, რომელიც ბევრ ქვეყანაში არ სწამთ, იქ მხოლოდ ფორმალურად მიდიან ცეცხლის წასაღებად. ფაქტია: სწორედ იმ ქვეყნებში, სადაც პატივს მიაგებენ ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა შორის ქორწინებას, იმართება მამათმავალთა აღლუმები, კაზანტიპის ფესტივალები, ღმერთის სასჯელი უმკაცრესია.

**— რას გვეტყვით უშუალოდ საქართველოზე?**

— ყველამ ვუწყით, რომ საქართველო ღმრთის რჩეული და ყოვლადწმიდა დედა ღმრთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. მრავალტანჯული ჩვენი სამშობლო მძიმე ჯვრით დღემდე მოაბიჯებს ღმრთის მადლითა და ღმრთისმშობლის შემწეობით, შევინარჩუნეთ ეროვნული ღირებულებები და, რაც მთავარია, სარწმუნოება. ამჯერადაც ღმერთმა გადმოგვხედა, შეისმინა ჩვენი ლოცვა-ვედრება. ამ ძნელბედობის ჟამს მსოფლიოში მხოლოდ საქართველომ არ დაკეტა ეკლესიის კარი, ჩვეულებრივად აღევლინებოდა ღმრთის სადიდებელი წირვა-ლოცვანი. ცოდვილი დედამიწიდან ქართულ ენაზე ისმინებოდა ღვთის სადიდებელი სიტყვა.

სწორედ ამიტომ საუბრობს მთელი მსოფლიო ჩვენს ქვეყანაზე, იმ კუთხით, თუ როგორ გავართვით თავი საშინელ პანდემიას მინიმალური (სხვა ქვეყნებთან შედარებით) დანაკარგით.

მე ღვთის მსახური ვარ, მთელი ცხოვრება სიმართლეს ვემსახურები, გულწრფელად მადლობას ვუხდი პრემიერმინისტრ გიორგი გახარიას იმისთვის, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში ორჯერ იხსნა ქვეყანა: პირველად შარშან, 20-21 ივნისის მოვლენების დროს სახელმწიფო გადატრიალებისგან, მეორედ — კორონავირუსის პანდემიის პირობებში განხორციელებული ღონისძიებებით, როცა მედიცინის მუშაკები თავგანწირული იბრძვიან თითოეული ადამიანის გადასარჩენად.

მკაცრ გაფრთხილებას მივაგებ იმ პიროვნებებს, რომლებიც მოგვიწოდებდნენ, არ წავსულიყავით ეკლესიაში. მოწოდება და რჩევა რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. რჩევა შეიძლება მათი სამსახურებრივი მოვალეობის ნაწილი იყოს, ხოლო მოწოდება ცოდვის ტოლფასია, რომელიც მოეკითხება მათ შთამომავლობას. ვურჩევ, მოინანიონ აღსარებით.

აქვე აღვნიშნავ, რომ ზოგიერთმა ვაიპატრიოტმა შექმნილი სირთულეების თავიანთი პირადი მიზნების განსახორციელებლად გამოყენება სცადა.

ვიცით, რომ საქართველო არსებობის დღიდან გარემოცული იყო შინაური თუ გარეშე მტრებით. დღევანდელი რეალობით ნამდვილად არ მეგონა, საქართველოს ამდენი იუდა ისკარიოტელი თუ ჰყავდა.

შეგახსენებთ დიდი ილიას სიტყვებს: „ადამიანი თუ მთელი ერი იმისთვის არ არის გაჩენილი, რომ პური ჭამოს, არამედ პურს ჭამს იმიტომ, რომ კაცურ-კაცად იცხოვროს და აცხოვროს მისი შთამომავალი“. ჩვენ ვამაყობთ წარსულით, რამეთუ ჩვენმა სასიქადულო წინაპრებმა სასულიერო თუ ერის წარმომადგენლებმა საკუთარი სიცოცხლის ფასად საუკუნეების განმავლობაში ატარეს ერის ღირებულება, ჭეშმარიტი სარწმუნოება და ღირსეულად გადმოგვაბარეს. შევხედოთ სამარცხვინო აწმყოს. ე.წ. ჩვენი თანამემამულენი, ერისა და სარწმუნოების მოღალატენი, ამ საერთო გასაჭირის ჟამს ნაცვლად იმისა, რაღაც სასიკეთო გააკეთონ, ჩასაფრებულნი არიან და იგესლებიან.

განსაკუთრებით აქტიურობენ პირსისხლიანი სააკაშვილის ნარჩენები. ჩვენ, საქართველომ მოვიხადეთ ეს ულმობელი სენი. სააკაშვილის 9-წლიანი ფაშისტური რეჟიმი იყო ხილული, უკურნებელი ვირუსი. გავიხსენოთ 26 მაისი, 7 ნოემბერი, ჩვენი ეკლესიის ბარბაროსული დარბევა, მერაბიშვილის „2 გვამი“, ბოკერიას მიერ ციხის ამბოხის დროს ჩაცხრილული პატიმრები და მრავალი სხვა დანაშაული, რომლებიც ჩვენი თვალთახედვის მიღმა ჩაიდინეს.

გაბოროტებული ოპოზიცია აღდგომის დღეებში ზემოქმედებდა ხელისუფლებაზე, რათა ეთქმევინებინა, — დახურეთ ეკლესიებიო. სულიწმიდის მგმობელი ნიაღვარი მოედინებოდა „მთავარი“ არხიდან, „რუსთავი 2“-დან, ტვ-პირველიდან, „კავკასიიდან“. ეს ადამიანები საქართველოს ბედს არას დაგიდევენ. მათი მიზანია, როგორმე მთავრობაში მოსვლა, რათა ქვეყანა სატანის გზას გაუყენონ.

სწორედ მათნაირებს მიმართავს ქრისტე წმიდა სახარებაში: **„ვაი თქვენ, მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალთმაქცნო, რომლებიც გარედან კი ასუფთავებთ სამოსსა თუ ჯამს, შიგნით კი სავსენი არიან მტაცებლობით და უსამართლობით“** *(მათ. 23, 25).*



**«ქვეყნიერებამ გადაუხვია ჭეშმარიტ გზას, ადამიანებმა აირჩიეს ხორციელი ფუფუნება, იოლი ცხოვრება, ღმერთი საერთოდ არ ახსენდებოდათ. სულიერი სიწმინდისგან განძარცულნი, ამჯერადაც სამართლიანად ისჯებიან — ღმერთმა მოუვლინა მსოფლიოს საერთო ჭირი, უხილავი მტერი კორონავირუსის სახით, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა ურთულესია, ყოველდღიურად ათასობით ადამიანი იხოცება. პირადად ჩემთვის ეს უხილავი მტერი კი არა, ხილულია, რადგან იგი ზეციერი მამის მიერ არის მოვლინებული. როცა წარღვნა მოავლინა უფალმა, მაშინაც სიბილწის მორევში იყო ჩაფლული კაცობრიობა»**

მათგან განსხვავებით ჩვენ ღმრთისმსახურნი ვართ, გვწამს უფლისა, მისი მცნებებისა, მისი მადლისა და ძლიერებისა. ჩვენ მხოლოდ ღმერთზე ვართ მინდობილნი. მხოლოდ უფალი იხსნის თავის ქმნილებას ყოველგვარი განსაცდელისაგან. ჩვენ არ გვაშინებს სოროსის ბინძური ზრახვები და აქ ჩვენ შორის დაბუდებული მისი წინილები გიგა ბოკერიას მეთაურობით, რომლებიც გრანტების გამცემთა ყურმოჭრილი მონები არიან. რაც გინდა ეცადონ, ისინი ვერ დააჩოქებენ ჩვენს ერს, მართლმადიდებელ ქრისტიანებს, რამეთუ ჩვენ არ ვცხოვრობთ მხოლოდ მიწიერი ფუფუნებით, სული გვაქვს სუფთა, მდიდარი.

**— მამაო, თქვენი აზრით, როდემდე გასტანს ეს გასაჭირი, კიდევ ბევრი მსხვერპლი იქნება?**

— სამწუხაროდ, კიდევ ორსამ თვეს გასტანს, შემდეგ მოსალოდნელია, შემოტრიალდეს რამდენიმე თვით, თუმცა ეს ჩვენზეა დამოკიდებული, სანამ არ მოვუხმობთ ყველაზე დიდ მკურნალს — ღმერთს.

შეგახსენებთ სახარებიდან: **იესო იერუსალიმს რომ მიდიოდა, სამარიასა და გალილეას შორის ერთი სოფლის შესასვლელში ათი კეთროვანი კაცი შემოხვდა. მათ „ხმა აღიმაღლეს და ამბობდნენ: „შეგვიწყალე, იესო მოძღვარო!“**

**ისინი რომ დაინახა, უთხრა: „წადით, ეჩვენეთ მღვდლებს“. როგორც კი წავიდნენ, განიწმინდნენ.**

**რომ დაინახა განვიკურნეთ, ერთი მათგანი მობრუნდა და მაღალი ხმით ადიდებდა ღმერთს.**

**პირქვე დაემხო მის ფერხთით და მადლი შესწირა. ის კაცი სამარიელი იყო.**

**მაშინ იესომ თქვა: „ნუთუ ათივენი არ განიწმინდნენ? ცხრანი სადღა არიან?**

**როგორ მოხდა, რომ უცხოტომელის გარდა არავინ დაბრუნდა ღვთის სადიდებლად?“**

**მას უთხრა: „ადექი და წადი! შენმა რწმენამ გიხსნა“.** *(ლუკ. 17, 11-19).*

თუ ჩვენც მთელი არსებით, ღრმა რწმენით მადლობას შევწირავთ უფალს და ვთხოვთ შველას, ისიც არ დააყოვნებს და არ მოგვაკლებს შემწეობას.

მე მწამს, მიუხედავად შინაური თუ გარეული მტრების მცდელობისა, საქართველოს ჰყავს ისეთი პატარა არმია, რომელიც სიცოცხლეს მიიტანს ერის, სარწმუნოების სამსხვერპლოზე, როგორც გააკეთა ეს აკადემიკოსმა გურამ შარაძემ. ღმრთის შემწეობით გააგრძელებენ ქრისტეს ეკლიან გზას, რომელიც მიგვიყვანს ტაძრამდე, მიგვაახლებს უფალს, სამარადისო ცხონებას. „განა ღმერთი არ დაიცავს მათ, ვინც დღედაღამ შეჰღაღადებს მას“?

**ღმერთმა დაგლოცოთ!**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**ცნობილია, რისთვის სჭირდება ბილ გეიტსს დედამიწის მოსახლეობის საყოველთაო ვაქცინაცია — ეს არის მსოფლიოს მოსახლეობის შემცირება. სახელდობრ, ამაზეა ლაპარაკი ცნობილი ამერიკელი ეკონომისტისა და პოლიტოლოგის, უილიამ ენგდალის, წიგნში „ნგრევის თესლი. გენეტიკური მანიპულაციების საიდუმლო სარჩული“. მაგრამ საკითხავია, რისთვის სჭირდება საყოველთაო ვაქცინაცია რომის პაპს? რა ხდება (ან უკვე მოხდა) ვატიკანში?**

კაცობრიობის საფრთხე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბილ გეიტსისა და რომის პაპის ერთსულოვნება

## რისთვის სჭირდება პონტიფიკოსს პლანეტის მოსახლეობის საყოველთაო ვაქცინაცია

**მაისის დასაწყისში „მაიკროსოფტის“ დამფუძნებელმა (პოლ ალენთან ერთად), მულტიმილიარდერმა ბილ გეიტსმა განაცხადა, რომ „კოვიდ-19“-ის გავრცელების შესაჩერებლად მსოფლიოს სჭირდება ვაქცინის 14 მილიარდი დოზა და ეს „რაც შეიძლება ჩქარა“ უნდა გაკეთდეს. მილიარდერი თავს უფლებას აძლევს, ილაპარაკოს, როგორც „საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში მთავარმა პირმა“, მეტიც — როგორც კაცობრიობის ინტერესების წარმომადგენელმა.**

„ეს (ვაქცინის დოზები) სასწრაფოდ უნდა გავრცელდეს, როგორც კი პირველი პარტია დამზადდება. ვაქცინაცია თავდაპირველად უნდა ჩატარდეს სამედიცინო დაწესებულებების მუშაკებს შორის, შემდეგ — იმ ქვეყნებში, რომლებშიც შემოსავლების დონე დაბალია, რადგან იქ დაავადების გავრცელების ალბათობა გაცილებით მაღალია“, — მოგვიწოდებს ბილ გეიტსი.

დედამიწის მოსახლეობის საყოველთაო ვაქცინაციაზე, როგორც „გადაუდებელ ამოცანაზე“, გეიტსმა კორონავირუსის გავრცელებამდე კარგა ხნით ადრე ილაპარაკა.

**2016 წლის 21 იანვარს „სი-ენ-ენ“-ის კორესპონდენტმა ბილ გეიტსს ჩამოართვა ინტერვიუ, რომელშიც მილიარდერმა კითხვას: „ათი მილიარდი დოლარი მომდევნო 10 წელიწადში, რათა მივაღწიოთ ვაქცინაციის წელს“ — ეს რას ნიშნავს?“, ასე უპასუხა:**

**„ჩვენ გვჯერა, რომ ამ ათი წლის განმავლობაში შევძლებთ მივაღწიოთ უდიდეს პროცესს ახალი ვაქცინების გამოგონებით და ამ ვაქცინებით ყველა იმ ბავშვის უზრუნველყოფას, რომლებსაც ისინი სჭირდება. შემდეგ ჩვენ დაგვჭირდება კიდევ 6-7 წელი და გვექნება ბავშვთა სიკვდილიანობისა და ადამიანის პოპულაციის შემცირების საშუალებები. შედეგი იქნება სტაბილურობა და ჯანმრთელი გარემო“.**

ეს აზრი ბილ გეიტსმა კიდევ რამდენიმე ინტერვიუში გამოთქვა.

გეიტსთან ერთად მოსახლეობის საყოველთაო ვაქცინაციის აგიტაციას ეწევა რომის კათოლიკური ეკლესიის ხელმძღვანელიც. მსოფლიოსადმი თავის ბოლო მიმართვაში **პაპამა ფრანცისკემ** განაცხადა, რომ „პანდემია — ეს არის ბუნების პასუხი კაცობრიობის მხრიდან კლიმატური ცვლილებების იგნორირებაზე“ და ხაზი გაუსვა, რომ „ნებისმიერი წარმატებული ვაქცინა უნდა იყოს ხელმისაწვდომი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში“.

**პონტიფიკოსისა და ამერიკელი მილიარდერის ერთსულოვნება ვაქცინის საყოველთაო გამოყენების საკითხში, იმ ვაქცინისა, რომლის შესახებაც დღეს ცნობილი არაფერია, ბევრ კითხვას აჩენს, რადგან, კორონავირუსისა და სხვა დაავადებების მიუკერძოებელი სტატისტიკის მიხედვით, სულაც არ მტკიცდება, რომ „კოვიდ-19“-ის საფრთხე ყველაზე აქტუალურია კაცობრიობისთვის.**

მაგალითად, **გერმანიაში,** რომლის მოსახლეობაც 83 მლნ ადამიანია, კორონავირუსის გავრცელების შედეგები 9 მაისს ასეთი იყო:

**ინფიცირებული — 170, 5 ათასი;**

**გამოჯანმრთელებული — 143,3 ათასი;**

**გარდაცვლილი — 7,5 ათასი.**

სხვა მასობრივი დაავადებების შედეგებთან შედარებით ეს რიცხვები გაცილებით მცირეა. **გერმანიაში ფილტვების დაავადებებით წელიწადში 680 ათასი ადამიანი ავადმყოფობს, მათგან 130 ათასს სტაციონარში მკურნალობა სჭირდება. ამ დაავადებებით გამოწვეული სიკვდილის შემთხვევების რაოდენობა დაახლოებით 10%-ია. 2016 წელს გერმანიაში ფილტვების ანთებით გარდაცვლილთა რაოდენობამ 35 ათასი შეადგინა. ეს გაცილებით მეტია, ვიდრე კორონავირუსით გამოწვეული გარდაცვალების სავარაუდო შემთხვევები.**

**თუ განვიხილავთ მსოფლიოს მონაცემებს, რომლებზეც ლაპარაკობენ ბილ გეიტსი, ჯანდაცვის ორგანიზაცია და რომის პაპი (კორონავირუსით დასნებოვნდა დაახლოებით 4 მლნ-ზე მეტი ადამიანი, მათგან დაახლოებით 276 ათასი გარდაიცვალა), და მათ ჩვეულებრივი ფილტვების ანთების მონაცემებს შევადარებთ, ვნახავთ, რომ ფილტვების ანთებით წელიწადში 1,1 მლნ ბავშვი (5 წლამდე) იღუპება. სულ კი გრიპის ჩვეულებრივ ფორმებთან ერთად პნევმონიის მსხვერპლი ყოველწლიურად 7 მლნ ადამიანია (ბავშვებიც და ზრდასრულებიც),** ანუ ამ შემთხვევაში საქმე გაცილებით საგანგაშოა და ეს მონაცემები ყველასათვის ცნობილია, მაგრამ არც ბილ გეიტსსა და არც რომის პაპს ამის გამო შეშფოთება არასოდეს გამოუხატავთ. **რატომ არ აღელვებთ ეს კაცობრიობაზე მზრუნველებს?** იმიტომ ხომ არა, რომ პნევმონიის მკურნალობის თანამედროვე მეთოდები დეტალებშია დამუშავებული და ამისთვის არანაირი ახალი ვაქცინა საჭირო არ არის? ცნობილია ისიც, რომ **პნევმონიით გამოწვეული სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლების მთავარი მიზეზი — ეს არის საზოგადოებრივი უთანასწორობა და ამით გამოწვეული ცხოვრების ცუდი სოციალური პირობები ღარიბ და ულარიბეს ქვეყნებში. დავუშვათ, ეს სრულიად არ აღელვებს ამერიკელ მილიონერს, მაგრამ რატომ არ აწუხებს რომის პაპს, ეს ხომ მისი ყურადღების ცენტრში უნდა იყოს?**

ცნობილია, რისთვის სჭირდება ბილ გეიტსს დედამიწის მოსახლეობის საყოველთაო ვაქცინაცია — ეს არის მსოფლიოს მოსახლეობის შემცირება. სახელდობრ, ამაზეა ლაპარაკი ცნობილი ამერიკელი ეკონომისტისა და პოლიტოლოგის, **უილიამ ენგდალის,** წიგნში „ნგრევის თესლი. გენეტიკური მანიპულაციების საიდუმლო სარჩული“, მაგრამ საკითხავია, რისთვის სჭირდება საყოველთაო ვაქცინაცია რომის პაპს? რა ხდება (ან უკვე მოხდა) ვატიკანში?

fondsk.ru-ზე
გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**გიორგი ბაჩეჩილაძემ**





რომის პაპამა მხარი დაუჭირა ბილ გეიტსს პლანეტის მოსახლეობის საყოველთაო ვაქცინაციის საკითხში



**პონტიფიკოსისა და ამერიკელი მილიარდერის ერთსულოვნება ვაქცინის საყოველთაო გამოყენების საკითხში, იმ ვაქცინისა, რომლის შესახებაც დღეს ცნობილი არაფერია, ბევრ კითხვას აჩენს, რადგან, კორონავირუსისა და სხვა დაავადებების მიუკერძოებელი სტატისტიკის მიხედვით, სულაც არ მტკიცდება, რომ «კოვიდ-19»-ის საფრთხე ყველაზე აქტუალურია კაცობრიობისთვის**



ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სტალინგრადის ბრძოლა ყველაზე სისხლისმღვრელი დაპირისპირებაა მსოფლიო ისტორიაში. მდინარე ვოლგაზე მდებარე ამ ქალაქს გერმანელმა ფაშისტებმა რამდენიმე არმიით შეუტიეს. ბრძოლის შემდეგ სტალინმა თქვა: „სტალინგრადთან დაიწყო გერმანელი ფაშისტების მზის ჩასვენება“. ამ ბრძოლის შემდეგ გერმანელები წელში ვეღარ გაიმართნენ.**

# 8 ყველაზე მასშტაბური და სისხლისმღვრელი ბრძოლა მეორე მსოფლიო ომში

მეორე მსოფლიო ომი, რომელიც 1939 წლის 1 სექტემბერს დაიწყო და 1945 წლის 2 სექტემბერს დასრულდა, კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სისხლისმღვრელი შეიარაღებული დაპირისპირება იყო. საომარი მოქმედებები, რომლებშიც ჩართული იყო 62 სახელმწიფო იმხანად არსებული 73-დან, მიმდინარეობდა ევროპის, აზიის, აფრიკის კონტინენტებსა და ყველა ოკეანეში. ამ ომმა 71,1 მლნ ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. დიდი სამამულო ომი კი 1941 წლის 22 ივნისს დაიწყო და 1945 წლის 9 მაისს დასრულდა. გთავაზობთ მეორე მსოფლიო ომის ყველაზე მასშტაბურ და სისხლისმღვრელ ბრძოლებს.



## 1. სტალინგრადის ბრძოლა

**17 ივლისი, 1942 წ. — 2 თებერვალი, 1943 წ.**

სტალინგრადის ბრძოლა ყველაზე სისხლისმღვრელი დაპირისპირებაა მსოფლიო ისტორიაში. მდინარე ვოლგაზე მდებარე ამ ქალაქს გერმანელმა ფაშისტებმა რამდენიმე არმიით შეუტიეს. ბრძოლის შემდეგ **სტალინმა** თქვა: „სტალინგრადთან დაიწყო გერმანელი ფაშისტების მზის ჩასვენება“. ამ ბრძოლის შემდეგ გერმანელები წელში ვეღარ გაიმართნენ.

**დანაკარგები:**

სსრკ — 1 მლნ 130 ათასი კაცი; გერმანია და მისი მოკავშირეები — 1,5 მლნ.



## 2. ბრძოლა მოსკოვისთვის

**30 სექტემბერი, 1941 წ. — 20 აპრილი, 1942 წ.**

გერმანიის 2 სატანკო არმიის სარდალმა **გუდერიანმა** ასე შეაფასა გერმანელთა დამარცხება მოსკოვის მისადგომებთან: „ყველა ძალისხმევა და მსხვერპლი ფუჭი აღმოჩნდა, ჩვენ განვიცადეთ სერიოზული მარცხი, რომელმაც უმაღლესი მთავარსარდლობის სიჯიუტის გამო საბედისწერო შედეგები გამოიწვია. გერმანიის არმიის ძალა და სულისკვეთება გატყდა“.

**დანაკარგები:**

სსრკ — 926,2 ათასი ადამიანი; გერმანია — 581,9 ათასი.






## 3. კურსკის ბრძოლა

**5 ივლისი — 23 აგვისტო, 1943 წ.**

ეს იყო ყველაზე მასშტაბური ომი მეორე მსოფლიო ომის ისტორიაში. საბჭოთა კავშირის ცენტრალური და ვორონეჟის ფრონტების მებრძოლებმა გაანადგურეს ვერმახტის ორი უდიდესი დაჯგუფება: არმიების ჯგუფი „ცენტრი“ და არმიების ჯგუფი „სამხრეთი“. ამ ბრძოლაში მონაწილეობდა 2 მლნ ადამიანი, 6 ათასი ტანკი და 4 ათასი თვითმფრინავი.

**დანაკარგები:**

სსრკ — 254 ათასი ადამიანი; გერმანია — 300 ათასი.



## 4. ოპერაცია «ბაგრატიონი»

**23 ივლისი — 29 აგვისტო, 1944 წ.**

ერთ-ერთი ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია კაცობრიობის ისტორიაში. ბალტიისპირეთის 1-ელმა, ბელორუსიის 1-ელმა, მე-2 და მე-3 ფრონტებმა გაანადგურეს გერმანიის არმიების დაჯგუფება „ცენტრი“ და გაათავისუფლეს ბელორუსია. იმისათვის, რომ ეჩვენებინათ ამ წარმატების მნიშვნელობა, საბჭოთა კავშირის მთავარსარდლის განკარგულებით, 50 ათასზე მეტი გერმანელი ტყვე მოსკოვის ქუჩებში ჩაატარეს.

**დანაკარგები:**

სსრკ — 178,5 ათასი ადამიანი; გერმანია — 255,4 ათასი.



## 5. ვისლა-ოდერის ოპერაცია

**12 იანვარი — 3 თებერვალი, 1945 წ.**

ბელორუსიის 1-ელი და უკრაინის ფრონტების სტრატეგიული შეტევა, რომლის მსვლელობისას საბჭოთა მეომრებმა გაათავისუფლეს პოლონეთის ტერიტორია ვისლიდან დასავლეთით, კაცობრიობის ისტორიაში შევიდა, როგორც ყველაზე სწრაფი შეტევა — 20 დღე-ღამის განმავლობაში საბჭოთა ჯარები დღეში 20-30 კმ-ს გადიოდნენ.

**დანაკარგები:**

სსრკ — 43,2 ათასი ადამიანი; გერმანია — 480 ათასი.



## 6. ბრძოლა ბერლინისთვის

**16 აპრილი — 8 მაისი 1945 წ.**

ეს იყო საბჭოთა კავშირის ჯარების ბოლო ბრძოლა ევროპაში. მესამე რაიხის დედაქალაქზე შტურმისთვის გააერთიანეს უკრაინის 1-ელი და ბელორუსიის 1-ელი და მე-2 ფრონტების ძალები. ბრძოლებში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, პოლონეთის არმიისა და ბალტიის ფლოტის მებრძოლები.

**დანაკარგები:**

სსრკ-ის მოკავშირეებთან ერთად — 81 ათასი ადამიანი; გერმანია — 400 ათასი.



## 7. ბრძოლა მონტე-კასინოსთან

**17 იანვარი — 19 მაისი, 1944 წ.**

ყველაზე სისხლისმღვრელი ბრძოლა სსრკ-ის დასავლელი მოკავშირეების მონაწილლეობით, რომლის მსვლელობისას ამერიკელმა და ბრიტანელმა სამხედროებმა იტალიაში გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვის ბასტიონი — „გუსტავის ხაზი“ და აიღეს რომი.

**დანაკარგები:**

აშშ და მოკავშირეები — 100 ათასი კაცი; გერმანია — 20 ათასი.



## 8. ბრძოლა ივოძიმისთვის

**16 მარტი — 26 მარტი, 1945 წ.**

ეს იყო აშშ-ის პირველი სამხედრო ოპერაცია ხმელეთზე იაპონიის წინააღმდეგ.

ტოკიოდან 1250 კმ-ით დაშორებულ ამ პატარა კუნძულზე შტურმის შემდეგ აშშ-მა გადაწყვიტა, ატომური ბომბები ჩამოეგდო ჰიროსიმასა და ნაგასაკიში.

**დანაკარგები:**

იაპონია — 22,3 ათასი ადამიანი; აშშ — 6,8 ათასი.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

**ფრანკოს რეჟიმის პერიოდში პოლიტიკა ხშირად ერეოდა ფეხბურთში (ახლაც ასეა). მაგალითად, 1960 წელს ევროპის თასის მეოთხედფინალური მატჩის წინ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ფრანკომ, რომელიც ვერ იტანდა კომუნისტებს, ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტისგან გამარჯვების გარანტია მოითხოვა და, როდესაც ეს გარანტია ვერ მიიღო, ნაკრებს მოსკოვში გასამართ მატჩში მონაწილეობა აუკრძალა (გუნდი აეროპორტიდან გამოაბრუნეს). ესპანეთის ნაკრებს ტექნიკური წაგება ჩაეთვალა; საბჭოთა ნაკრებმა კი, რომლის ღირსებას 3 ქართველი ფეხბურთელი — გივი ჩოხელი, სლავა მეტრეველი და მიხეილ მესხი — იცავდა, ისტორიაში პირველად მოიგო ევროპის ჩემპიონატი.**

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დუჩე, კაუდილიო, ამინი და დუვალიე, ანუ დიქტატორები და ფეხბურთი

**დიქტატორებს ფეხბურთი რკინის მარწუხებში ჰყავდათ მოქცეული. საფეხბურთო მოედნებზე გამარჯვება მათ პირად რეიტინგს მაღლა სწევდა, ამტკიცებდა ძალაუფლებას. ბევრ სისხლიან დიქტატორს გულწრფელად უყვარდა ფეხბურთი, ხოლო მათი ქვეყნის ნაკრები თუ საყვარელი გუნდი ზოგჯერ დიდ წარმატებასაც აღწევდა. აი XX საუკუნის დიქტატორებს შორის ფეხბურთის ყველაზე თავგამოდებული მოყვარულები.**

## მუსოლინი (1883-1945)

დღეს ამის დაჯერება ძნელია, მაგრამ გასული საუკუნის 20-იან წლებში იტალიელი ფეხბურთელები მოწიწებით შესცქეროდნენ ავსტრიელ და უნგრელ კოლეგებს, მაგრამ შემდეგ ათწლეულში ვითარება კარდინალურად შეცვალა **ბენიტო მუსოლინიმ,** რომელმაც იტალია დიდ საფეხბურთო ქვეყნად აქცია. უკვე 30-იან წლებში აპენინის ნახევარკუნძულის სტადიონები ივსებოდა, იტალიამ კი მუსოლინის მმართველობის პერიოდში 2-ჯერ მოიპოვა პლანეტის უძლიერესი ნაკრების ტიტული.

დუჩემ ფეხბურთის ფედერაციის ვიცეპრეზიდენტ **ჯოვანი მაურას** დახმარებით იტალიას 1934 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება მოაპოვებინა. შემდეგ კი, შეპყრობილმა იდეით, რომ იტალია ცხოვრების ყველა სფეროში პირველი უნდა ყოფილიყო, თანაშემწეებს უბრძანა, რადაც უნდა დასჯდომოდათ, მოეგოთ ეს პრესტიჟული ტურნირი. მას სულაც არ ადარდებდა ის, რომ „სკუადრა აძურა" იმხანად აუტსაიდერთა შორის იყო. გამოსავალი მოიძებნა „ორიუნდიში" — ასე უწოდებდნენ იტალიელ რეპატრიანტ ფეხბურთელებს სამხრეთ ამერიკიდან. არგენტინასა და ურუგვაიში მცხოვრებმა ბევრმა იტალიელმა ფეხბურთელმა მოიწონა მუსოლინის იდეა „დიადი იტალიის" შესახებ და ისტორიულ სამშობლოში გადაბარგდა. ფიფას წესებით აკრძალული იყო იმ ქვეყნის ნაკრებში თამაში, რომელშიც ფეხბურთელს ბოლო სამი წელიწადი არ უცხოვრია, მაგრამ დუჩემ ყველაფერი მოაკვარახჭინა და იტალიელებმა მსოფლიო ჩემპიონატზე სამხრეთ ამერიკელი ვარსკვლავები გამოიყვანეს. „ორიუნდი" და მსაჯები დაეხმარნენ იტალიას მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაში. მეოთხედფინალში მთავარმა მსაჯმა თვალი დახუჭა იტალიელთა ზღვარგადასულ უხეშობაზე, მათ მწყობრიდან გამოიყვანეს ესპანელთა 7(!) ფეხბურთელი. მატჩში ერთადერთი ბურთი **ჯუზეპე მეაცამ** წესის დარღვევით გაიტანა, ამასთანავე, მსაჯმა არ ჩათვალა ესპანელთა ორი „სუფთა" გოლი. ნახევარფინალში ავსტრიელებთან შეხვედრაში კი მსაჯი სულ მასპინძელთა სასარგებლოდ უსტვენდა, ხოლო ერთხელ ზუსტი პასი მისცა იტალიელებს.

ფინალური მატჩიც მუსოლინის სცენარის მიხედვით წარიმართა. მთავარ არბიტრს, შვედ **ივან ეკლინდს** ევროპულმა პრესამ „რომაელი გრაფი" შეარქვა, რადგან საფინალო შეხვედრის წინ ის დუჩესთან ერთად სტადიონის ლოჟაში ნახეს. რა ინსტრუქციას მიიღებდა დიქტატორისაგან შვედი, რთული მისახვედრი არ არის. ფინალში იტალიელები საშინლად უხეშობდნენ, ხოლო ცინიკოსმა ეკლინდმა, ნაცვლად იმისა, რომ მოედნიდან გაეძევებინა იტალიელები და მათ კარში დაენიშნა პენალტი, ჯარიმებს ნიშნავდა ჩეხოსლოვაკიელთა კარში. შედეგად „სკუადრა აძურამ" 2:1 გაიმარჯვა, მისმა კაპიტანმა **კომბიმ** კი გახარებული დუჩეს ხელიდან მიიღო მთავარი პრიზი. იტალიაში მუსოლინი და მისი გარემოცვა რომის „ლაციოს" გულშემატკივრობდნენ, ანტიფაშისტები კი — რომის „რომას". დუჩეს არ უყვარდა „რომა" და ორგანულად ვერ იტანდა მილანის „ინტერნაციონალეს" („ინტერს"), ამ კლუბის სახელწოდება მას კომუნისტებს აგონებდა, ამიტომ გუნდს 1928 წელს სახელი გადაარქვეს და „ამბროზიანა" უწოდეს. ძველი სახელი მას მხოლოდ 1845 წელს დაუბრუნეს.

## ფრანკო (1892-1975)

ერთხელ ხანდაზმულ კატალონიელ ქალბატონს, რომელიც ფეხბურთის დიდი მოყვარული არ იყო, ჰკითხეს: „რატომ არის თქვენთვის ასე მნიშვნელოვანი, რომ „ბარსელონამ" დაამარცხოს „რეალი"? მან უპასუხა: „ფრანკო ჩვენს მამებსა და შვილებს კლავდა, მას კი „რეალი" უყვარდა".

ესპანეთის კაუდილიო („ბელადი") **ფრანსისკო ფრანკოს** მართლაც ძალიან უყვარდა მადრიდის „რეალი", რომელმაც მისი მმართველობის პერიოდში (1939-1975) უნიკალურ შედეგს მიაღწია — 6-ჯერ მოიგო ევროპის ჩემპიონთა თასი (ჩემპიონთა ლიგა). ამბობენ, რომ ფრანკოს ზუსტად ახსოვდა „რეალის" შემადგენლობა სეზონის ყველა მატჩში და სძულდა „ბარსა". ეს სიძულვილი გამოწვეული იყო არა მხოლოდ ფეხბურთით, არამედ პოლიტიკითაც. 1930-იან წლებში, როცა ესპანეთში სამოქალაქო ომმა იფეთქა, კატალონია გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა ფრანკოს ჯარებს, ადგილობრივების ლაშქარს კი „ბარსას" იმჟამინდელი პრეზიდენტი ხელმძღვანელობდა.

ესპანეთის ხელისუფლების სათავეში მოსულმა ფრანკომ კატალონიის ავტონომია გააუქმა, აკრძალა კატალონიური ენა, მაგრამ „ბარსელონა" ვერ გაანადგურა. იმხანად „ბარსელონას" სტადიონი „კამპ ნოუ" თავისუფლების ერთადერთი კუნძული იყო კატალონიაში. მხოლოდ აქ შეეძლოთ ლურჯ-ბროწეულისფერთა ქომაგებს კატალონიის დროშების აფრიალება და მშობლიურ ენაზე საუბარი. სწორედ იმხანად გაჩნდა „კამპ ნოუზე" უზარმაზარი პლაკატი „კატალონია — ესპანეთი არ არის!"

ფრანკოს რეჟიმის პერიოდში პოლიტიკა ხშირად ერეოდა ფეხბურთში (ახლაც ასეა). მაგალითად, 1960 წელს ევროპის თასის მეოთხედფინალური მატჩის წინ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ფრანკომ, რომელიც ვერ იტანდა კომუნისტებს, ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტისგან გამარჯვების გარანტია მოითხოვა და, როდესაც ეს გარანტია ვერ მიიღო, ნაკრებს მოსკოვში გასამართ მატჩში მონაწილეობა აუკრძალა (გუნდი აეროპორტიდან გამოაბრუნეს). ესპანეთის ნაკრებს ტექნიკური წაგება ჩაეთვალა, საბჭოთა ნაკრებმა კი, რომლის ღირსებას 3 ქართველი ფეხბურთელი — გივი ჩოხელი, სლავა მეტრეველი და მიხეილ მესხი — იცავდა, ისტორიაში პირველად მოიგო ევროპის ჩემპიონატი.


მუსოლინი თასით ხელში


ბენიტო მუსოლინი


ჟან-კლოდ დუვალიე


იდი ამინი

## ამინი (1925-2003)

უგანდის დიქტატორმა **იდი ამინმა** თავისი მმართველობის (19,1-1979) წლებში ნახევარი მილიონი თანამემამულე გამოასალმა სიცოცხლეს. მან უგანდაში გაავრცელა მუსლიმანობა, პროპაგანდას უწევდა „შავ ფაშიზმს" და აღმერთებდა **ჰიტლერს**, პარანოიკი დიქტატორის სახელის ხსენებაზე უბრალო უგანდელებს ძარღვებში სისხლი ეყინებოდათ, მაგრამ სპორტის მოყვარულები სიამაყით იხსენებენ 1970-იან წლებს. ამ პერიოდში ამინმა უგანდაში სპორტი არნახულ სიმაღლეზე აიყვანა. ამინს სპორტის ოთხი სახეობა უყვარდა განსაკუთრებით: კრივი, ფეხურთი, რაგბი და ცურვა. სიჭაბუკეში ის ქვეყნის ჩემპიონი იყო კრივში და თამაშობდა რაგბის. ამინი გულუხვად აფინანსებდა საფეხბურთო ნაკრებს, რომელიც 3-ჯერ მონაწილეობდა აფრიკის თასის ფინალურ ეტაპზე, სპორტსმენების წარმატება გამოწვეული იყო შიშით, რომელიც ნებისმიერ დოპინგზე ძლიერია. როცა ადამიანმა იცის, რომ წარუმატებლობის შემთხვევაში მისი მოკვეთილი თავი შეიძლება ამინის სუფრაზე აღმოჩნდეს, გმირობას ჩაიდენს. „თქვენი წარმატებები ამყარებს ჩემს პოზიციებს", — განუცხადა დიქტატორმა ფეხბურთელებს საზეიმო მიღებისას.

## ჟან-კლოდ დუვალიე (1951-2014)

ტრინიდადი და ტობაგოს ნაკრების ფეხბურთელი **ევერალდ კამინგსი** მოედანს თვალცრემლიანი ტოვებდა. 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატის გადამწყვეტ შესარჩევ მატჩში, რომელიც ჰაიტის დედაქალაქ პორტ-ო-ფრენსში გაიმართა, კამინგსის გუნდს მსაჯმა **ხორხე ენრიკესმა** მასპინძლების კარში გატანილი 4 (!) ბურთი არ ჩაუთვალა. ლაინსმენებმა და მთავარმა მსაჯმა ხან თამაშგარე გამოიგონეს, ხანაც — წესის დარღვევა. ამ ფარსს თავისი რეჟისორი ჰყავდა. სამთავრობო ლოჟაში მეფურად იჯდა ჰაიტის დიქტატორი **ჟან-კლოდ დუვალიე**, მეტსახელად ბები დოკი და პირად მცველებთან ერთად უყურებდა ფეხბურთს. მუქი სათვალის გამო მისი გამომეტყველების დანახვა შეუძლებელი იყო, მაგრამ, ჩანდა, რომ კმაყოფილი გახლდათ. მსაჯებს კი არ უნდოდათ, საქმე ჰქონოდათ ცუდი საქმეების ჩამდენ ფრანსუა დუვალიეს შვილთან. ასე გავიდა ჰაიტი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, სადაც ამ ქვეყნის ფეხბურთელებმა ორი დასამახსოვრებელი რამ ჩაიდინეს: ერთი — საფეხბურთო მოედანზე, მეორე — მის გარეთ.

ჰაიტის ნაკრებთან შეხვედრამდე ცნობილ იტალიელ მეკარე **დინო ძოფს** 1097 წუთის განმავლობაში ჰქონდა კარი მშრალად შენახული. წინასამატჩო ინტერვიუში ჰაიტელმა ფეხბურთელმა **ემანუელ სანონმა** განაცხადა, რომ ძოფს აუცილებლად გაუტანდა ბურთს და ფორვარდმა სიტყვა შეასრულა. ძოფის მშრალი სერია 1143-ე წუთზე შეწყდა, სანონმა კი დუვალიესგან საჩუქრად ძვირფასი ავტომობილი მიიღო. ამავე მატჩში ჰაიტის ნაკრების ნახევარმცველი **ჟან-ჟოზეფი** დოპინგის მიღებაში გამოიჭირეს და დისკვალიციფირებული იქნა ფიფას მიერ. მეორე დღეს სასტუმროში გამოჩნდნენ ჰაიტის საიდუმლო სამსახურის წარმომადგენლები, რომლებმაც ჯერ სასტიკად გალახეს ჟან-ჟოზეფი, შემდეგ კი მანქანაში ჩატენეს, აეროპორტში მიიყვანეს და ჰაიტიზე გადააფრინეს. ჟან-ჟოზეფის ბედი უცნობია, თუმცა რას დამართებდა მას სისხლიანი ბები დოკი, ძნელი მისახვედრი არ არის.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**


ფრანკო და დი სტეფანო


ფრანკო

# ვორონეჟის თავზე სტალინის უზარმაზარი გამოსახულება დაფრინავდა





**ვორონეჟის ცაზე რამდენიმე წუთის განმავლობაში ფრენდა აეროსტატი სტალინის უზარმაზარი პორტრეტით. ასე შეახსენეს აქციის ორგანიზატორებმა ადამიანებს აეროსტატის წვლილი დიდ სამამულო ომში.**

9 მაისს ვორონეჟის მცხოვრებნი ქალაქის თავზე აეროსტატით ატანილ სტალინისა და საბჭოთა კავშირის გერბის უზარმაზარ გამოსახულებებს კარგა ხნის განმავლობაში უყურებდნენ.

აქციის ორგანიზატორი იყო კრივის ფედერაცია, რომელმაც აღდგომას კამენსკ-ურალსკის ცაში აეროსტატით აიტანა ხატი. ორგანიზატორებმა აღნიშნეს, რომ ასე სურდათ ყურადღების მოპყრობა აეროსტატებისთვის, რომლებიც ომის წლებში ცაში ადიოდნენ და ფოლადის ძაფების „ქსელში" იმწყვდევდნენ მტრის თვითმფრინავებს, ამასთანავე, სიმაღლიდან აკვირდებოდნენ ქალაქში ჯარების განლაგებას.



# ტრამპის განცხადებით, პრემიები უნდა ჩამოართვან იმ მედიასაშუალებებს, რომლებიც რუსეთთან გარიგებაზე წერენ

**ამერიკულ მედიასაშუალებებს, რომლებიც პულიტცერის პრემიებით დაჯილდოვდნენ, სტატიებისთვის თითქოს რუსეთი ერეოდა აშშ-ის პოლიტიკურ პროცესებში, ეს პრემიები უნდა ჩამოერთვათ, — განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა. აშშ-ის ლიდერს მიაჩნია, რომ მედიასაშუალებებმა ეს პრემიები უნდა დააბრუნონ, რადგან არასამართლიანად მიენიჭათ სტატიებისთვის, რომლებიც ცრუ ცნობებს შეიცავდა.**

„ყველა ეს მწერალი, ეს ე.წ. ჟურნალისტები, რომლებიც სინამდვილეში ჟურნალისტები კი არა, თაღლითები არიან, ეს ჟურნალისტები, რომლებმაც პულიტცერის პრემიები მიიღეს, უნდა ვაიძულოთ, რომ დააბრუნონ პრემიები, იმიტომ, რომ ისინი ცრუობდნენ. პულიტცერის პრემიის საორგანიზაციო კომიტეტი ან ყველა ის, ვინც ამ პრემიებს ანიჭებს, შერცხვენილი იქნება მანამ, სანამ პრემიებს უკანვე არ წაიღებენ. ამ ე.წ. ჟურნალისტებმა პულიტცერის პრემია მიიღეს იმისთვის, რაც საბოლოოდ ცრუ ინფორმაცია აღმოჩნდა. პულიტცერის პრემიით უნდა დაჯილდოვდნენ ისინი, ვინც სიმართლეს წერს", — განაცხადა დონალდ ტრამპმა.

ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ გაზეთი The New York Times-ი დაჯილდოვდა პულიტცერის პრემიით რუსეთზე დაწერილი რამდენიმე სტატიისთვის, თუმცა კონკრეტულად რომელი სტატიისთვის დააჯილდოვა ის საორგანიზაციო კომიტეტმა, უცნობია.

# ფერმერები 1 ჰექტარ მიწაზე სახელმწიფოსგან 200 ლარის ოდენობით დახმარებას მიიღებენ

**საქართველოს პრემიერმინისტრმა გიორგი გახარიამ სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმის პრეზენტაციაზე განაცხადა, რომ ფერმერები 1 ჰექტარ მიწაზე სახელმწიფოსგან 200 ლარის ოდენობით დახმარებას მიიღებენ.**



„თითოეული ფერმერი, რომელსაც აქვს დარეგისტრირებული მიწა, 1 ჰექტარზე მიიღებს დახმარებას სახელმწიფოსგან 200 ლარის სუბსიდირებით. ეს ნიშნავს იმას, რომ საშუალო და მსხვილი საფერმერო მეურნეობები, რომლებსაც აქვთ, მაგალითად, 10 ჰექტარი მიწა და ამუშავებენ, მიიღებენ სახელმწიფოსგან დახმარებას 2000 ლარის ოდენობით. ეს, რა თქმა უნდა, პროპორციულად გადანაწილდება იმ ფერმერებზეც, რომლებსაც აქვთ შედარებით ნაკლები მოცულობის ფართობის მიწები," — აღნიშნა გახარიამ. პრემიერმინისტრის განცხადებით, ფერმერებმა, დახმარების მიზნით, სოფლის მეურნების სამინისტროს ქვედანაყოფებს 20 მაისიდან უნდა მიმართონ. დახმარება დაახლოებით, 200 000 ფერმერს შეეხება და სრული ბიუჯეტი 300 მილიონი ლარი იქნება.

# მომდევნო თვეებში სასურსათო პროდუქტების გაიაფებაა მოსალოდნელი



**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრ ლევან დავითაშვილის განცხადებით, მომდევნო თვეების განმავლობაში სასურსათო პროდუქტების გაიაფებაა მოსალოდნელი. როგორც მინისტრმა განმარტა, საერთაშორისო ტენდენციისა და სეზონის გათვალისწინებით, ელოდება, რომ სურსათი გაიაფდება.**

„დღეს, ფაქტობრივად, ყველა მნიშვნელოვანი პირველადი მოხმარების პროდუქტი თანდათან იაფდება, როგორიცაა შაქარი, ზეთი, მაკარონი და ა. შ. პერსპექტივაში ფასების დაცემას შემდეგი თვეების განმავლობაშიც ველოდებით. ესაა საერთაშორისო ტენდენცია და ამასთანავე, ჩვენთან უკვე შემოდის სეზონური ქართული პროდუქტი. ასე რომ, ინფლაციური წნეხი, რა თქმა უნდა, შემცირდება", — აღნიშნა მინისტრმა.

# იტალიაში შექმნეს ვაქცინა, რომელსაც კორონავირუსის ბლოკირება შეუძლია



**იტალიაში შექმნეს ვაქცინა, რომელსაც შეუძლია, ადამიანის უჯრედებში გაანეიტრალოს კორონავირუსი. რომის ჰოსპიტალ ლაზარო სპალანცალიში, რომელიც სპეციალიზდება ინფექციური დაავადებების მკურნალობაზე, თაგვებზე ჩატარებულმა ცდებმა დადებითი შედეგი აჩვენა, ადამიანების ტესტირება კი შემოდგომაზე დაიწყება, — წერს ბრიტანული გამოცემა The Independent-ი.**

ვაქცინის შემქმნელთა თქმით, პრეპარატის ერთჯერადი ინიექციის შემდეგ თაგვებს გაუჩნდათ ანტისხეულები, რომლებსაც შეუძლიათ ვირუსის ბლოკირება. სპეციალისტებმა სულ გამოსცადეს ვაქცინის 5 ვარიანტი, ყველა წარმატებით, და მათგან 2 საუკეთესო შედეგის მქონე აარჩიეს. ვაქცინები შექმნილია იმ ცილის დნმ-ზე, რომელსაც ვირუსი იყენებს ადამიანის ორგანიზმში მოსახვედრად.

ბრიტანული გაზეთი წერს, რომ მეცნიერები თავგამოდებით მუშაობენ ვაქცინის მასობრივად მისაღებად, მაგრამ, ამასთანავე, საჭიროა, მათ მხარი დაუჭიროს სახელმწიფომ და საერთაშორისო ინსტიტუტებმა.

ამჟამად ვაქცინის შექმნაზე ბევრ ქვეყანაში მუშაობენ.

როგორც აშშ-ის ალერგიული და ინფექციური დაავადებების ეროვნული ინსტიტუტის დირექტორმა **ენტონი ფაუჩიმ** განაცხადა, აშშ-ში ვაქცინა 2021 წლის იანვარში შეიქმნება, თუმცა მოგვიანებით ვადამ გადმოიწია.

# აშშ-ში მოკლეს წარმოშობით ჩინელი მიკრობიოლოგი, რომელიც კორონავირუსზე მუშაობდა



**აშშ-ში, საკუთარ სახლში მოკლული იპოვეს წარმოშობით ჩინელი პროფესორი, 37 წლის ბინ ლუ, რომელიც პიტსბურგის უნივერსიტეტში კორონავირუსის შესწავლით იყო დაკავებული. პროფესორის სავარაუდო მკვლელი ტრაგედიის ადგილიდან რამდენიმე მეტრში მკვდარი იპოვეს, — იუწყება ჟურნალი People.**

პროფესორის კოლეგებმა განაცხადეს, რომ „ბინ ლუ ძალიან ახლოს იყო მნიშვნელოვან აღმოჩენასთან, რომელიც ხსნის კორონავირუსით ინფიცირების უჯრედოვან მექანიზმს".

მეცნიერის ცხედარი მის სახლში იპოვეს 2 მაისს. ის რამდენიმე ტყვიით იყო მოკლული.

„სიკვდილის გარემოებები იდუმალებითაა მოცული, ამიტომ პოლიცია ვარაუდობს, რომ ტრაგედია ინსცენირებულია", — წერს გამოცემა. მოგვიანებით ბინ ლუს სახლიდან რამდენიმე მეტრში მანქანაში მკვდარი იპოვეს მამაკაცი, რომელმაც, სავარაუდოდ, მოკლა პროფესორი.

გამოძიების ვერსიით ლუ მოკლა პირმა, რომელიც მას იცნობდა.

გვერდი მოამზადა **ლუკა მაისურაძემ**

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო" მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ ელვა.ჯი" — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე" — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

www.geworld.ge
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894